



# მასწავლებელი <sup>N4(79), 2022</sup>

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**მთავარი რედაქტორი:**  
ნატო ინგოროყვა

**რედაქტორები:**  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ნანა მაჭავარიანი

**რედკოლეგია:**  
ბერეკა შუკაკიძე,  
ნათია ნაცვლიშვილი

**სტილისტი:**  
ირმა ტაველიძე

**დიზაინი:**  
ბესიკ დანელია

**მხატვარი:**  
მამუკა ტყემელაშვილი

**კორექტორი:**  
ქეთევან ნიკოლეიშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ:**  
გიორგი ქანტურია,  
მაია ჯალიაშვილი, ნინო ფეტივაშვილი,  
ხათუნა მჭედლიშვილი,  
მარიამ გოდუაძე, ლევან ალფაიძე,  
ქეთევან კობალაძე,  
ლელა მანგოშვილი,  
თემურ სუყაშვილი, მაია ფირჩხაძე,  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ლელა კოტორაშვილი,  
ირმა კახურაშვილი, ბესიკ პაპასქუა,  
ელეონორა ელიზბარაშვილი,  
ნასტასია არაბული,  
ქრისტინე სურგულაძე

**საკონტაქტო ინფორმაცია:**  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:  
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,  
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტიანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

## ნატო ინგოროყვა



წმირად მიფიქრია იმაზე, რა არ უსწავლებიათ ჩემთვის და პირველი, რაც მახსენდება, კითხვების დასმაა. ჩემი თაობა უფრო მსმენელი იყო. უფროსები გვესაუბრებოდნენ და ჩვენ ვუსმენდით. კითხვების დასმა მაინცდამაინც კარგი აღზრდის ნიშნად არ მიიჩნეოდა.

ახლა, როცა თავად ვასწავლი და მაქვს შესაძლებლობა, სწვებსაც ვაგუზიარო ის, რაც ვიცი და რისიც მჯერა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ კითხვების დასმა ცოდნის მთავარი ინსპირატორია. მათ შორის – ისეთი კითხვებისაც, რომლებზეც პასუხი არ მაქვს.

ჩემი გამოცდილებით, სასწავლო გარემოზე დავვირვებით, სპეციალურ თუ მხატვრულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შემიძლია იმის თქმა, რომ მოსწავლეებს შესასწავლი თემის გარშემო რაც შეიძლება მეტი კითხვის დასმის უფლება უნდა მიეცეთ. თუნდაც უნერხულის. მეტიც: კითხვები საშინაო დავალების თემაც კი შეიძლება გახდეს.

ოღონდ მანამდე უნდა ვასწავლოთ, როგორ დასვან კითხვები სწორად, მეტიც: უნდა ვასწავლოთ, რატომ უნდა დასვან კითხვები.

კითხვა-პასუხი ვაკვეთილზე თუ ვაკვეთილის მიღმა – ამას მოელიან ჩვენგან ჩვენი მოსწავლეები და მასწავლებელი ამისთვის მზად უნდა იყოს. ეს ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის გასაღვივებლად. დანარჩენს მოსწავლე თავად გაარკვევს, მას ამისთვის წინ მთელი ცხოვრება აქვს.

რას ითხოვენ ჩვენი მოსწავლეები ჩვენგან? უპირველესად ალბათ ურთიერთობას.

სწავლება და კითხვების დასმა ურთიერთობის კარგი საშუალებაა. როცა ამ ურთიერთობაში გულწრფელობა და ნდობა ჩნდება, პასუხგაუცემელი კითხვები აღარ არსებობს.

მოსწავლე ჩვენგან რაღაც ახლის გაგებას ელის.

მხოლოდ დასმული კითხვების ანალიზი მიგვავიწყდრებს, რომელი ასპექტია საინტერესო მათთვის. კითხვები მოგვცემს ლავირების საშუალებას და გვაპოვნინებს ბევრი რამის გასაღებს ჩვენს მოსწავლეებთან ურთიერთობაში.

რაც მეტია მოსწავლეების წვლილი საკითხის განხილვაში, მით უფრო საინტერესო ხდება ის მათთვის.

და თუ ყველა კითხვაზე არ მაქვს პასუხი, თუ პასუხი ფაქტობრივ ცოდნას მოითხოვს, რომელიც არ მყოფნის, ეს თამამად უნდა ვთქვა. მშვენიერი საშუალებაა მოსწავლეების გასააქტიურებლად: ვეუბნები, რომ არ ვიცი და მოვქებნი, ან უმჯობესია, თვითონვე მოიძიონ ინფორმაცია, – ამით ვაჩვენებ, რომ ვენდობი.

სხვაგვარად მოსწავლის გონებაში ყოველთვის იტრიალებს პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ ვსწავლობ? რისთვის ვსწავლობ? რაში გამოვიყენებ?



**ინტერვიუ**

**4 | გიორგი ჭანტურია  
ინტერვიუ ნუსა კობახიძესთან**

მინდა, რომ გვექონდეს ისეთი განათლების სისტემა, სადაც მასწავლებლები თავად იქნებიან ცვლილებების ინიციატორები, სადაც ისინი თვითორგანიზებულად შეძლებენ პროფესიული კაპიტალის დაგროვებასა და განვითარებას.

**გამოცდილება**

**8 | მაია ფირჩხაძე  
როგორ გავაუმჯობესოთ  
თანამშრომლობითი საკლასო  
გარემო ურთიერთშეფასების  
რეგულარული გამოყენებით**

ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთშეფასება ბუნებრივი გზაა მასწავლებლებზე ორიენტირებული განათლებიდან მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების მოდელისაკენ. ამ გზას მიყვარს მოსწავლეთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობის ზრდისკენ, მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებისკენ. ის ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობას და წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში.

**მანანა ბოჭორიშვილი**

**17 | მასწავლებლის  
მნიშვნელოვანი ჩანაწერები**

მასწავლებელი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრ ჩანაწერს აკეთებს. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ის ჩანაწერები, რომლებშიც მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოებია გაანალიზებული. ამ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც.

**ლელა კოტორაშვილი**

**34 | „კბილები მიკანკალებდა,  
მასწავლებელო!“ –  
თხრობის სირთულეები**

როგორ ფიქრობთ, რა უფრო რთულია ბავშვისთვის – თხრობა თუ წერა? ჩემი დაკვირვებით, თხრობა აუდიტორიის წინაშე სწორად გადაულახავ სირთულედ იქცევა ხოლმე, თუნდაც მხოლოდ კლასელების წინაშე ჰყვებოდნენ და მასწავლებელიც გულისხმიერებას იჩენდეს.

**ირმა კახურაშვილი**

**53 | აბო**

ამ სამყაროში უამრავი ფორფიტა და წიგნი მქონდა. ებოშიც, მგონი, ყველაზე მარდი ბავშვი ვიყავი, თან ყველა დაჩაგრულს გულში ვიხუტებდი. სულ ვფიქრობდი, რომ სხვა ბავშვებსაც მემუშტკრივე მამოები ჰყავდათ და თქმას ვერ ბედავდნენ.

**საზამანათელაბლო რესურსი**

**49 | თემურ სუყაშვილი  
მცირე სასკოლო პროექტები**

აქტიური მოქალაქეობა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიწოდებით არ ისწავლება. ის საკუთარ თავზე უნდა გამოცადოს სკოლის მოსწავლემ.

**საერთაშორისო გამოცდილება**

**37 | ლევან ალფაძე  
კენ რობინსონის ინტერვიუ  
სკოლების, შემოქმედებისა და  
ახალი საუკუნისთვის საჭირო  
განათლების სისტემის შესახებ**

ინტერვიუში, რომელიც 2021 წელს გამოქვეყნდა, კენ რობინსონი საუბრობს ცვლილებებსა და პროგრესზე განათლებაში და პასუხს სცემს თავისივე კითხვას: „ხომ არ კლავენ სკოლები ბავშვებში შემოქმედებითობას?“





მოსაზრება

13 მია ვალიაშვილი  
თავაში, შემოქმედებითობა და თავისუფლება

შემოქმედებითობა ის უნარია, რომელიც მოსწავლეს საკუთარი თავისა თუ სამყაროს შემეცნებაში ეხმარება. მასწავლებელი კი მეგზურია ამ რთულ და უმნიშვნელოვანეს გზაზე. სკოლამ შეიძლება განავითაროს ან შეაფერხოს ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც ყველა ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება.

ნინო ფეტვიაშვილი

20 კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის გზით

მთავარი, რითაც მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს გაკვეთილის თემის, რესურსების შერჩევისას, მოსწავლეებთან მუშაობის მეთოდებია, მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, რისი სწავლება გვინდა, როგორ უნდა ვასწავლოთ, რა ეტაპები უნდა გაიაროს მოსწავლემ გაკვეთილზე.

სათუნა მჭედლიშვილი

25 თანამშრომლობითი სწავლა-სწავლების მეთოდები

ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში შესაძრწევია, რომ მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე ერთვება საკლასო აქტივობებში, პასუხობს მასწავლებლის კითხვებს ან მონაწილეობს საკლასო დისკუსიებში. უმეტესობა პასუხურია და ხშირად ადეკვატურად ვერ რეაგირებს მასწავლებლის კითხვებზე.

მარიამ გოდუაძე

40 დისლექსიის კარადოქსი და მასთან გამკლავების საშუალებები

დისლექსიის დროს სასარგებლო ნაადრევი ჩარევა, შესაბამისი გადამისამართება, რათა აღქმის/კითხვის სირთულემ ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესში ბავშვის ჩართულობას და არ გამოიწვიოს გრძელვადიანი უარყოფითი შედეგები.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან კობლაძე

43 ციფრული ეპოქა – რეკომენდაციები მშობლებისთვის

მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანს საშუალოდ 90 დღე სჭირდება ჩვევის შესაცვლელად. თანაც ეს დრო სერიოზულ, თანამიმდევრულ, დაძაბულ მუშაობას უნდა მოხმარდეს. ამ ხნის შემდეგაც დასჭირდება ბავშვს უფროსების თანადგომა მაპროვოცირებელი სიტუაციების კონტროლისთვის, რათა არ მოხდეს რეგრესი და მავნე ჩვევების განმეორება.

კომპეტენციები

ლელა მანგოშვილი

46 ოცდამეერთე საუკუნის საკვანძო (ევროსაბჭოს) კომპეტენციები და ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აღწერს, როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გრძელვადიან საგნობრივ სამიზნე და ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებებზე მუშაობა ხელს უწყობს იმ პრიორიტეტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და საერთაშორისო დოკუმენტებით არის განსაზღვრული.



# ინტერვიუ ნუცა კობახიძესთან განათლების კოლიტივის შესახებ

საზოგადოდ, სამწუხაროა, რომ მასწავლებლების ხმა მკაფიოდ არ ისმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გარდა მცირე გამონაკლისებით. მედია არ ინტერესდება მათი ცხოვრებით. რამდენიმე აქტიური მასწავლებელი ვერ ქმნის ამინდს. გაუთავებელი რეფორმების პირობებში მასწავლებლის პროფესიის ტექნოკრატიზაცია და დეპროფესიონალიზაცია მივიღეთ.

ნუცა კობახიძის შესახებ ჟურნალის მკითხველისთვის, ორი მიზეზის გამო, ბევრი რამ იქნება ცნობილი. ჯერ ერთი, ის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებული სპეციალისტია განათლების სფეროში, მეორე – ეს მისი მესამე ინტერვიუა ჟურნალისთვის. პირველი ორი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა და იმედი მაქვს, მესამეც ასეთივე იქნება.

ნუცა კობახიძე შედარებითი და საერთაშორისო განათლების სპეციალისტია. მისი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ჰონგ-კონგის უნივერსიტეტთან, სადაც ის განათლების მეცნიერების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორია. სულ ცოტა ხნის წინ ის გახდა ამავე უნივერსიტეტის შედარებითი განათლების კვლევის ცენტრის დირექტორი. გარდა უამრავი კვლევისა და მნიშვნელოვანი საქმიანობისა, ნუცა საკმაოდ აქტიური იყო პანდემიის პერიოდში, განსაკუთრებით – სკოლების დაკეტვის დროს და ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია მთელ სისტემას. სწორედ ამ პერიოდში გავიცანი მეც. სასკოლო განათლების ისტორიის კვლევაზე მუშაობისას არაერთი რჩევა მივიღეთ მისგან. ის ამავე თემაზე შექმნილ დოკუმენტურ ფილმშიც მონაწილეობს. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ, მოდი, კითხვა-პასუხზე გადავიდეთ.

*მინდა, მოგილოცოთ მორიგი წარმატება – სულ ცოტა ხნის წინ გახდით ჰონგ-კონგის უნივერსიტეტის შედარებითი განათლების კვლევის ცენტრის დირექტორი. დარწმუნებული ვარ, ბევრი საინტერესო ინიციატივა გექნებათ ცენტრისათვის. ამ და სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, როგორ და რა კუთხით ახერხებთ, საქართველოსთან პროფესიული კავშირი შეინარჩუნოთ?*

ამ ცენტრის ხელმძღვანელობისას ჩემი ერთ-ერთი მიზანი იქნება საქართველოს სახელის წამოწევა საერთაშორისო ასპარეზზე, რაც გულისხმობს საქართველოზე სამეცნიერო კვლევებისა და საერთაშორისო პუბლიკაციების ხელშეწყობას, ქართველი მკვლევრებისა და სტუდენტების მოწვევას.

ციფრული ტექნოლოგიების პირობებში არც ისე რთულია პროფესიული კავშირების შენარჩუნება, მით უმეტეს სამშობლოსთან, როცა ამის სურვილი არსებობს. გარდა იმისა, რომ მე თავად ვმუშაობ საქართველოზე, აქტიურად ვწერ და ვაქვეყნებ სამეცნიერო ნაშრომებს ინგლისურ ენაზე, პერიოდულად, ასევე ვკითხულობ ლექციებს და ვატარებ სემინარებს სხვადასხვა უნივერსიტეტისთვის საქართველოში, ვებმარები ქართველ მეცნიერებს და სტუდენტებს საზღვარგარეთ, კერძოდ, ევროპაში, აზიასა და ამერიკაში, პროფესიული კავშირების დამყარებაში. ასევე ვებმარები ქართველ მეცნიერებს, გამოაქვეყნონ სტატიები პრესტიჟულ ინგლისურენოვან ჟურნალებში, ხან თანავტორებად ვიწვევ, ხანაც უკუკავშირს ვაძლევ. მოკლედ, მრავალი გზა არსებობს, იცხოვრო საზღვარგარეთ, მაგრამ შენს ქვეყანას





ნაწილობრივ მაინც გამოადგე. ცხადია, უფრო მეტის გაკეთებაც შესაძლებელია, მაგრამ ჩემი დატვირთული სამუშაო გრაფიკისა და ოჯახური პასუხისმგებლობების პირობებში ამ ეტაპზე მხოლოდ ამით შემოვიფარგლები.

მინდა, საერთაშორისო კვლევებზე ვკითხოთ. ჩვენში (განსაკუთრებით – მედიას) ძალიან უყვართ საქართველოს სხვა ქვეყნებთან შედარება. თქვენ შედარებითი განათლების სპეციალისტი ხართ. ჩემი დაკვირვებით, როდესაც საქართველოს სხვა ქვეყნებს ადარებენ, ეს შედარება ყოველთვის უარყოფით კონტექსტში განიხილება. თქვენ ძალიან ფრთხილად ეკიდებით ამ საკითხს. რა განაპირობებს თქვენს ამ დამოკიდებულებას?

ნამდვილად ასეა, ყოველთვის ძალიან ფრთხილად შედარებების გაკეთებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვხედავ, რომ საერთაშორისო შედარებით კვლევებს იყენებენ სიტუაციის დრამატიზებისთვის და არა გაუმჯობესებისთვის. შედარება სასარგებლოა, როცა შეგიძლია ისწავლო სხვისგან, რეფლექსია მოახდინო საკუთარ ნაკლებ და გააუმჯობესო მდგომარეობა. შედარებითი განათლების მეთოდოლოგიას ვასწავლი უნივერსიტეტში, რაც ასევე მოიცავს სოციალურ მეცნიერებებში და განსაკუთრებით განათლების სფეროში შედარებითი კვლევების კრიტიკულ ანალიზს. სამწუხაროა, რომ ჩვენთან საერთაშორისო შედარებითი კვლევების გამოყენება მედიის ჰედლაინებს ვერ სცდება და ხშირად პოლიტიკური ნიშნის მოგების მექანიზმადაც კი იქცევა ხოლმე. საბოლოო ჯამში, ეს განათლების

ისედაც სუსტი სისტემის დემორალიზებას იწვევს და ლამის უკვე ეროვნულ ხასიათში გამჯდარი თვითგვემის პროცესს ემსახურება.

საერთაშორისო კვლევებსა და მტკიცებულებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დღესდღეობით განათლების სპეციალისტები და სასკოლო საზოგადოება თანხმდებიან, რომ სასკოლო განათლების სისტემაში უამრავი გამოწვევა გვაქვს. ეს პრობლემები დაკავშირებულია ერთმანეთთან და შესაძლოა, გარკვეულწილად, ერთი მეორის გამოიწვევიც იყოს. მაგალითად, განათლების დაფინანსების სიმწირე, მასწავლებელთა არასათანადო შრომითი პირობები, დაბალი კომპეტენციები და პროფესიული განვითარების სისტემა, ინფრასტრუქტურა, პოლიტიზებული და ცენტრალიზებული სასკოლო განათლების სისტემა, უთანასწორობა და ა.შ. თქვენ რომელ გამოწვევებს გამოყოფდით და როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათ დასაძლევად ან შესამცირებლად?

რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ყველა უმწვავესი პრობლემაა და სის გაგრძელებაც შეიძლება, მაგრამ ალბათ აუცილებელია პრიორიტეტების გამოყოფა. განათლების სისტემის საფეხურებიდან, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სკოლაა, სადაც ფუნდამენტი ეყრება ყველაფერს. მაგალითად, რომ შეადაროთ, რას სწავლობენ მოსწავლეები მეოთხე კლასში მათემატიკაში ჰონგ-კონგში და რას – საქართველოში, უცებ მიხვდებით, როგორი აცდენილია ჩვენი სასწავლო პროგრამები. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ

ფოტოს ავტორი: Sophia Kwan



ფოტოს ავტორი – Faculty of Education,  
The University of Hong Kong

**მინდა, რომ გვქონდეს ისეთი განათლების სისტემა, სადაც მასწავლებლები თავად იქნებიან ცვლილებების ინიციატორები, სადაც ისინი თვითორგანიზებულად შეძლებენ პროფესიული კაპიტალის დაგროვებასა და განვითარებას.**

საქართველო ხშირად „ტიმისს“ (TIMSS) კვლევის სიის ბოლოშია და ჰონგ-კონგი – სათავეში. კიდევ ერთი უმწვავესი პრობლემა, რაც დღეს სკოლაში დგას, არის ის, რომ მოსწავლეებს უჭირთ არა მხოლოდ გააზრებული კითხვა, არამედ ლოგიკური, არგუმენტირებული წერაც. წერა ფიქრის პროცესს აუმჯობესებს და დიდი წვლილი შეაქვს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. ვფიქრობ, რომ აუცილებელია წერის კომპონენტების გაძლიერებული სწავლება დაწყებითი კლასებიდანვე. ეს უნივერსიტეტის დონეზეც ბევრ პრობლემას მოხსნიდა.

*როგორც ვიცი, თქვენი ინტერესის სფეროა განათლების პრივატიზაცია. საინტერესო იქნება, საქართველოს მაგალითს თუ განვიხილავთ. ეს იდეოლოგია ჩვენს სისტემაში უკვე ძალიან ღრმად არის შემოჭრილი. მაგალითად, განათლების მინისტრებს მენეჯერებად განვიხილავთ, მოსწავლეებში ჩადებულ თანხას – ინვესტიციად, თავად განათლებას – სერვისად, მოსწავლეებსა და*

*მშობლებს – მომხმარებლებად, კონკურენცია წამყვანი პრინციპია და ა.შ. მონაცემებსაც თუ შევხედავთ, კერძო სექტორი საქართველოში მზარდია, საჯარო კი ცდილობს, კერძო სექტორის პრინციპებით იმოქმედოს. სხვათა შორის, ეს თქვენი მთავარი კვლევის საკითხს, განათლების ჩრდილოვან სისტემასაც უკავშირდება. როგორ აფასებთ ამ საკითხს და როგორ ფიქრობთ, რა რისკებთან არის ეს დაკავშირებული?*

ჩვენთან ისეთი მოცემულობაა, რომ შეესაბამება თუ არა რეალობას, უმრავლესობას კერძო სკოლა უფრო უკეთესი ჰგონია, ვიდრე საჯარო. ყველა ქვეყანაში არ არის ასე. ქვეყანა რომ ძლიერი იყოს, აუცილებელია საჯარო სკოლების გაძლიერება. გარდა ამისა, განათლება არის ბიზნესისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სფერო. ხშირად იქმნება სიტუაცია, რომ ბიზნესის მიზნები ფარავს განათლების მიზნებს და სკოლისა თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მთავარი მისია ფინანსური მოგება ხდება. ცხადია, ეს ტენდენცია



არაჯანსაღ გარემოს ქმნის და, საბოლოო ჯამში, სოციალურ პროგრესს კი არა, უთანასწორობის გაღრმავებას ემსახურება.


ჩემი ერთ-ერთი ბოლო კვლევა ეხება საბავშვო ბაღში მისაღებ პროცედურებს, კერძოდ, ბაღის ინტერვიუსთვის მოსამზადებელ კერძო გაკვეთილებს ჰონგ-კონგში. მართალია, კვლევა საქართველოზე არ არის, მაგრამ მსგავსი ტენდენციები უკვე აქაც შეინიშნება. განათლების სფეროში აგრესიულ კონკურენციას, იმ მიზნით, რომ ბავშვები მოხვდნენ „პრესტიჟულ“ ბაღში, მით უმეტეს - სკოლამდელ ასაკში, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის დიდი სტრესი მოაქვს. „წარუმატებლობის“ შემთხვევაში „დამარცხების“ და „არასრულფასოვნების“ განცდაც კი შეიძლება განიცდეს. ამით, როგორც წესი, ხეირობს კერძო სექტორი, რომელიც მშობლების შიშებზე ბიზნესს აკეთებს და უამრავ „სერვისს“ სთავაზობს. შედეგად ვიღებთ უფრო მეტად სტრატეგიული საზოგადოებას, სადაც სოციალური უთანასწორობა ნორმალიზებულია.

**ჩრდილოვანი განათლების საკითხებსაც შევეხოთ. თქვენს წიგნში „მასწავლებლები როგორც რეპეტიტორები: ჩრდილოვანი განათლების ბაზრის დინამიკა საქართველოში“ სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავთ რეპეტიტორობას. როგორც ინტერვიუებშიც ამბობთ, მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. სისტემის პერსპექტივიდან რომ შევხედოთ, რა არის დადებითი რეპეტიტორობაში და როგორ შეიძლება ამის შენარჩუნება?**

ეს ის თემაა, რაზეც უსასრულოდ შემიძლია ვილაპარაკო. გარდა იმ წიგნისა საქართველოზე, რომელიც ახსენეთ, ჩემი ბოლო წიგნიც, რომელიც ამ სფეროში ორ წამყვან მეცნიერთან თანაავტორობით დავწერე, რეპეტიტორობის თემას ეხება, ოღონდ გეოგრაფიული კონტექსტი სხვაა და ბირმაზე, იმავე მიანმარზეა. რაკი მხოლოდ დადებით მხარეებზე მკითხეთ, უარყოფითს არ შევეხები. საქართველოშიც და მიანმარშიც, სადაც მასწავლებელთა ხელფასები არასახარბიელოა, რეპეტიტორობა მასწავლებლებისთვის შემოსავლის წყაროა, ხშირად პროფესიაში დარჩენის გარანტიაც კი. იქ, სადაც სკოლა სუსტია, რეპეტიტორობას აქვს კომპენსატორული როლი – დამატებითი ცოდნის მიღების მექანიზმს წარმოადგენს. რაც

შეეხება მოსწავლეს, სუსტი მოსწავლისთვის ეს არის შანსი, გახდეს უკეთესი, დაეწიოს მასალას, აიმაღლოს თვითშეფასება და საკუთარი თავის რწმენა. მე ვიკვლევ რეპეტიტორობის ფენომენს შედარებითი კუთხით სხვადასხვა ქვეყანაში და მინდა გითხრათ, რომ ეს დადებითი და უარყოფითი მხარეები კონტექსტის მიხედვით იცვლება. საბოლოო ჯამში, ცხადია, უმჯობესია, სკოლამ იტვირთოს ორივე ფუნქცია და მშობლებს აღარ დასჭირდეთ დამატებითი თანხის გადახდა მომზადებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მრავალი მიზეზის გამო ეს უფრო და უფრო უტოპიას ემსგავსება.

**დასასრულ, იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალის მკითხველები ძირითადად მასწავლებლები არიან, ერთი მხრივ, იმის გათვალისწინებით, რა პირობებში უწევთ მათ მუშაობა, – ვგულისხმობ მძიმე სოციალურ ფონს, არასახარბიელო შრომით პირობებს, რაც უდიდეს ძალისხმევასთან და, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, გამირობასთან არის დაკავშირებული, – მეორე მხრივ კი იმისა, რა გავლენა აქვთ ან შეიძლება ჰქონდეთ მათ მოსწავლეებზე (ნეგატიურიც და პოზიტიურიც), რას ურჩევდით მათ?**

საზოგადოდ, სამწუხაროა, რომ მასწავლებლების ხმა მკაფიოდ არ ისმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გარდა მცირე გამონაკლისებისა, მედია არ ინტერესდება მათი ცხოვრებით. რამდენიმე აქტიური მასწავლებელი ვერ ქმნის ამინდს. გაუთავებელი რეფორმების პირობებში მასწავლებლის პროფესიის ტექნოკრატიზაცია და დეპროფესიონალიზაცია მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ მაინც ხორციელდება მასწავლებლის პროფესიის წამახალისებელი პროექტები, მათი მასშტაბი მცირეა. საჭიროა ყველა ქალაქისა თუ სოფლის დონეზე პროფესიული ასოციაციების შექმნა და გააქტიურება. დემოკრატიულ საზოგადოებაში მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ხმა, *agency*. არსებული სოციალური ფონის პირობებში ვხედავთ მასწავლებელთა უმრავლესობას, რომლებიც ინერციით მიჰყვებიან სისტემას; უკეთეს შემთხვევაში, არიან ზემოდან თავს მოხვეული რეფორმის განმახორციელებლები. მინდა, რომ გვექონდეს ისეთი განათლების სისტემა, სადაც მასწავლებლები თავად იქნებიან ცვლილებების ინიციატორები, სადაც ისინი თვითორგანიზებულად შეძლებენ პროფესიული კაპიტალის დაგროვებასა და განვითარებას. 





მაია ფირჩხაძე

# როგორ გავაუმჯობესოთ თანამშრომლობითი საკლასო გარემო ურთიერთშეფასების რეგულარული გამოყენებით

**ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთშეფასება ბუნებრივი გზა მასწავლებლებზე ორიენტირებული განათლებიდან მონაწილეზე ორიენტირებული განათლების მოდელისაკენ. ამ გზას მივყავართ მონაწილეთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობის ზრდისკენ, მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებისკენ. ის ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობას და წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში.**

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესების ახალი სახით ორგანიზებაში დიდი წვლილი შეაქვს თანამშრომლობითი მეთოდების აქტიურ გამოყენებას. ამ დროს მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალიზაციისა და კომუნიკაციისთვის საჭირო მნიშვნელოვანი უნარები (საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის, სხვისი აზრებისა და შეხედულებების პატივისცემის, საერთო გამოცდილებიდან გამოცდილების შექმნის, კითხვის დასმის, აქტიური მოსმენის, თხრობის, მიღებული ინფორმაციის გადამუშავების, ადეკვატური საპასუხო რეაქციის და სხვ.). ეს ვერ მოხდება მოსწავლეთა ურთიერთშეფასების გარეშე, რადგან თანამშრომლობითი სწავლება და მოსწავლეთა ურთიერთშეფასება ერთი ჯაჭვის სხვადასხვა ბოლოა. მიზანი მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაა, ამიტომ აქტუალურია, შევისწავლოთ, რა გავლენას ახდენს ურთიერთშეფასების რეგულარული გამოყენება ურთიერთთანამშრომლობის დონის ამაღლებაზე და როგორ ეხმარება ის მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში; გამოკვეთოთ მიდგომები, რომლებზე დაყრდნობითაც მასწავლებლებს შეეძლება, განუვითაროს მოსწავლეებს თანამშრომლობისა და ურ-

თიერთშეფასებისთვის (რაც თავის თავში მოიცავს თვითშეფასებასაც) საჭირო უნარები; ვიპოვოთ ის ოპტიმალური გზები და საშუალებები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი საკლასო გარემოს გაუმჯობესებას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე დაიგეგმა და განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანი იყო იმის შესწავლა, როგორ გააუმჯობესებდა თანამშრომლობითი საკლასო გარემოს ურთიერთშეფასების რეგულარული გამოყენება. კვლევაში მონაწილეობდნენ სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის N3 საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები (127 მოსწავლე) და მასწავლებლები (მათ შორის – 6 დამრიგებელი).

კვლევა ჩატარდა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ფორმატის დაცვით: წინასწარი დიაგნოსტიკა; ჩალრმავებული ინტერვიუ დამრიგებლებთან; მასწავლებელთა და მოსწავლეთა ანკეტირება (მასწავლებლების გამოკითხვისთვის დაიგეგმა ანკეტირება მარტივი მეთოდის გამოყენებით – „ამოირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი“; მოსწავლეთა ურთიერთთანამ-

შრომლობის დონის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა სადიაგნოსტიკო ტესტი/კითხვარი „თანამშრომლობის დონე კლასში“, რომელიც მოიცავდა 20 კითხვას თავისი მტკიცებულებებით. კითხვები ძირითადად იყო დახურული, ანონიმური). საზოგადოდ, გამოკვეთილი იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტების გამართულობა.

კვლევის ძირითადმა დასკვნებმა აჩვენა, რომ: მოსწავლეებს შორის ერთი შეხედვით მეტობრული ურთიერთობები იყო, თუმცა მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობები არ ემსახურებოდა თანამშრომლობით ურთიერთობებზე დამყარებული საკლასო გარემოს ჩამოყალიბებას და ძირითადად მიმართული გახლდათ კონკურენტუნარიანი სასწავლო გარემოს ფორმირებაზე; ურთიერთშეფასებას მასწავლებლები საკმაოდ ხშირად იყენებდნენ სასწავლო პროცესში, თუმცა მიზნობრივად თანამშრომლობითი დონის გაზრდისთვის – არა; მასწავლებლები აღიარებდნენ, რომ თანამშრომლობითი გარემოს გაუმჯობესება

აუცილებელი იყო; მეოთხეკლასელებთან არსებული სიტუაციაც მიუთითებდა, რომ ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო ურთიერთშეფასების რეგულარული, აქტიური გამოყენებით.

თანამშრომლობითი გარემოს გაუმჯობესებისთვის დაიგეგმა ინტერვენციები – ურთიერთშეფასება რეგულარულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული სასწავლო პროცესში.

● ინტერვენციები განხორციელდებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, „მე და საზოგადოების“, მუსიკის საგნობრივი დისციპლინების მიმართულებით: ინტერვენციების ეტაპზე მოსწავლეები 5 კვირის განმავლობაში რეგულარულად იმუშავებდნენ ურთიერთშეფასებაზე და ამ მიზნით გამოიყენებდნენ კვლევის ჯგუფის მიერ შეთავაზებულ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს – „კრიტიკული მეგობრის“ მიდგომას; ინტერვენციების შემდეგ მოსწავლეთა ანკეტირების გზით ხელახლა შემოწმდებოდა კლასში თანამშრომლობითი გარემო და მოხდებოდა შედეგების ინტერპრეტაცია.

საზოგადოდ, „კრიტიკული მეგობრის“ მიდგომის გამოყენებისას – განმავითარებელი შეფასების ეს ინსტრუმენტი ადაპტირებულია პროექტის Assessment Tools for new learning environments in higher education institutions / ASSET

(Erasmus+) ფარგლებში<sup>1</sup> – მოსწავლეები ქმნიან „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფებს და ჯგუფის წევრებსაც ირჩევენ თავისუფალი არჩევანის პრინციპით. თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ არჩევნის გაკეთება, ჯგუფები შემთხვევითობის პრინციპით ფორმირდება. ისინი შეიძლება იყოს დიდი და საშუალო ზომის (თითოეულში ერთიანდება 4-დან 8 მოსწავლემდე). მათი ფორმირებისთანავე წევრები თანხმდებიან მუშაობის ძირითად პრინციპებზე და დებენ ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებას ისეთი პრინციპების გამოყენების შესახებ, როგორცაა: ჯანსაღი კრიტიკა, მიმღებლობა, ერთგულება, გულწრფელობა, ვალდებულების აღება, ანონიმურობა, საიმედოობა.

მასწავლებლებთან შეხვედრაზე პრაქტიკის კვლევის ჯგუფმა განიხილა „კრიტიკული მეგობრის“ მიდგომის თეორიული მხარე. შეჯერდნენ მიდგომის მოდიფიცირებულ ვარიანტზე. შემდეგ ეს იღვავა წარუდგინეს მოსწავლეებს, რომლებმაც აქტიური მზაობა გამოხატეს „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფების შექმნისა და შეთავაზებული მიდგომის შესაბამისად მუშაობისთვის.

„კრიტიკული მეგობრის“ მიდგომის მოდიფიცირებული ვარიანტი დაწყებითი კლასებისთვის მოიცავდა შემდეგ დეტალებს:

● მუშაობის დაწყებამდე „შეთანხმების“ გაფორმებას, რომელშიც მითითებული იქნებოდა მუშაობის პრინციპები, წევრების შესახებ ინფორმაცია, შეხვედრების სიხშირე და პრობლემების მოგვარების

გზები. შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით გამოიკვეთა ჯგუფის წევრების მზაობა – რეალურად დახმარებოდნენ პრობლემის მქონე თანაკლასელს და თავიდან აეცილებინათ ისეთი რისკები, როგორცაა ჯგუფში მუშაობისთვის თავის არიდება და სხვ.

● შეხვედრების დასრულების შემდეგ „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრები შეავსებდნენ „შეხვედრის დაკვირვებისა და ურთიერთშეფასების სქემას“, როგორც ურთიერთშეფასების ერთგვარ ფორმას (იხ. დანართი 1).

**„კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის დაკვირვებისა და ურთიერთშეფასების სქემა**

„კრიტიკული მეგობრის“ მიდგომის

თარიღი:  
„კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრი:

მახასიათებლები	დიახ	ნაწილობრივ
აკლემნ მზაობას, შილის სიხალეუბი		
აკლემნ მზაობას, შილის კრიტიკა		
განსხვავებული მოხატვისა და იქნის პატივცემის		
მოხატვის გამოთქმას იწყებს დადებითი კომენტარით		
ერთმანეთს არ აფარებს ადამიანებს		
აფასებს ფაქტს/ინფორმაციას და არა-პიროვნულ თვისებებს		
კრიტიკული კვლევის გაკეთების არ იცნებს უარყოფით ფრაზებს: თუკა, მაგარა...		
საუბრობს მხოლოდ საკუთარი პიროვნული „მე ვფიქრობ“ და არა „...იმინ ფიქრობენ“		
არის აქტიური მსმენელი მას უნდობიან		

**დანართი 1.**

ინტერვენციები ძალიან საინტერესოდ წარიმართა. ჯგუფებში მუშაობა მიმდინარეობდა „შეთანხმების“ პირობის მიხედვით. „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის შეხვედრას ფასილიტაციას უწევდა მასწავლებელი.

„კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფების მიერ განხორციელებულ აქტივობათა ნიმუშები:



**კლასი: მე-4 „1“**

**საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა**

**კლასში დაფიქსირდა განაწილებული კითხვის და ტექსტის გაზრების პრობლემა.** აღმოჩნდა, რომ კლასის ერთი მოსწავლე ვერ იცავდა სასვენი ნიშნებს, წაკითხული გაუგებარი იყო მსმენელისთვის და თავადაც უჭირდა ტექსტის გაზრება. გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ მას.

**I ეტაპზე ჯგუფმა** - მოამზადა და თანაკლასელს მოასმენინეს ორი ჩანაწერი: ერთი ჩანაწერი - არ იცავდნენ სასვენი ნიშნების ხმარების წესს და მეორე - ერთად, დანარჩენი მოსწავლეები ერთად, რიგრიგობით კითხულობდნენ გამართულად, პაუზების გამოყენებით.

„კრიტიკულმა მეგობრებმა“ კიდევ ერთხელ გააცნეს პრობლემის მქონე თანაკლასელს სასვენი ნიშნების ხმარების წესი; შესთავაზეს მარტივი სავარჯიშო, სადაც უნდა გამოყენებინა პუნქტუაციის წესები; ავარჯიშეს წინადადების სწორად, პაუზის დაცვით წაკითხვაში; ერთად გააკეთეს სხვა მსგავსი სავარჯიშოებიც და ბოლოს, შესთავაზეს, დამოუკიდებლად წავითხა მარტივი ტექსტი; შემდეგ თანდათან გაზარდეს ტექსტის მოცულობა და ბოლოს მიიღეს შესაბამისი შედეგი. ეს პროცესი გაგრძელდა ორი კვირის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში „კრიტიკული მეგობრები“ მუდმივად ახალისებდნენ თანაკლასელს, რათა მოტივაცია ყოფილიყო მაღალი. ერთად, შეთანხმებულად მიაღწიეს მიზანს.

**II ეტაპზე** - ჯგუფმა ტექსტის გაზრებისკენ მიმართული სავარჯიშოები მიმართეს, აქტიურად გამოიყენეს „გაჩერებებით“ კითხვის მეთოდი, აქტიურად ჩაერთო მსწავლეებელიც და სამი კვირის შემდეგ ჩაითვალოს, რომ პრობლემა თანაკლასელს დაძლეული ჰქონდა.

„კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრები მუდმივად ახსებდნენ დაკვირვებისა და ურთიერთშეფასების სქემასაც და მუშაობის პროცესში ძალიან ხალისიანები და მოტივირებულები იყვნენ.

**კლასი: მე-4 „2“**

**საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა**

რადგან „მოსწავლეთა სწავლის შედეგებისა და ურთიერთობების გაუმჯობესება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული იმაზე, არიან თუ არა თვითონ მოსწავლეები უშუალოდ ჩართულები პრობლემების გამოკვეთისა და მისი გადაჭრის გზების ძიებაში, ამიტომ კლასში შექმნეს „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფი ამ პრობლემების მოსაგვარებლად. ამ ჯგუფის მიერ განხორციელებულმა პრაქტიკულმა ნაბიჯებმა გარკვეულწილად გააუმჯობესა მდგომარეობა.

პრობლემა: კლასში არის მოსწავლე, რომელსაც მამა არ ჰყავს. დედას ორ სამსახურში უწევს მუშაობა, შვილებს რომ არაფერი მოაკლოს. ეს მოსწავლე გაკვეთილებზე ხშირად მოდიოდა მოუზნადებელი, არ ჰქონდა დავალბები დაწერილი.

**კონკრეტული ნაბიჯები:**

1. კლასში შექმნეს „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფი და ჯგუფის წევრებმა გააფორმეს შეთანხმება; ჯგუფის წევრები უფრო მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს: თავიდან სახალისო აქტივობებითა და თამაშებით შეძლეს მოცემული კონკრეტული მოსწავლის დაინტერესება. მოსწავლე აქტიურად ჩაერთო სახალისო აქტივობებში. გაიზარდა მისი ინტერესი. როცა ჯგუფის წევრებმა დახმარება შესთავაზეს სამინაო დავალების შესრულებაზე, ხალისით დათანხმდა;
2. გაკვეთილების შემდეგ 10-15 წთ. რჩებოდნენ ჯგუფის წევრები ერთად და სხვადასხვა დამხმარე რესურსის გამოყენებით და მინიშნებებით ეხმარებოდნენ და უხსნიდნენ თანაკლასელს მისთვის გაუგებარ საკითხებს;
3. 4 კვირის შემდეგ მოსწავლემ შეძლო დავალებების დამოუკიდებლად შესრულება;
4. მომდევნო კვირის განმავლობაში ეს პროცესი უკვე ერთობლივი ჩართულობით მიმდინარეობდა;
5. კლასის დამრიგებელი პროცესს მუდმივად ადევნებდა თავს და თავადაც აქტიური მონაწილე იყო შეხვედრების.

**კლასი: მე-4 „3“**

**საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა**

კლასში შეიქმნა „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფი. ამ ჯგუფის მიზანი იყო, პრობლემების გამოკვეთა, გადაჭრის გზების მოძიება და მოსწავლეების დახმარება.

**პრობლემა:** ერთ-ერთ მოსწავლეს პრობლემა ჰქონდა სამინაო დავალებასთან დაკავშირებით. ის ვერ იცავდა პირობას, შესაბამისად დავალებებიც არასწორად ჰქონდა შესრულებული. აღმოჩნდა, რომ დავალებებს წერდა და შემდეგ ამზადებდა გაკვეთილებს.

**განხორციელებული აქტივობები** - „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრები ამ მოსწავლესთან ერთად მუშაობდნენ გაკვეთილების შემდეგ, მათი მთავარი მიზანი იყო:

- მოსწავლეს ჯერ ტექსტი წავითხა, შემდეგ კითხვების საშუალებით გაეზარებინა, რა იყო ტექსტში მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი, საჭიროების შემთხვევაში მიმბრუნებოდა ტექსტს და ისევ ხელახლა წავითხა (კვითხა „გაჩერებებით“);
- „კრიტიკული მეგობრები“ საკუთარი მაგალითით ასწავლიდნენ, როგორ წავითხა დავალების პირობა სწორად, რისთვის უნდა მიეცია ყურადღება, სთავაზობდნენ საკუთარ მაგალითს და ა.შ.
- რამდენიმე დავალების პირობა ერთად განიხილეს და დეტალურად აუხსნეს, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა დავალების სწორად შესრულებისთვის, რა ნაბიჯები უნდა გადაეღებინა;
- ეხმარებოდნენ შეკითხვების სწორად ფორმულირებაში (ასწავლიდნენ, რას ნიშნავს შეკითხვის სწორად დასმა და როგორ უნდა გაეკეთებინა ეს), როგორ უნდა მიეღო ტექსტის მთავარი სათქმელისთვის, როგორ ეყოფა ტექსტში მინიშნებები და ა.შ.
- პრობლემის მქონე მოსწავლეს დამოუკიდებლადც შესრულებინეს რამდენიმე მსგავსი დავალება და ნაყოფიერი შედეგები მიიღეს.

ეს პროცესი თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრები ახსებდნენ დაკვირვებისა და ურთიერთშეფასების სქემას, ინიშნავდნენ, რას მიაღწიეს და კიდევ რა ჰქონდათ გასაკეთებელი. ამ გზით ისინი დახმარდნენ მეგობარს პრობლემის დაძლევაში და ერთად მიაღწიეს მიზანს. ისინი მზად არიან, გააგრძელონ ჯგუფის მუშაობა.

**კლასი - მე IV „5“**

მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი ურთიერთშეფასება. ხშირად თანატოლის დახმარება და მითითება უფრო მეტი სარგებლის მომტანი ხდება. სწორედ ამიტომ კლასში შექმნილი „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფი და გააფორმეთ შეთანხმება.

**პრობლემა:** არსებული ეკიდ-ვიტარებიდან გამომდინარე მეთოთხე კლასის პირველი სემესტრი მირითადად წარმართა დისტანციური სწავლებით. კლასში სწავლობს სოციალურად დაუცველი მოსწავლე, რომლის ოჯახსაც არ აქვს ინტერნეტი. შესაბამისად იგი მირითადად ვერ ესწრებოდა გაკვეთილებს და საკმაოდ გაუჭირდა ახალი მასალის ათვისება. კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები საკმარისი არ აღმოჩნდა.

**განხორციელებული აქტივობები:**

- „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფმა დაგეგმა შეხვედრა და დასახა პრობლემის გადაჭრის გზები;
- ჯგუფის წევრებმა ხალისიანი და მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით დაადგინეს, მირითადად რა საკითხებში სჭირდებოდა მოსწავლეს დახმარება, გამოიკვთა - წაკითხულის გაზრებისა და გრამატიკული ხასიათის დავალებათა შესრულების პრობლემა;
- მოსწავლე ხალისიანად ჩაერთო თანაკლასელების შეთანხმებულ აქტივობებში და დაიგეგმა შეხვედრები სკოლის ბაზაზე არასაკმარისი დროს;
- დამხმარე მასალად წაკითხულის გაზრებისათვის გამოიყენეს მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული ტექსტური მასალები და სქემები;
- გრამატიკული მასალის ასათვისებლად მოსწავლეები თავად იკონფიდნენ სავარჯიშოებს, რამაც არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკულ ცოდნას შესძინა მოსწავლეს;
- „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის შექმნამ გაამყარა მოსწავლეთა კომუნიკაცია, აამალა მოსწავლის მოტივაცია და აკადემიური უნარები.

შეხვედრები თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. თუმცა „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფი სხვადასხვა პრობლემის წარმოჩენისას ისევ განაახლებს მუშაობას.

მრავალფეროვანი სამუშაო ჩაატარეს მასწავლებლებმა/დამრიგებლებმაც.

მათ შეიმუშავეს სამუშაო გეგმა მოსწავლეებთან ერთად (მაგალითად, სასვენი ნიშნები მოსწავლეებთან

ერთად განათავსეს ფორ-მატზე და სხვადასხვა ფერის ფლომასტერებით წერდნენ ნიშნებს, აქტივობა უფრო იოლად აღსაქმელი და ხანგ-ძლივად დამახსოვრებაზე გათვლილი რომ ყოფილიყო; დაამუშადეს სხვადასხვა

ფერის ბარათები ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, რომლებზეც გამოსახეს ნოტებისა და პაუზების სიმბოლოები და ა.შ.); „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრებთან ერთად არჩევდნენ წინადადებებს



კლასი: მე-4 „4“

საგანი: მუსიკა

ხშირი გაცდენების გამო რამოდენიმე მოსწავლეს გაუჭირდა ახალი მასალის ათვისება - სხვადასხვა გრძლიობის ნოტების და პაუზების დამახსოვრება, ამოცნობა და ჩაწერა. ამიტომ მე-4 „დ“ კლასში შექმენეს „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფები და გააფორმა შეთანხმებაც. გადაწყდა, რომ „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფებში აქტიურად იმუშაებდნენ პრობლემის დაძლევაში და კონკრეტული მასალის ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებაში. მასწავლებელიც, როგორც კრიტიკული მეგობრის ჯგუფის წევრი, აქტიურად ჩაერთო მუშაობაში.

ნაბიჯები:

I ეტაპზე ჯგუფმა დაგეგმა:

- მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ფერის ბარათების დამზადება, რომელზეც ნოტების და პაუზების სიმბოლოები, დასახელებები და თვლები გამოსახეს: თვალსაჩინო რესურსის - ბარათებს დახმარებით მოსწავლეები მარტივად შეისწავლიდნენ ნოტის და პაუზის დასახელებებს, გრძლიობებს და თვლის რაოდენობას;
- ამის შემდეგ გამოიყენეს დემონსტრირების მეთოდი - დაფაზე ბარათები განათავსეს ისე, რომ თითოეულ სტრუქტურულ წარმოდგენილ ყოფილიყო კონკრეტული გრძლიობის ნოტი, პაუზა, მათი შესაბამისი სიმბოლო და დასახელება (იხ. სურ.1);

II ეტაპზე:


- „კრიტიკულმა მეგობრებმა“ სხვადასხვა ფერის ქაღალდზე დაწერეს ერთ - ერთი გრძლიობის პაუზა და მარტივი რიტმული ნახაზი. მოსწავლეს უნდა ამოერჩია ფერი და დაესახელებინა მასზე მოცემული ნოტის სახელწოდება, ნოტის და პაუზის გრძლიობა, შემდეგ ტანით შესარულეს მოცემული რიტმული ფიგურაცი (იხ. სურ.2).

მსგავსი ტიპის სავარჯიშოებს „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრები ერთად ასრულებდნენ რამდენიმე კვირის განმავლობაში. მუშაობის შემდეგ ავსებდნენ დაკვირვების და ურთიერთშეფასების სქემებსაც. ჯგუფის მუშაობა შედეგიანი აღმოჩნდა, მოსწავლეებმა ერთმანეთის დახმარებით დაძლიეს ის კონკრეტული პრობლემა, რომელიც უკავშირდებოდა ნოტის და პაუზის სიმბოლოების ამოცნობას და დამახსოვრებას. ჯგუფებში მოსწავლეთა ჩართულობა იყო მაღალი, ისინი იყვნენ მოტივირებულნი და ხალისით ასრულებდნენ კონკრეტულ დავალებას.

მოსწავლეთა მიერ შექმნილი და გამოყენებული რესურსები



სურ.1: 2



კლასი : მე-4 „ნ“

საგანი: მე და საზოგადოება

მე-4 „ნ“ კლასმა მეორე სემესტრი საშუალოდ დაბალი აკადემიური მოსწრებით დაიწყო. კვლევის ჯგუფის ინიციატივით კლასში შეიქმნა „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფი. „კრიტიკულმა მეგობრებმა“ დაიწყეს მოსწავლეებზე დაკვირვება, პრობლემების გამოკვეთა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კლასის მიღწევების გასაუმჯობესებლად. მალე გამოიკვეთა პრობლემა: გაკვეთილებზე ხშირი დაგვიანება და დაბალი მოტივაცია.

„კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის წევრები იმ მოსწავლეების მოტივის ასამაღლებლად, რომლებიც იგვიანებდნენ, დასვენებების დროს და გაკვეთილების შემდეგ მრავალფეროვნად მუშაობდნენ:

- სახლიდან მოჰქონდათ საინტერესო წიგნები და ერთად კითხულობდნენ;
- დავალებებს უმოწმებდნენ ერთმანეთს;
- ეხმარებოდნენ სწორი პასუხების მიგნებაში;
- ადგენდნენ მსგავსი შინაარსის სავარჯიშოებს და ეხმარებოდნენ პრობლემების დაძლევაში;
- ავსებდნენ ურთიერთდაკვირვების სქემებს;

პრობლემის მქონე მოსწავლეებს სურვილიც კი აღარ ჰქონდათ, ტყუილუბრალოდ დაეტოვებინათ კლასი, ან დაგვიანებით გამოცხადებულიყვნენ. ეს პროცესი 5 კვირის განმავლობაში გაგრძელდა. კლასის საშუალო აკადემიური მოსწრებაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

„კრიტიკული მეგობრები“ აქტიურად ავსებდნენ ურთიერთშეფასებისა და დაკვირვების და ურთიერთშეფასების სქემებსაც და, დამრიგებლის დაკვირვებით, სურვილიც აქვთ, გააგრძელონ „კრიტიკული მეგობრობა“.

სავარჯიშოდ, თვალს ადევნებდნენ მუშაობის პროცესს, შეჰქონდათ შესწორებები, აძლევდნენ მარტივ მითითებებს და აკვირდებოდნენ, ყველა ჩართული იყო თუ არა, რომელი გზა უფრო ეფექ-

ტური აღმოჩნდებოდა, აძლევდნენ მიმართულებას; აკვირდებოდნენ, რამდენად მიმღები იყო პრობლემის მქონე მოსწავლე მიმდინარე აქტივობისას, ენდობოდა თუ არა კრიტიკულ მეგობრებს, იზრდებოდა თუ არა

მისი ნდობა; ითვალისწინებდნენ პრობლემების მქონე მოსწავლეთა ინტერესებს და ახალისებდნენ ჯგუფის წევრების მონდომებასა და აქტიურობას; ეხმარებოდნენ რესურსების შერჩევაში (მოსწავლის შესაძლებლო-

**თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესების ახალი სახით ორგანიზებაში დიდი წვლილი შეაქვს თანამშრომლობითი მეთოდების აქტიურ გამოყენებას. ამ დროს მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალიზაციისა და კომუნიკაციისთვის საჭირო მნიშვნელოვანი უნარები.**

ბის მიხედვით ადაპტირება – პირობის გამარტივება); აწარმოებდნენ აქტიურ მონიტორინგს.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ:

- როგორც წარჩინებული, ისე სუსტი მოსწრების მქონე მოსწავლეები დიდი ინტერესით მუშაობდნენ „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფებში და დევემპილ აქტივობებში;
- თითოეულ აქტივობას მოსდევდა „კრიტიკული მეგობრების“ მხრიდან შედეგების შეჯამება, რაც მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარების სრულყოფისთვის თვალის გადავინების საშუალებას იძლეოდა.

„კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფის აქტიური მუშაობისა და „შეხვედრისა და დაკვირვებისა სქემების“ (როგორც ურთიერთ-შეფასების ფორმის) გამოყენების შემდეგ კიდევ ერთხელ ჩატარდა მოსწავლეთა ანკეტირება კლასში თანამშრომლობითი დონის დასადგენად. სულ გამოიკითხა 143 მოსწავლე. შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა თანამშრომლობითი დონე კლასში წინა მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებული. ამას მოწმობს ანკეტირების შედეგებში თანამშრომლობითი ურთიერთობის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა:

- ერთმანეთის მხარდაჭერა – 91.6%;
- კეთილგანწყობა ერთმანეთის მიმართ – 60.8%;

- პრინციპულობა და ერთმანეთის მიმართ მომთხოვნელობა – 66.4%;
- პასუხისმგებლობების გადაწველებისთვის მზაობა – 82.5%;
- თანაგანცდა – 84.6%;
- ზოგადად, კარგი ურთიერთობა ერთმანეთთან – 64.3%;
- ერთმანეთის აღიარება და თავისუფალ დროს ერთმანეთთან ურთიერთობის სურვილი – 91.6%;
- კლასში ერთმანეთთან ურთიერთობით მიღებული კმაყოფილება – 95.8%.

გამოიყო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელიც – „ქცევის წესების დაცვა“ და „სამართლიანობა“. კვლევის პირველ ეტაპზე ისინი საკმაოდ პრობლემური ჩანდა, რადგან მოსწავლეთა 60-71% მიუთითებდა ამ პრობლემაზე, ანუ რეალური, ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოს შესაქმნელად ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. **ბოლო ანკეტირების მიხედვით კი „ქცევის წესების დაცვა“ პრობლემად მიიჩნია 40.6%-მა, ხოლო სამართლიანობა – 18.9%-მა.**

- კვლევამ აჩვენა, რომ: თანამშრომლობითი საკლასო გარემო რეალურად გაუმჯობესდა მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რეგულარული გამოყენებით;
- „კრიტიკული მეგობრების ჯგუფის“ მიდგომამ რეალურად შეუწყო ხელი მოსწავლეების აქტიურ თანამშრომლობას, ურთიერთშეფასებას და, შესაბამისად, სწორ თვითშეფასებას.

ურთიერთშეფასებების გამოყენებამ:

- რეალურად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, გააუმჯობესა თანამშრომლობითი გარემო, ჩამოაყალიბა გაცილებით ხალისიანი და სანდო ურთიერთობები; ხელი შეუწყო სწავლის მიზნობრიობას, კრიტიკულ სიტუაციაში საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას და პრობლემის გადაჭრაში თანამშრომლობითი კომპონენტის უპირატესობის გამოკვეთას;
- „კრიტიკული მეგობრის“ ჯგუფებში მუშაობამ გაზარდა სასკოლო საზოგადოების ინტერესი ურთიერთშეფასების (როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის) აქტიური გამოყენების მიმართ;
- ასევე გაზარდა სსსმ მოსწავლეთა ჩართულობა საკლასო ცხოვრებაში და მათი ინკლუზიურობა;
- კვლევამ დაადასტურა უნივერსიტეტისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის ეფექტიანობა და გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა.

ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთშეფასება ბუნებრივი გზაა მასწავლებელზე ორიენტირებული განათლებიდან მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების მოდელისაკენ. ამ გზას მივყავართ მოსწავლეთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობის ზრდისკენ, მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებისკენ. ის ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობას და წარმატებით შედეგილია გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში.

**შენიშვნები:**

<sup>1</sup> განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები – კრიტიკული მეგობრის მიდგომა“ (ს. ლობჯანიძე, ე. ტყავაშვილი, მ. კირვალიძე, ი. იცკოვიჩი, ა. ვაინბერგერი, ჰ. ჰუბერი, ი. ბარათაშვილი, გ. ჯანოვა. სახელმძღვანელო. 2020). „განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები – კრიტიკული მეგობრის მიდგომა“ <https://bc8d9692-060d-4b80-a21c-2607915fb762.filesusr.com/ugd/>

# თამაში, შემოქმედებითობა და თავისუფლება



მაია ჯალიაიშვილი

შემოქმედებითობა ის უნარია, რომელიც მოსწავლეს საკუთარი თავისა თუ სამყაროს შემეცნებაში ეხმარება. მასწავლებელი კი მეგზურია ამ რთულ და უმნიშვნელოვანეს გზაზე. სკოლამ შეიძლება განავითაროს ან შეაფერხოს ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც ყველა ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება. რალაცის შექმნა (აბსტრაქტულისა თუ მატერიალურის, წარმოსახული ხატისა თუ რეალური საგნის) ადამიანის მთავარი სასიცოცხლო ვენებაა.

ცნობილი მეცნიერი, ფსიქოლოგი პიტერ გრეი, თავის წიგნში „სწავლის თავისუფლება. თამაში სკოლის წინააღმდეგ“ მრავალ პრობლემურ და აქტუალურ საკითხს ანალიზებს. მათ შორის უმთავრესია თამაშის როლი მოსწავლის შემოქმედებითი უნარის გააქტიურებაში. იგი მსჯელობს ცნობისმოყვარეობაზე როგორც ცოდნისა და შემეცნების მძლავრ მოტივატორზე. იხსენებს განათლების ექსპერტის სუგატა მიტრას ერთ ექსპერიმენტს, როდესაც მან ინდოეთის ერთ მიყრუებულ სოფელში კომპიუტერი ჩაიტანა. იმდენად დიდი იყო ბავშვების ინტერესი, ამოეხსნათ უცხო მექანიზმის მუშაობის პრინციპი, რომ მათ დამოუკიდებლად მოახერხეს მისი ანაბანის ათვისება.

პიტერ გრეი მეორე ექსპერიმენტსაც იხსენებს: ბავშვების ორ ჯგუფს ცალ-ცალკე აჩვენეს სათამაშო ყუთი, საიდანაც სხვადასხვა ლილაკზე თითის დაჭერისას იხვი ან თოჯინა ხტებოდა. ერთ ჯგუფს აუხსნეს, როგორ მუშაობდა ყუთი, მეორეს კი – არა. როცა ბავშვებს სხვა სათამაშოებიც აჩვენეს და არჩევანი შესთავაზეს, მან,

ვინც ყუთის მუშაობის პრინციპი იცოდა, ის აღარ აირჩია, ხოლო მას, ვისაც ჯერ კიდევ არ ესმოდა ამ მექანიზმის არსი, ცნობისმოყვარეობამ სძლია და ისევე ყუთი აიღო, რათა ბოლომდე ჩასწვდომოდა საიდუმლოს.

ცნობისმოყვარეობის მამოძრავებელი ძალა სწორედ შემოქმედებითი უნარია, რომელიც დროთა განმავლობაში ან განვითარდება, ან ჩაიხშობა. ერთსაც და მეორესაც ათასი მიზეზი აქვს. მთავარია, ამ მიზეზთა შორის არ იყოს სკოლა, პედაგოგების არასწორი მეთოდოლოგია და შეხედულებები. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი მასწავლებლის უწყვეტი ზრუნვა საკუთარ განვითარებაზე, იმ საინტერესო ლიტერატურისა თუ ტექნიკების გაცნობა, რომლებიც მას ამ საქმეში დაეხმარება.

პიტერ გრეი ასკვნის, რომ სკოლები ძირითადად აბრკოლებენ ცნობისმოყვარეობას, რადგან მასწავლებლები მოსწავლეებს ბოლომდე უხსნიან ყველაფერს. როდესაც მათემატიკის მასწავლებელი განტოლების ამოხსნის გზას უჩვენებს, მოსწავლეს ჰგონია, რომ მეტი არაფერია აღმოსაჩენი, ის აღარ დაეძებს ალტერნატიულ გზებს, ამიტომაც ცნობისმოყვარეობა უნელდება და არც აღმოჩენის სიხარულს განიცდის, რომელმაც შეიძლება სწავლისკენ უბიძგოს.

მეცნიერს მიაჩნია, რომ თამაშისკენ სწრაფვა ბადებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და სწავლაში ეხმარება მას. საიდუმლოს ამოხსნის წყურვილი აიძულებს ბავშვს, ეძებოს ახალი ცოდნა, დაეჭვდეს იმაში, რაც ასწავლეს, მოიფიქროს განსხვავებული გზები. თამაში სწორედ ის არის,

**შემოქმედებითობა ის უნარია, რომელიც მოსწავლეს საკუთარი თავისა თუ სამყაროს შემეცნებაში ეხმარება. მასწავლებელი კი მეგზურია ამ რთულ და უმნიშვნელოვანეს გზაზე. სკოლამ შეიძლება განავითაროს ან შეაფერხოს ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც ყველა ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება.**



რაც მოტივაციას აჩენს ახალი უნარების შესაძენად. ძიების პროცესში კი საჭირო ხდება ფანტაზიის ჩართვა. მაგალითად, სუგატა მიტრას ზემოთ ნახსენებ ექსპერიმენტში ბავშვებმა დამოუკიდებლად გაარკვეეს თუ არა გრაფიკული დიზაინის მუშაობის პრინციპი, მაშინვე დაიწყეს სხვადასხვა რამის დახატვა. ამ ნახატებს ისინი თვითონვე იგონებდნენ და არ ხატავდნენ იმას, რაც უკვე ნანახი ჰქონდათ.

ცნობილია, რომ ბავშვები ენასაც თამაშით სწავლობენ. ფრაზების აგება, კალამბურების მოფიქრება, სტრიქონების გართიმვა ხომ ფაქტობრივად სიტყვებით თამაშია. ამიტომ არის, რომ ისინი ხშირად აოცებენ მშობლებს მახვილგონივრული გამონათქვამებით. ქართულ სოციალურ ქსელებში დღესაც შეხვედებით მშობლებს, რომლებიც თავიანთი პატარების ამგვარ მახვილსიტყვაობას აზიარებენ. სამწუხაროდ, სიტყვებისადმი, ენისადმი ასეთი დამოკიდებულების ხარისხი თანდათან იკლებს. ეს ინტერესი მხოლოდ მას რჩება, ვინც ხელობად მწერლობას ან ჟურნალისტიკას ირჩევს. ქართულ ლიტერატურაში სიტყვებთან ასეთი ბავშვური სიცელქით მოთამაშედ ბოლომდე დარჩა გურამ დოჩანაშვილი. ამ თამაშს მოაქვს უცნაური და მრავალმნიშვნელოვანი ახალი სიტყვები, პოეტური ნეოლოგიზმები. ვალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე სიტყვათქმნადობის გასაოცარი სიუზვით გამოირჩევიან.

პიტერ გრეის აზრით, ვინაიდან ადამიანი ჰომო საპიენსია გონიერია, მას უყვარს აღმოჩენისკენ მიმართული თამაშები, რომლებშიც ცნობისმოყვარეობისა და თამაშის ელემენტები ერთმანეთს ერწყმის. ასეთი გართობით ადამიანი შეიცნობს სამყაროს. რეალურად ყველა საბავშვო თამაში კვლევაა. ჩვენ გადარჩენას ვახერხებთ მხოლოდ იმიტომ, რომ მუდამ ვმოძრაობთ, ერთგვარ კონსტრუქციულ თამაშში ვართ ჩართულნი. ბავშვები ქვიშისგან კომკებს აგებენ, კუბიკებისგან - კოსმოსურ ხომალდებს, ხატავენ უცნაურ საგნებს. ისინი ბაძავენ დიდებს, რომლებიც უკიდევანო ფანტაზიის წყალობით შეუძლებელს შესაძლებლად აქცევენ.

**შეიძლება თუ არა, შეფასება  
შემოქმედებითი უნარის  
დამაბრკოლებლად იქცეს?**

პიტერ გრეი შეფასების ფარდობით ხასიათზეც მსჯელობს. მისი აზრით, შეფასება მხოლოდ მისთვისაა მამოტივირებელი, ვინც უკვე იცის რაღაც, მისთვის კი, ვინც ახლა იწყებს რამის შესწავლას, შესაძლოა მართლაც დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს, ამიტომ მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს შეფასებისას, ზუსტად განსაზღვროს, რა შემთხვევაში გამოიყენოს ეს ინსტრუმენტი.



სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ბავშვები ახალ უნარებს შეიძენენ. მიუღებელია, გავითვლით მხოლოდ ამ უნარების დემონსტრირებას ემსახურებოდეს. მასწავლებელმა უნდა გაიზაროს, რომ ბავშვი არ სწავლობს იმისთვის, რათა სხვებზე მოახდინოს შთაბეჭდილება. მუდმივი კონტროლი სტიმულს აძლევს მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელიც ისედაც წარმატებულია, მაგრამ აფერხებს იმას, ვინც ნაკლები იცის. შეფასება ერთმანეთისგან განაცალკევებს კარგსა და ცუდ მოსწავლეებს და უთანასწორო მდგომარეობის არასასურველ კონტექსტს ქმნის.

თამაშის მნიშვნელობისა და გავლენის შესახებ პიტერ გრეის ოთხი მნიშვნელოვანი დასკვნა გამოაქვს:

1. თუ მოსწავლეს ვაიძულებთ, კარგად ისწავლოს, შესაძლოა ხელიც კი შეეშალოს მისი სწავლისა და განვითარების პროცესს. როდესაც მოსწავლე თავისუფალია „დამკვირვებლისგან“ (შეფასებისგან), მაშინ უფრო თავისუფლად და ხალისიანად მოქმედებს, ცდილობს, ამოხსნას მათემატიკური ამოცანა თუ გადაჭრას სხვა ტიპის პრობლემა.
2. თუ ვაიძულებთ, შემოქმედებითად იზროვნოს, მოსწავლეს შემოქმედებითი უნარები არ განვითარდება. პიტერ გრეის მოჰყავს ცნობილი ფსიქოლოგის ტერენს ამაბაილის ექსპერიმენტი. მეცნიერი ბავშვების ჯგუფს აძლევდა შემოქმედებითი ტიპის დავალებას (დაეხატათ რამე, დაეწერათ სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტი და სხვ.). მოტივაციის ასამაღლებლად მათ ნაწილს წინასწარ ეუბნებოდა, რომ ნამუშევრები შეფასდებოდა იმის მიხედვით, რამდენად წარმოაჩენდნენ შემოქმედებით უნარს, შესაძლოა გაეგზავნათ კონკურსზეც, მიიღებდნენ ჯილდოს და სხვ. შემდეგ მათი ნამუშევრები დამოუკიდებელ ექსპერტებს შეფასებინა. აღმოჩნდა, რომ იმ მოსწავლეთა ნამუშევრებში უფრო გამოიკვეთა შემოქმედებითი უნარები, რომლებსაც წინასწარ არაფერი უთხრეს შეფასების შესახებ და რომლებიც შედეგებზე არ ფიქრობდნენ. ისინი მუშაობდნენ საკუთარი სიამოვნებისთვის და არა მაღალი შეფასების მისაღებად, შეიძლება ითქვას, ერთობოდნენ, თამაშობდნენ. არაშემოქმედებითი საქმიანობისას გარკვეული ტიპის ჯილდო შესაძლოა მართლაც იყოს სტიმულის მიმცემი, მაგრამ არა ამ შემთხვევაში. მცდელობა ადამიანს შემოქმედებად ვერ აქცევს.

3. ლალი განწყობილება სტიმულს აძლევს შემოქმედებით უნარებს და ადამიანს პრობლემის არსში ჩაწვდომაში ეხმარება. ექსპერიმენტის მიხედვით, ბავშვებს კოლაჟები უნდა შეექმნათ. მათ ერთ ჯგუფს შემოქმედებითი დავალების მიცემამდე შესთავაზეს, ეთამაშათ, ცომისგან გამოეძერწათ, რაც სურდათ, მეორეს კი ტექსტის გადაწერა დაავალეს. შედეგად, იმ ბავშვებმა, რომლებმაც ცომით ითამაშეს, უკეთესად გაართვეს თავი დავალებას. ამ ლაღმა, სათამაშო განწყობილებამ შემოქმედებით უნარებს გამოვლენის მეტი საშუალება მისცა. ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რა კარგად მოქმედებს სახალისო განწყობილება ანალიტიკური პრობლემების გადაწყვეტაზე. ამას მოწმობს ფსიქოლოგ კარლ დუნკერის ექსპერიმენტიც. მონაწილეებს დაევალიათ, პატარა სანთელი ისე დაემარებინათ კედელზე, რომ ნალენთი იატაკზე არ ჩამოწვეთილიყო. ამისთვის მისცეს მხოლოდ სანთელი, ასანთი და ჭიკარტების კოლოფი. დავალების შესრულებამდე ნაწილს არჩენეს ხუთწუთიანი ნაწყვეტი კომედიიდან, მეორეს – სერიოზული დოკუმენტური ფილმიდან მათემატიკაზე, მესამეს – არაფერი. შედეგები გასაოცარი აღმოჩნდა: კომედიის მნახველთა 75%-მა დავალებას შესანიშნავად გაართვა თავი. დანარჩენ ორ ჯგუფში მაჩვენებელი 20% და 13% იყო. ამგვარად, იუმორის ხუთმა წუთმა ხელი შეუწყო შემოქმედებითი უნარის გაღვიძებასა თუ გაღვივებას, ვხა გაუხსნა არასტანდარტულ აზროვნებას. წინასწარი გართობა, სილაღე მოსწავლეებს თამაშის განწყობილებას უტოვებს და ამოცანის გადაწყვეტას უიოლებს.
4. მხიარული, ლალი, სათამაშო განწყობილება ბავშვებს ლოგიკური პრობლემების გადაჭრაშიც ეხმარება.

ჩვენი აზრითაც, შემოქმედებითობა თვითონ პროცესზე კონცენტრირებას გულისხმობს. ამის შესახებ მოხდენილად ამბობს გურამ რჩეულიშვილი: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულობით ტკობაში“ („ალავერდობა“). ამიტომაც იყო პროტესტის მისეული ფორმა ასეთი საპნოტანური და შემოქმედებითი.

პიტერ გრეის თამაშის ხუთ მახასიათებელს გამოკვეთს:

**ექსპერიმენტები და გამოკვლევები ადასტურებს, რომ თავისივე არჩეულ დავალებას ადამიანი უკეთესად ასრულებს, ვიდრე გარედან ნაკარნახევს, ამიტომ სკოლაში მოსწავლეებს ყოველთვის უნდა მიეცეთ ალტერნატიული დავალებები. შეიძლება, თვითონაც მოიფიქრონ ამოცანები. მაშინ მეტი ხალისით შეუდგებიან საქმეს.**

- ❶ ჩვენ თვითონ ვირჩევთ თამაშებს და დამოუკიდებლად ვთამაშობთ;
- ❷ თამაშის პროცესი და საშუალებები შედეგზე მეტად ფასდება;
- ❸ თამაშს აქვს სტრუქტურა და წესები, რომლებიც თამაშის მონაწილეებისგან მომდინარეობს და არ არის ნაკარნახევი გარე მიზეზებით;
- ❹ თამაში მოიცავს ფანტაზიას, წარმოსახვას, მასში ყველაფერი არ გაიგება პირდაპირ, სიტყვასიტყვით, მონაწილეთა წარმოდგენაში ის შორს არის „რეალური“ ან „სერიოზული“ ცხოვრებისგან;
- ❺ თამაშის დროს ცნობიერება აქტიური და ფზიხელია (მღვიძარეა), თანაც არ არის დაძაბული.

პიტერ გრეის აზრით, თამაში თავისუფლებასთან ასოცირდება. ეს ის არის, რასაც არავინ გვაიძულებს. ერთი ექსპერიმენტის მიხედვით, ბავშვები თამაშად ნათლავდნენ იმას, რასაც საკუთარი სურვილით აკეთებდნენ შესვენებაზე, ხოლო მუშაობად - იმას, რასაც გაკვეთილზე მასწავლებლის მოთხოვნით ასრულებდნენ. შესაძლოა, თამაშს ყოველთვის არ ახლდეს ღიმილი და მხიარულება, მაგრამ თავისუფლების შეგრძნება ყოველთვისაა.

ძალისხმევა მიზნის მისაღწევად განსხვავდება სათამაშო სიტუაციისგან. მუშაობისას ადამიანი შედეგზეა ორიენტირებული, ამიტომ ყოველგვარი მოქმედება მას ექვემდებარება. თუ არ თამაშობს, ადამიანი ირჩევს საშუალებას, რომელიც ყველაზე სწრაფად და ნაკლები ძალისხმევით მისცემს შედეგს. ასე იქცევა მაღალი ნიშნის მიღებაზე ორიენტირებული მოსწავლეს. მისთვის არანაირი საქმე არ არის ღირებული, რომელსაც შედეგი არ მოჰყვება. თამაშს კი გონება სხვა რეჟიმში გადაჰყვავს. თამაში თამაშისთვისაა, თვითონ პროცესია საინტერესო და არა შედეგი. თუ მოსწავლე ორიენტირებული არ იქნება შედეგზე, ნიშნის მიღებაზე აღარ იღვლებს, მისთვის თვითონ სწავლის პროცესი გახდება სასიამოვნო და საინტერესო.

თამაშის დროს საშუალებაა მთავარი და არა მიზანი, ამიტომაც გონება აღარ ეძებს მარტივ გამოსავალს. პიტერ გრეი მკითხველს სთხოვს, ჯერ წარმოიდგინოს კატა, რომელიც თავზე ნადირობს, მერე კი – კატა, რომელიც თავის ქვრით ერთობა. პირველ შემთხვევაში კატა ეცდება,

ყველაზე სწრაფი გზა გამოძებნოს თავის დასაჭერად, მეორე შემთხვევაში კი სხვადასხვანაირად, თამაშ-თამაშით გაიმეორებს დაჭერის პროცესს.

ექსპერიმენტები და გამოკვლევები ადასტურებს, რომ თავისივე არჩეულ დავალებას ადამიანი უკეთესად ასრულებს, ვიდრე გარედან ნაკარნახევს, ამიტომ სკოლაში მოსწავლეებს ყოველთვის უნდა მიეცეთ ალტერნატიული დავალებები. შეიძლება, თვითონაც მოიფიქრონ ამოცანები. მაშინ მეტი ხალისით შეუდგებიან საქმეს. ნაკლები კონტროლი მეტ თავისუფლებას მისცემს მოსწავლეს, რათა არ შეეშინდეს დასჯის, იმოქმედოს ლაღად და ამ პროცესში გამოავლინოს შემოქმედებითი უნარები.

დავლების შესრულებისთვის ჯილდოს დაწესებაც აქრობს სათამაშო სიტუაციის შეგრძნებას. ტომ სოიერმა მეგობარ ბენს ლოზე ისე შეაღებინა, რომ ბენმა აქეთ გადაუხადა ამ „პრივილეგიისთვის“. რატომ? – ბენს ჰქონდა ილუზია, რომ ეს მისი არჩევანი იყო, ამიტომ სიამოვნებით და ხალისით ლეზავდა.

მკვლევართა ჯგუფმა ექსპერიმენტი ჩაატარა. ბავშვები, რომლებსაც ფლომასტერებით ხატვა უყვარდათ, სამ ჯგუფად დაყვეს. პირველს დაჰპირდნენ, რომ საუკეთესო ნახატის ავტორს სიგელს მისცემდნენ, მეორეს უთხრეს, რომ ჯილდო სიურპრიზი იქნებოდა, მესამეს არაფერს დაჰპირდნენ. პირველი ჯგუფის ბავშვებმა სწრაფად და უხარისხოდ შეასრულეს დავალება, დანარჩენი ორი ჯგუფის ბავშვთა ნახატები კი წარმოსახვის სიღალითა და მდიდარი ფანტაზიით გამოირჩეოდა. ჯილდოზე ორიენტირებამ შემოქმედებითი თავისუფლების მუხტი გააქრო.

ვფიქრობთ, ყველა მასწავლებლის ამოცანა უნდა იყოს, ხშირად მოიფიქროს ისეთი დავალებები, რომლებიც შედეგზე, შეფასებაზე, ჯილდოზე კი არ იქნება ორიენტირებული, არამედ იმაზე, რომ თვითონ პროცესი იყოს საინტერესო – განურჩევლად შედეგისა. ეს კლასში თამაშის სიხალისეს, თავისუფლებას (ილუზიურსა თუ რეალურს) შემოიტანს, რაც მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენის მეტ შესაძლებლობას მისცემს. პიტერ გრეის ნაშრომის გაცნობა კი მასწავლებელს შესაძლოა ურთულესი ამოცანების გადაწყვეტაშიც დაეხმაროს ([http://loveread.me/read\\_book.php?id=56195&p=1](http://loveread.me/read_book.php?id=56195&p=1)).







მანანა ბოქორიძე

# მასწავლებლის მნიშვნელოვანი ჩანაწერები

მასწავლებელი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრ ჩანაწერს აკეთებს. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ის ჩანაწერები, რომლებშიც მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოებია გაანალიზებული. ამ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც. ანალიზზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია თავის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ჰოლისტიური გადააზრება და თვითშეფასება, ასევე, მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით, მათთვის ქმედითი და ინსტრუქციული უკუკავშირის მიცემა.

ფაქტია, ყველა მასწავლებელი თემატური ერთეულის ფარგლებში გეგმავს კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებას, ამზადებს კლასს ამ დავალებისთვის, ატარებს შემაჯამებელ სამუშაოს, მოსწავლეთა ნამუშევრებს აფასებს სოლო ტექსტუალურ დაყრდნობით და შედეგები შეაქვს რეესტრის ფორმაში, რომელიც შესაძლოა ასე გამოიყურებოდეს:

**კომპლექსური /  
შემაჯამებელი  
დავალების  
რეესტრი**

კლასი – მე-3  
საგანი – ბუნებისმეტყველება  
სემესტრი – პირველი

**უნისტრუქტურული – მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი ზედაპირული ინფორმაციის ფლობა საკითხთან მიმართებით.**

#	სახელი და გვარი	#1 შემაჯამებელი/ თემა – მზის სისტემა	#2 შემაჯამებელი / თემა – ყვავილოვანი მცენარეები	#3 შემაჯამებელი / თემა – ბუნებრივი მოვლენები	შენიშვნა
1	ნინო ნინუა	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	მიმართებითი	
2	მარი ანუა	მიმართებითი	მიმართებითი	მიმართებითი	
3	გიორგი მზეიძე	მიმართებითი	გაფართოებული	გაფართოებული	
4	საბა ბუაძე	მულტისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	
5	ნანა ვადაჭკორია	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	

**მოკლედ მიმოვიხილოთ სოლო ტექსტუალური თითოეული დონე.**

**პრესტრუქტურული –** მოსწავლე ვერ აყალიბებს საკითხს, ვერ ახერხებს საუბარს თემაზე, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.

**მულტისტრუქტურული –** მოსწავლეს შეუძლია საკითხის რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.

**მიმართებითი –** მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია ამ საკითხებთან

**მასწავლებელი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრ ჩანაწერს აკეთებს. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ის ჩანაწერები, რომლებშიც მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოებია გაანალიზებული. ამ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც.**

დაკავშირებულ საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე – როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.

**გაფართოებული** – მოსწავლეს შეუძლია მოცემული/შეთავაზებული საკითხების /ცნებების მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.

კომპლექსური/შემავალი დავალებების შედეგების გაანალიზება თითოეული მოსწავლისთვის ნამდვილად რუტინულია, მაგრამ კარგ სურათს იძლევა, როცა თითოეული მოსწავლის პროგრესისა თუ რეგ-

რესის დონეზე ვაანალიზებთ სიტუაციას. ასევე ეფექტურია მასზე დაყრდნობით ჩვენ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსის თვითშეფასებაც.

გთავაზობთ ზემოთ მოცემულ მასალებზე დაყრდნობით მასწავლებლის მიერ გაკეთებული ანალიზების მინიმუმებს.





**ანალიზზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია თავის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის კოლისტური გადააზრება და თვითშეფასება, ასევე, მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით, მათთვის ქმედითი და ინსტრუქციული უკუკავშირის მიცემა.**

**მოსწავლე – ნანა ვადაჭკორია**  
**კლასი – მე-3**  
**საგანი – ბუნებისმეტყველება**

ნანამ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაძლია მასალა, პროგრესი აჩვენა და სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ბუნებისმეტყველების პირველი თავის შესწავლისას მან შეძლო მხოლოდ ცალკეული ასპექტების გათვალისწინებით ამ თავის (მზის სისტემა) ძირითადი ცნებების ათვისება; მეორე თავის (ყვავილოვანი მცენარე) შესწავლისას შესასწავლი საკითხის რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება მოახერხა, თუმცა მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე; მესამე თავის (ბუნებრივი მოვლენები) შესწავლისას კი მან წარმატებით გაიზარა, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე – როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.

ყველა მასწავლებელს ჩანაწერების გაცეთების თავისებური სტილი აქვს, თუმცა შემავსებელი დავალების შედეგებზე დაყრდნობით განხორციელებული ანალიზი მასწავლებლის ერთ-ერთი არსებითი აქტივობაა.

**მოსწავლე – ნინო ნინუა**  
**კლასი – მე-3**  
**საგანი – ბუნებისმეტყველება**

ნინომ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში წარმატებით დაძლია მასალა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ბუნებისმეტყველების პირველი თავის შესწავლისას (მზის სისტემა) მან შეძლო შესასწავლი საკითხის სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინება, თუმცა მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე, მეორე და მესამე თავების (ყვავილოვანი მცენარე, ბუნებრივი მოვლენები) შესწავლისას კი მან წარმატებით გაიზარა, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ახსნა, როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.

**მოსწავლე – გიორგი მზეიძე**  
**კლასი – მე-3**  
**საგანი – ბუნებისმეტყველება**

გიორგიმ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში ბრწყინვალედ დაძლია მასალა, ბუნებისმეტყველების პირველი, მეორე და მესამე თავების შესწავლისას წარმატებით გაიზარა, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, კრიტიკულად გაიზარა, როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთლიანს. მეორე და მესამე თავების შესწავლისას მან წარმატებით შეძლო შესასწავლი ცნებების მიღმა სტრუქტურის განზოგადება, მისი აღქმა მრავალი პერსპექტივიდან და იდეების ახალ კონტექსტში გადატანა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Collis, K. (1982). Evaluating the Quality of Learning: The SOLO Taxonomy. New York: Academic Press.
2. <https://ganatldi.ge/app/uploads/2019/03/განმავითარებელი-შეფასება-და-დიფერენცირებული-სწავლება.pdf>
3. ვულფოლკი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.
4. <http://mastsavlebeli.ge/?p=32092>







ნინო ფეტვაშვილი

# კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის გზით

**მთავარი, რითაც მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს გაკვეთილის თემის, რესურსების შერჩევისას, მოსწავლეებთან მუშაობის მეთოდებია, მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, რისი სწავლება გვინდა, როგორ უნდა ვასწავლოთ, რა ეტაპები უნდა გაიაროს მოსწავლემა გაკვეთილზე.**

საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კრიტიკული აზროვნების განვითარებაა. საჭიროა, პროცესი ისე დაიგეგმოს, რომ ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარი ყურადღების მიღმა არ აღმოჩნდეს. ალსანიშნავია, რომ კრიტიკული აზროვნების სწავლა შესაძლებელია და ინფორმაციის გადაცემასთან ერთად აუცილებელია, მასწავლებელი ზრუნავდეს ისეთი გონებრივი აქტივობების განხორციელებასაც, რომლებიც ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარებს გაააქტიურებს. რეალობა გადაწყვეტილებების მიღების უწყვეტ ციკლში ამყოფებს ადამიანს, შესაბამისად, კრიტიკული აზროვნება სცდება საგანმანათლებლო სივრცეს და პრაგმატული ყოფის განუყოფელი ნაწილი ხდება.

კრიტიკული აზროვნების მრავალი განმარტება არსებობს. დევიდ ჰალპერნი წიგნში „კრიტიკული აზროვნების ფსიქოლოგია“ წერს: „კრიტიკული აზროვნება არის კოგნიტიური ტექნიკისა და იმ სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ზრდის სასურველი შედეგის მიღების ალბათობას“. იგულისხმება კონტროლირებადი, მიზანდასახული აზროვნების ტიპი, რომელიც გამოიყენება პრობლემების გადაჭრის, დასკვნების ფორმულირების, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს. იმავდროულად, მოაზროვნე ადამიანი იყენებს უნარ-ჩვევებს, რომლებიც გამართლებული და ეფექტურია კონკრეტული ტიპის სიტუაციისა და პრობლემისთვის. კრიტიკული აზროვნება გულისხმობს თავად აზროვნების პროცესის შეფასებასაც – მსჯელობას, რამაც კონკრეტულ დასკვნამდე მიგვიყვანა.

მკვლევრები კრიტიკული აზროვნების შემდეგ განმარტებასაც გვთავაზობენ: „კრიტიკულად აზროვნება ნიშნავს ცნობისმოყვარეობას და კვლევის მეთოდების გამოყენებას: კითხვების დასმას და პასუხების სისტემატურ ძიებას. კრიტიკული აზროვნება მუშაობს მრავალ დონეზე, არ კმაყოფილდება ფაქტებით, არამედ განსაზღვრავს ამ ფაქტების მიზეზებსა და შედეგებს. კრიტიკული აზროვნება გულისხმობს თავაზიან სკეპტიციზმს, საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებებში ეჭვის შეტანას, გარკვეულ საკითხზე თვალსაზრისის განვითარებას და ამ თვალსაზრისის ლოგიკური არგუმენტებით დაცვის უნარს“<sup>1</sup>. კრიტიკული აზროვნება არის „შეფასებითი აზროვნება“, რომლისთვისაც ცოდნა არა საბოლოო, არამედ საწყისი წერტილია, დასაბუთებული და ლოგიკური აზროვნება, რომელიც ემყარება პირად გამოცდილებასა და დამოწმებულ ფაქტებს.


კრიტიკული აზროვნების უნარზე ორიენტირებული სწავლა გულისხმობს არა მხოლოდ აქტიურ ძიებას რამის შესასწავლად, არამედ უფრო მეტს: ნასწავლის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას და შედარებას სხვა კვლევებთან. მოსწავლეებს უფლება აქვთ, ეჭვქვეშ დააყენონ მიღებული ინფორმაციის სანდოობა ან ავტორიტეტი, შეამოწმონ მტკიცებულებების ლოგიკა, გამოიტანონ დასკვნები, მოიხმონ ახალი მაგალითები მის გამოსაყენებლად, განიხილონ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობები და ა.შ.

ტექნოლოგია „კრიტიკული აზროვნების განვითარება წერისა და კითხვის გზით“ შეიმუშავებს

მეცნიერებმა და პროფესორებმა სმიტის კო-ლეჯსა და ჩრდილოეთ აიოვის უნივერსიტეტში (აშშ). ეს არის ინტეგრალური სისტემა, რომელიც აყალიბებს ინფორმაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს კითხვისა და წერის პროცესში; გვთავაზობს სპეციფიკური მეთოდოლოგიური ტექნიკის სისტემას, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა საგნობრივ სფეროში და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის. ეს თანამედროვე „ზესუბიექტური“ უნივერსალური ტექნოლოგიაა, რომელიც ღიაა დიალოგისთვის სხვა პედაგოგიურ მიდგომებსა და ტექნოლოგიებთან, რომლებიც ორიენტირებულია გადაუდებელი საკითხების გადაჭრაზე, საგანმანათლებლო პრობლემებზე. ამ ტექნოლოგიის ძირითადი

აქედან გამომდინარეობს ტექსტის მნიშვნელობების სიმრავლის გაგება და ის ფაქტი, რომ მისი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მკითხველზე და კლასში ჯგუფური მუშაობის ორგანიზების ფორმაზე. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელს ხდის სასწავლო პროცესში სხვადასხვა სახის ინტელექტუალური საქმიანობის უნარ-ჩვევების კომუნიკაციის უნარებთან გაერთიანებას.

ტექნოლოგია „კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის გზით“ გულისხმობს ისეთ ჩარჩოს, რომელშიც გაკვეთილი არის ე.წ. ტექნოლოგიის ძირითადი მოდელი, რომელიც შედგება სამი: გამოწვევის, სემანტიკური და რეფლექსიის – ეტაპისგან.



ფილოსოფიური ასპექტებია ღია საზოგადოების იდეა და კულტურის თანამედროვე გაგება, რაც გულისხმობს სუბიექტების აქტიურობას, მათ შორის ურთიერთობის შესაბამისობას სხვადასხვა მსოფლმხედველობის არსებობა-არარსებობის პირობებში. ეს აღქმისა და ქცევის ერთიანი, მკაცრად განსაზღვრული ნორმაა.

გაკვეთილის ასეთი სტრუქტურა ჩვენთვის ცნობილია და, ფსიქოლოგების აზრით, შეესაბამება ადამიანის აღქმის ეტაპებს: ჯერ უნდა გაიხსენოთ, რა იცით ამ თემაზე, შემდეგ გაეცნოთ ახალ ინფორმაციას, დაფიქრდეთ, რისთვის გჭირდებათ მიღებული ცოდნა და როგორ შეგიძლიათ მისი გამოყენება.

**კითხვის  
სტრატეგიებთან  
ერთად  
მნიშვნელოვანია  
წერის მეთოდების  
ისე შერჩევაც, რომ  
მოსწავლისთვის  
ჩვეული რუტინა  
საინტერესო და  
სახალისო ქმედებად  
ვაქციოთ. წერიით  
დავალბების  
ანალიზი  
მნიშვნელოვანია  
კრიტიკული  
აზროვნების  
განვითარებისთვის.**

ნაკლებად სავარაუდოა, რომ თანამედროვე სკოლის ბევრი მოსწავლე მხატვრული ლიტერატურის კითხვას ერთ-ერთ საყვარელ გართობას უწოდებდეს. მულტიმედია ინფორმაციის წყაროების მრავალფეროვნება, შემოთავაზებული სარეკლამო და გასართობი პროგრამების ფართო სპექტრი, რომელიც არ მოითხოვს მაცურებლისგან ან მსმენელისგან სერიოზულ ფიქრს, იწვევს „ცხოვრების ზეიმის“ განცდას. გარდა ამისა, ბავშვთა საკითხავში ყველაზე დიდი ადგილი უკავია ე.წ. მასობრივ ლიტერატურას (ფანტასტიკა, დეტექტივები, ფენტეზი და ა.შ.), რომელიც მათ გონებას გარემომცველ სამყაროს აშორებს.

მეორე მხრივ, არიან ბავშვები, რომლებისთვისაც ზრდასრულთა საზოგადოების კანონები არ არის საიდუმლო: მათ უკვე სრულად განიცადეს მისი ყველა არამიმზიდველი მხარე და მხატვრული ლიტერატურის კითხვა საინტერესოდ აღარ ეჩვენებათ. ამიტომ ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები, სადაც ყველაზე ხშირად სწავლობენ ლიტერატურულ ტექსტებს, სირთულეებს უქმნის სკოლის მოსწავლეებს.

გაკვეთილებზე საჭიროა არა მხოლოდ ტექსტის წაკითხვა და ინფორმაციის მოპოვება, არამედ მხატვრული სინამდვილის მთელი მრავალფეროვნების ანალიზი, სხვადასხვა კუთხით შეფასება და ხშირად საკუთარი ტექსტის შექმნა, რომელიც აგებულია ხელოვნების ნაწარმოების მახასიათებლების გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, ზოგჯერ მოსწავლეებსა და მშობლებს წარმოუდგენიათ, რომ ტექსტის წაკითხვა საკმარისია. ბავშვებს, რომლებიც კეთილსინდისიერად კითხულობენ წიგნებს, ხშირად არ შეუძლიათ, დამოუკიდებლად გააანალიზონ ნაწარმოების პრობლემები, აღწერონ პერსონაჟები, გადმოსცენ შთაბეჭდილებები.

რა თქმა უნდა, ენისა და ლიტერატურის გაკვეთილების ერთ-ერთი ამოცანაა, დაეხმაროს მოსწავლეს, გააცნობიეროს ხელოვნების ნაწარმოების მეტაფორული სამყარო, გაიგოს ავტორის განზრახვა და შეაფასოს, თუ როგორ არის იგი განსხვავებული სიტყვაში. კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია აფართოებს ამოცანების სპექტრს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: შექმნილი ცოდნის ბოლომდე გათავისება, პრობლემების გადაჭრის გამოცდილების მიღება.

თანამედროვე მედიასთან სასტიკი კონკურენციის პირობებში მოქცეული ლიტერატურის მასწავლებლები მუდმივ შემოქმედებით ძიებაში უნდა იყვნენ და სწავლების ახალი მეთოდებით ინტერესდებოდნენ, მგრძნობიარედ რეაგირებდნენ პედაგოგიური მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ სიახლეებზე.

პაუზებით კითხვა – ეს მეთოდოლოგიური ტექნიკაა ტექსტის წაკითხვის ორგანიზებისთვის სხვადასხვა ტიპის კითხვების გამოყენებით. მოცემული სტრატეგია მუშაობს როგორც დამოუკიდებელი კითხვისას, ასევე ტექსტის მოსმენისას და გამოიყენება შინაარსის გააზრების ეტაპზე.

- ეს მიდგომა ითვალისწინებს შემდეგს:
  - ტექსტი ნაცნობი არ უნდა იყოს მოსწავლეებისთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში იკარგება ტექსტის გამოყენების აზრი და ლოგიკა);
  - ტექსტი წინასწარ იყოფა ნაწილებად; მონიშნულია „პირველი გაჩერება“, „მეორე გაჩერება“ და ა.შ. ნაწილები შესაძლოა სხვადასხვა მოცულობისა იყოს, თითოეული მონაკვეთის შიგნით სემანტიკური ერთიანობა მნიშვნელოვანია. გაჩერება არ უნდა იყოს ბევრი (სასურველია, არა უმეტეს ხუთისა), რათა მოსწავლეებმა მთლიანობაში დაინახონ ნამუშევარი და გაიგონ ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება;
  - ტექსტის დავალებები და კითხვები ფორმულირებულია შემცნებითი აქტივობის დონეების იერარქიის გათვალისწინებით (ბენჯამინ ბლუმის მიხედვით).

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგისა და მასწავლებლის ბენჯამინ ბლუმის მიერ შექმნილი კითხვების სისტემატიკა, შემეცნებითი აქტივობის დონეების მიხედვით სასწავლო მიზნების ტაქსონომიაზე დაფუძნებული (ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება), მკითხველისთვის ცნობილი და საკმაოდ პოპულარულია თანამედროვე სამყაროში.

- პრაქტიკული მუშაობის დროს ზოგიერთ პედაგოგს აქვს ტაქსონომიის საკუთარი მოდიფიკაცია:
  - მარტივი კითხვები. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა რამდენიმე ფაქტის დასახელება, გარკვეული ინფორმაციის დამახსოვრება და რეპროდუქცირება. ისინი ხშირად გამოიყენ-



ნება კონტროლის ტრადიციულ ფორმებში: დავალებებში, ტესტებში, ტერმინოლოგიური კარნახის ჩატარებისას და ა.შ.

❶ დამაზუსტებელი კითხვები. ჩვეულებრივ, იწყება სიტყვებით: „შენ ამბობ, რომ...“, „თუ სწორად მესმის, მაშინ...“, „შეიძლება ვცდები, მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენ თქვით...“ ამ კითხვების მიზანია, მისცეთ მოსწავლეს უკუკავშირის შესაძლებლობა. ძალიან მნიშვნელოვანია ამ კითხვების დასმა კეთილგანწყობით. როგორც დამაზუსტებელი კითხვის პაროდია, შეგვიძლია, მოვიყვანოთ მაგალითი (წარბები – აწეული, თვალები – გაფართოებული): „მართლა გგონია, რომ...?“

❷ ინტერპრეტაციული (ახსნითი) კითხვები – „რატომ?“. ზოგიერთ სიტუაციაში ასეთი კითხვები შეიძლება აღიქმებოდეს როგორც იძულება. სხვა სინამდვილეში ეს კითხვა მიზნად ისახავს მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარებას.

❸ კრეატიული კითხვები. თუ კითხვაში არის ვარაუდის ელემენტი, ავტორები მას კრეატიულს უწოდებენ. მაგ., „როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება ფილმის სიუჟეტი?“

❹ შეფასებითი კითხვები. ეს კითხვები მიზნად ისახავს გარკვეული მოვლენების, ფაქტების შეფასებას.

❺ პრაქტიკული კითხვები. თუ კითხვა მიზნად ისახავს თეორიასა და პრაქტიკას შორის

კავშირის დანახვას, მას პრაქტიკულს უწოდებენ. მაგ., „რას გააკეთებდით მოთხრობის პერსონაჟის ადგილას?“

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა ასაკის (პირველი კლასიდან დაწყებული) მოსწავლეებს ესმით ყველა ტიპის კითხვის მნიშვნელობა, ანუ შეუძლიათ საკუთარი მაგალითების მოყვანა. გაკვეთილებზე მუშაობისას „გაჩერებით კითხვის“ სტრატეგიას ემატება ტექნოლოგიის სხვა ტექნიკა გამოწვევისა და რეფლექსიის ეტაპზე. კითხვის სტრატეგიაზე მუშაობის ზოგადი ალგორითმი ასეთია:

1. **გამოწვევა.** ტექსტის აგება საკვანძო სიტყვების მიხედვით, მოთხრობის სათაურის განხილვა და მისი შინაარსისა და საკითხების პროგნოზირება;
2. **შინაარსის გააზრება.** ტექსტის წაკითხვა მცირე მონაკვეთებით, თითოეულის შინაარსის განხილვით და სიუჟეტის განვითარების პროგნოზირებით. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები უნდა მოიცავდეს კითხვების ყველა დონეს. სავალდებულო კითხვა-პროგნოზი: „რა იქნება შემდეგ და რატომ?“
3. **ანარეკლი.** ამ ეტაპზე ტექსტი კვლავ წარმოადგენს ერთ მთლიანობას. მნიშვნელოვანია ამ ტექსტის გაგება. მუშაობის ფორმა შეიძლება სხვადასხვა იყოს: შემოქმედებითი წერა, დისკუსია, ერთობლივი ძიება.



კითხვისას ჩვენ სიამოვნებით ვიძირებით უნიკალურ, დაუვიწყარ სამყაროში. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ამ სამყაროში ჩადირვაში. მან უნდა მოძებნოს გზები, რომლებითაც მოსწავლე შეაღწევს ლიტერატურულ ტექსტში, უნდა ასწავლოს მას, იყოს მკითხველი, მოაზროვნე, მზად იყოს აღმოჩენებისთვის.

კითხვის სტრატეგიებთან ერთად მნიშვნელოვანია წერის მეთოდების ისე შერჩევა, რომ მოსწავლისთვის ჩვეული რუტინა საინტერესო და სახალისო ქმედებად ვაქციოთ.

წერითი დავალებების ანალიზი მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წერითი სამუშაოს ანალიზის მეთოდების შერჩევა.

მოსწავლეებისთვის ადვილი არ არის საკუთარი წერილობითი ნამუშევრების ანალიზი და შეფასება. სამუშაოს დასრულებამდე მათ ზოგჯერ სურთ, მასწავლებლისგან ან თანაკლასელებისგან რჩევა მიიღონ. მასწავლებელს შეუძლია, დაეხმაროს მოსწავლეებს შემდეგი კითხვების დასმით: „როგორ გრძნობდით თავს ამ ნამუშევრის წერისას? როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი ტექსტის ძლიერი მხარე? რა გაგიჭირდათ ყველაზე მეტად? როგორ ცდილობდით ამ სირთულეებთან გამკლავებას? გჭირდებათ რჩევა, სანამ ნამუშევრის რედაქტირებას დაიწყებთ?“ ამ კითხვების განხილვის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს დრო მომდევნო გაკვეთილზე ან სახლში ტექსტის გადასაწერად. ორმხრივი რედაქტირებაც ძალიან სასარგებლოა. მაგრამ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა აჩვენოს კლასს სტრატეგია და სასურველია, წახალისოს მოსწავლეები, დაეხმარონ მეგობრებს ტექსტის რედაქტირებაში. სხვისი ტექსტის წაკითხვისას მათ შეუძლიათ შენიშვნების მიცემაც.

მეგობრის ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რა მოეწონათ ამ ნამუშევარში, დაუსვან ერთმანეთს კითხვები ბუნდოვანი ადგილების შესახებ. შეუძლიათ, შესთავაზონ რეკომენდაციებიც ტექსტის გასაუმჯობესებლად, ავტორებს კი, რა თქმა უნდა, უფლება აქვთ, მიიღონ ისინი ან უარყონ. რედაქტირების შემდეგ კლასი გადადის ტექსტზე მუშაობის დასკვნით ეტაპზე – რეფლექსიურ დისკუსიაზე. მასწავლებელს შეუძლია, დასვას შემდეგი კითხვები:

- ისწავლეთ რამე ახალი და სასარგებლო მეგობართან ერთად მუშაობისას?
- თუ ასეა, რა მიგაჩნიათ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანად?
- თუ არა, მუშაობის რომელი უფრო სასარგებლო ფორმები შეგიძლიათ შემოკვთავაზოთ?

მოსწავლეები მალე მიხვდებიან, რომ სხვისი ტექსტის გაანალიზებითა და კონსტრუქციული კრიტიკით იძენენ საკუთარ ტექსტზე მუშაობის ღირებულ უნარებს.

### რა გვინდა ვასწავლოთ მოსწავლეებს?

ამ კითხვას ხშირად ვუსვამთ საკუთარ თავს და არ აქვს მნიშვნელობა, რომელ კლასს ვასწავლით, პასუხი ყოველთვის ერთი და იგივეა. გაკვეთილის მთავარი მიზანია, აღზარდოს პიროვნება, ადამიანი, რომელსაც შეუძლია წაკითხულის გაანალიზება, ფაქტების, მოვლენების დამოუკიდებლად შეფასება და აგრეთვე ის, რომ მიღებული ცოდნის საფუძველზე ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება სამყაროზე. ერთი სიტყვით, ადამიანს ფიქრის არ უნდა ეშინოდეს.

ამ მიზნის მისაღწევად ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის გარკვეული პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. სწავლების თანამედროვე მეთოდები, სამუშაოები, ყოველთვის არ იძლევა კლასში თითოეული მოსწავლისთვის კომფორტული პირობების, შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნის საშუალებას. რატომ იწყენენ ბავშვები კლასში? რატომ არ უყვართ თანამედროვე ბავშვებს კითხვა, ეშინიათ პასუხის გაცემის, არ წერენ ესეებს, მაგრამ მექანიკურად იწერენ სხვის აზრებს და ნაკლებად აინტერესებთ მათი შინაარსი? მხოლოდ დამახსოვრებელი წესები ბავშვს წიგნიერს ვერ გახდის და ნასწავლი თარიღები ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების გაგებაში ვერ დაეხმარება.

მთავარი, რითაც მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს გაკვეთილის თემის, რესურსების შერჩევისას, მოსწავლეებთან მუშაობის მეთოდებია, მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, რისი სწავლება გვინდა, როგორ უნდა ვასწავლოთ, რა ეტაპები უნდა გაიაროს მოსწავლემ გაკვეთილზე.

### შენიშვნა:

<sup>1</sup> Temple C., Meredith K., Steele J. Handbook “How Children Learn: A Core Fundamental

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვიგოტსკი ლ. ს. აზროვნება და მეტყველება. ფსიქოლოგიური კვლევა. 1996
2. Klarin M.V. სწავლების ინოვაციური მოდელები უცხოურ პედაგოგიურ ძიებაში. მ.: ედ. „არენა“, 1994. ს. 223
3. Halpern D. კრიტიკული აზროვნების ფსიქოლოგია. 2000 წ.





ხატუნა მჭედლიშვილი

# თანამშრომლობითი სწავლა-სწავლების მეთოდები

საგაკვეთილო პროცესში ცვლილებების შეტანა, მეთოდური რეპერტუარისა და ინდივიდუალური რუტინის გაფართოება ყველა პედაგოგისთვის მარადიული თავსატეხია და არც ის არის გასაკვირი, რომ ერთდროულად 30 მოზარდისთვის ცოდნის მიწოდება რთულ, დამძლეულ, თუმცა მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს.

თავის ტვინის კვლევისა და საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის დასკვნები ცხადყოფს, რომ სწავლა მხოლოდ ცოდნის მიღებას არ ნიშნავს. მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად დაამუშაოს მიწოდებული ინფორმაცია და აქტიურად მოახდინოს საკუთარი ცოდნის სტრუქტურებში მისი ინტეგრირება. ამიტომ სწავლა ყოველთვის ინდივიდუალური გადამუშავების, გაანალიზების შედეგია. აქედან გამომდინარე, სწავლა წარმატებულია, როდესაც მოსწავლეები:

● აცნობიერებენ თემების, საგნებისა და საკუთარი ქმედებების აზრსა თუ მნიშვნელობას საკუთარი თავისთვის;

- აკავშირებენ ახალ ინფორმაციას წინარე ცოდნასთან;
- უზიარებენ სხვებს საკუთარ ცოდნასა და შეხედულებებს და მსჯელობენ ამის შესახებ;
- თავს დაცულად გრძნობენ სასწავლო გარემოში;
- შეგნებულად უდგებიან სწავლის პროცესს და ახდენენ მის რეფლექსიას;
- დადებითად გამოცდიან საკუთარ თავს სოციალურ კონტექსტებში.

ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს თანამშრომლობითი სწავლება. ის მასწავლებელს სთავაზობს მოქმედების მკაფიო და განხორციელებად ნიმუშებს, რათა მათ გააფართოონ საკუთარი სწავლების პროცესი და ამით დასწავლაც უფრო მდგრადი და ეფექტიანი გახადონ.

## ყველა მოსწავლის მონაწილეობის ნახალისებარე

ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში კვლავაც შესამჩნევია, რომ მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე ერთვება საკლასო აქტივობებში, პასუხობს მასწავლებლის კითხვებს ან მონაწილეობს

საკლასო დისკუსიებში. უმეტესობა პასიურია და ხშირად ადეკვატურად ვერ რეაგირებს მასწავლებლის კითხვებზე. ჯგუფური სამუშაოს დროს კი მთელი ჯგუფისთვის მიცემულ დავალებას ცალკეული მოსწავლეები ასრულებენ.

ეს პრობლემა, მოტივაციისა და შესრულების სურვილის უქონლობასთან ერთად, შესაძლოა გამოწვეული იყოს იმითაც, რომ საკლასო სტრუქტურა საშუალებას არ აძლევს ბევრ მოსწავლეს, თავი გამოიჩინონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ რეალურ სააზროვნო პროცესებში.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლება.

დავლების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი წინაპირობა მასწავლებლის კარგად გააზრებული და რელევანტური ინსტრუქციაა, ამიტომ, ვიდრე თანამშრომლობითი სწავლების აღწერაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია გავიზიაროთ, რა გავლენას ახდენს დავალების ინსტრუქცია ან დასმული კითხვები მოსწავლეთა მოტივაციის ამაღ-

**თავის ტვინის კვლევისა და საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის დასკვნები ცხადყოფს, რომ სწავლა მხოლოდ ცოდნის მიღებას არ ნიშნავს. მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად დაამუშაოს მიწოდებული ინფორმაცია და აქტიურად მოახდინოს საკუთარი ცოდნის სტრუქტურებში მისი ინტეგრირება.**



ლებზე, მათ გააქტიურებასა და ჩართულობაზე. ამისთვის გთავაზობთ წარმატებული და წარუმატებელი ინსტრუქციების ნიმუშებს (მუქი შრიფტით დაბეჭდილია ინსტრუქციები, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობაზე დადებით გავლენას ახდენს):

1. ვის შეუძლია მითხრას, რა გავიარეთ წინა გაკვეთილზე?
2. ერთი წუთის განმავლობაში დაფიქრდი და შემდეგ გაუზიარე შენს მეწყვილეს, რა ვისწავლეთ წინა გაკვეთილზე... თემასთან დაკავშირებით. წყვილში მუშაობისთვის კიდევ ორი წუთი გაქვთ, ბოლოს კი ვინმეს ვთხოვ პასუხის გაცემას.
3. თქვენ 30 წუთის განმავლობაში მუშაობდით მე-4 დავალებზე. აბა, ვის შეუძლია თქვენი ჯგუფიდან, წარადგინოს შედეგი?
4. „განათლება კარგ ადამიანს აკეთილშობილებს, ხოლო ცუდს უარესად აქცევს“ (თომას ფულერი). რას ფიქრობ ამ გამონათქვამზე? ორი წუთის შემდეგ მოძებნე მეწყვილე, რომელთან ერთადაც იმსჯელებ ამ ციტატის შესახებ. ოთხი წუთის შემდეგ აირჩიე სხვა წყვილი, რომელსაც გაუზიარებთ თქვენს მოსაზრებას და ამ საკითხზე მსჯელობას გააგრძელებთ. ათი წუთის შემდეგ ყველას უნდა შეეძლოს, არგუმენტირებულად დაასაბუთოს თავისი მოსაზრება.
5. ტექსტში იპოვით პასუხს კითხვაზე: „რატომ აქვთ გოგონებს უკეთესი ნიშნები, ვიდრე ბიჭებს?“ ჯგუფურად იპოვეთ მიზეზები, ჩაინიშნეთ თქვენი მოსაზრებები და ბოლოს ჯგუფის ერთმა წევრმა წარადგინოს საბოლოო შედეგი.

- ნოს საბოლოო შედეგი.
6. არმინტერესებს, ვინ ჩაიდინა ეს! როგორ ფიქრობთ, რა მიზეზი შეიძლება არსებობდეს საპირფარეშოს კედლებზე ასეთი წარწერების გასაკეთებლად? დაფიქრდი, ინდივიდუალურად დაწერეთ თქვენი მოსაზრება, შემდეგ გადააწოდეთ ის თქვენ გვერდით მჯდომს, რომელიც დაასრულებს და/ან დააკომენტარებს მას და უკან დაგიბრუნებთ. ათწუთში რამდენიმე მოსწავლეს ვთხოვ პასუხის გაცემას.

წარმოდგენილ „პოზიტიურ“ ინსტრუქციებში მკაფიოდ ჩანს თანამშრომლობითი სწავლების პრინციპები, რომლებსაც ქვემოთ გაცნობთ



**გააზრების ფაზა**  
სწავლის პროცესი აუცილებლად მოიცავს ინდივიდუალური ფიქრის ფაზას. მოსწავლეებს ეძლევათ განსაზღვრული დრო დავალების ინდივიდუალურად დასამუშავებლად.

**გაზიარების ფაზა**  
თანამშრომლობითი სწავლება ყოველთვის გულისხმობს ურთიერთგაზიარების ფაზას, სანამ ჯგუფები კლასს წარუდგენენ თავიანთ შედეგებს.

**პიროვნული პასუხისმგებლობა**  
ყოველი მოსწავლე მზად უნდა იყოს შედეგების წარსადგენად,

ვინაიდან მასწავლებელმა ნებისმიერ მათგანს შეიძლება მიმართოს ასეთი თხოვნით.

ეს სამი მთავარი პრინციპი წარმოადგენს თანამშრომლობითი სწავლის ცენტრალურ ნაწილს, ვინაიდან ისინი ზემოქმედებას ახდენენ გაკვეთილზე, კერძოდ, ამგვარად:

**შინაგანი გააქტიურება და მონაწილეობა**

ჯგუფური მუშაობის წარმატებული შედეგები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ პოტენციურად ყველა მოსწავლის გააქტიურება და თანამშრომლობაა შესაძლებელი, ეს კი იწვევს გაკვეთილზე მოსწავლე-

თა მხრივ ინდივიდუალური და, შესაბამისად, ზოგადი ჩართულობის ზრდას.

**თავდაჯერება და შიშის ფაქტორის შემცირება**

მოუმზადებლად პასუხის გაცემის აუცილებლობა მოსწავლეებში ხშირად შიშს იწვევს, რასაც არცთუ იშვიათად აზროვნების ბლოკირებისცენ მიყვავართ. თანამშრომლობითი სწავლების პროცესში ყველამ იცის, რამდენი დრო აქვთ მოსაფიქრებლად. გარდა ამისა მათთვის ცნობილია, რომ არ მოუწევთ პედაგოგის კითხვაზე პასუხის გაცემა ინდივიდუ-



# განათლება - თავისუფლებაა!



[www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)

მე-9 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის ახალ სახელმძღვანელოში ზვერი თანამედროვე ავტორის ტექსტს იპოვით და ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საჭირო მიმართულებაა, რომელზეც ბოლო დროს ფიქრი და ზრუნვა დაიწყო.

ჩემი თაობის სკოლაში განსაკუთრებული პოპულარობით ორი მოთხრობა: „ბიჭი და ძაღლი“ და „Hellados“, – სარგებლობდა. ორივე დანარჩენი პროგრამული კონტენტისთვის აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათისა იყო. რაც უფრო ნაცნობია ნარატივი, რაც უფრო ნაცნობი ენით გვიყვება ნაცნობ ამბებსა და თემებზე, მით უფრო გვეზრდება ლიტერატურისადმი ინტერესი და ნდობა.

არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი“ უნიკალური სასკოლო მოთხრობაა. ამას უპირველესად თანაგანცდის ის განსხვავებული ხარისხი განაპირობებს, რომელიც მისი კითხვისას ბავშვს მკითხველს უჩნდება. თხრობა ლაკონიურია. მწერალს პირველსავე წინადადებაში შემოჰყავს მთავარი პერსონაჟი: პატარა, მარტოსული ბიჭი, რომელიც ილიაში ამოჩრილი ჩანთით სკოლიდან სახლისკენ უხასიათოდ მიაბიჯებს. პირველივე აბზაცში ხდება ნათელი იმ კონფლიქტის შინაარსი, რომელიც მომდევნო ეპიზოდებში იშლება. ასე რომ, ბუნებრივად ხდები დახვეწილი ნარატიული ინტრიგის ტყვე. თუმცა ყველაზე გამორჩეული ნაწილი მოთხრობის დასასრულია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მაშინ, როცა მე თვითონ ვიყავი ბავშვი და ის პირველად წავიკითხე.

რა განსხვავებას ამ მოთხრობის დასასრულს სხვა მოთხრობათა დასასრულებისგან?

საკმაოდ ბევრი ნაწარმოების დასახელება შეიძლება, რომლის

მთავარი ენერჯიაც მის ფინალშია აკუმულირებული. ერთ ფრაზაში, მოულოდნელობაში. თუმცა „ბიჭი და ძაღლი“ ამ მხრივაც გამორჩეულ ადგილს იკავებს. კერძოდ, მისი დასასრული თხრობის მოულოდნელი, ერთი შეხედვით არაკანონზომიერი კომპოზიციური წყვეტაა, მთელი ღირსება კი სწორედ ამ ორიგინალურ ფინალს აქვს.

ბის ტექსტია და შანსს გვაძლევს, ამბავი თავად დავასრულოთ. სინამდვილეში არჩილ სულაკაურის მოთხრობა თავისი სათქმელით, თემითა და შინაარსით, რა თქმა უნდა, იდეალურად დასრულებულ მოთხრობათა რიცხვს მიეკუთვნება. ის გვაჩვენებს პერსონაჟის ტრანსფორმაციას მოქმედების დინამიკაში. მოთხრობა იმავე

გავს დამაჯერებლობა, შეეცვალა მთავარი პერსონაჟის ხასიათი. ბიჭი, რომელსაც ფინალურ ეპიზოდში ვხვდებით, აღარ არის ის ბიჭი, რომელსაც ოდესმე ვინმე შეიძლება უსამართლოდ მოექცეს, ამიტომ ლოგიკურად გარდაუვალია ვიფიქროთ, რომ ის თავის ძაღლს დაიბრუნებს. მაგრამ რა ვუყოთ იმ პოზიტიურ ექვს, რომელიც პატარა



მოთხრობის წაკითხვიდან ერთ-ხანს მიგყვება იმედი, რომ მის მეორე ნაწილს იპოვი. როცა იაზრებ, რომ ნამდვილად დასრულდა, მერე ეს განწყობები კითხვებზე ფორმულირდება: რა ბედი ეწია ძაღლს? გაიმარჯვა თუ არა საბოლოოდ სიკეთემ? განაგრძეს ერთად ცხოვრება ბიჭმა და ძაღლმა?

ასე იშვიათად ხდება. აქ მარტოსის არ იგულისხმება, რომ ჩვენ, მკითხველები, კითხვის პროცესში თანაშემოქმედებით აქტის მონაწილეები ვხდებით. „ბიჭი და ძაღლი“ ამბზე ფართო შესაძლებლო-

სურათით იწყება, რომლითაც საბოლოოდ სრულდება კიდევ. მაგრამ ეს იმ ამოცანას ჰგავს, სადაც ერთი შეხედვით იდენტურ ორ სურათს გვთავაზობენ და რამდენიმე განსხვავების პოვნას გვთხოვენ. ძირითადი განსხვავება კი თვალში საცემია. ეს იმ ნაბიჯების ხასიათია, რომელიც ერთსა და იმავე ბიჭს ეკუთვნის, მაგრამ ფინალურ ეპიზოდში, დასაწყისისგან განსხვავებით, მტკიცეა, რაც, თავისთავად, ნიშნავს იმას, რომ ავტორმა მიაღწია მიზანს, თავს გადაძვარი ამბის ზეგაღწენით, რომელსაც წამითაც არ დაუკარ-

მკითხველებს მაინც შეიძლება დარჩეთ? ვერაფერსაც ვერ ვუზამთ და არც არის საჭირო, იმიტომ, რომ ამის წყალობით ბავშვებს არასოდეს დაავიწყდებათ არჩილ სულაკაურის შესანიშნავი მოთხრობა „ბიჭი და ძაღლი“. მათ შეუძლიათ იფიქრონ, რომ მოთხრობის ავტორმა ასე მოულოდნელად მხოლოდ იმისთვის დატოვა შუა გზაზე თავისი პერსონაჟი, რომ მას დარჩენილი გზა პატარა მკითხველების წარმოსახვაში გაეგრძელებინა.

გასული საუკუნის ოთხმოციანების ნახევარი ახალი გადასულია. დიადი საბჭოეთი უკვე ნაჩერნობილარია. საგაზაფხულო ხვნა-თესვაც ჩატარებულია – იმ წელს პირველად დაითესა ახალი კულტურა სახელად „გლასნოსტი“... ამჟამად, რაღაც ახალი ხდება ქვეყანაში, თუმცა

ერთ ქართველთან ერთად მსახურობდა და დამაბარა, იქნებ ქართული ბროწეული და ჩაჩა წამომიღო. ბროწეული ვიყიდე და ეს ჩაჩა რა არის, ვერ მივაგენიო. ავუსხენით, რომ ჩაჩას ქართულად ჭაჭა ჰქვია, ეროვნული მაღალგრადუსიანი ალკოჰოლური

საბჭოეთი ამ ამბებიდან მალევე დაიშალა. გეგმური ეკონომიკაც, ცხადია, უკან გაჰყვა, მაგრამ ჭაჭამ, ჟიპიტაურმა, ლირდემ კიდევ დიდხანს ვერ მოიკიდეს ფეხი ჩვენს ცნობიერებაში. ვისკის, ტეკილასა და თვით ვოდკას გვერდით მეფლისზე მოხვედრილი

რებთ (ვახტანგ VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის. თსუ-ს გამოცემლობა, 1981), სიტყვა „არაყი“ სულაც არ ნიშნავს მაინცდამაინც სასმელად ვარგის სითხეს. აი, რას წერს ქართულ ენაზე გამოცემული ქიმიის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი:

## 96. არაყი დართულისა

დართული დანაყე. სხვას არაყსავით გამოხადე. ჯერ არაყი გამოვა, მერმე – ზეთი.

## 98. ქაფურის არაყი

მოიტანე სამი წილი გილიერმანი, ერთი წილი ქაფური. ცალ-ცალკე დანაყე, მერმე ერთად გარიე. შუშა მრული რომ იქნება, იმაში ჩაყარე. ქვიშა ქვაბში ჩაყარე და მინა შიგ ჩადგი. ნელი ცეცხლი მიეც. ქაფური მინის ყელში ამოვა. რა ამოვიდეს, გარდმოიღე. ქაფური ამოიღე და რაც მინაში დარჩეს, გარდაყარე და ქაფურში სამი თავისი წონა გილიერმანი გაურიე, კიდევ ცეცხლი მიეც; კიდევ ასე ქენ. სამჯერ რომ ისე ქენ, მესამედ არაყად გადნება და შუშაში ჩამოვა და აღარ გაყინავს.

მაშასადამე, „არაყი“, თანამედროვე ტერმინოლოგიით, დისტილატს (გამონახადს) ნიშნავს. გამოხდის პროცესით კი ბევრი რამის მიღება შეიძლება, იმისდა მიხედვით, „საარყე ქვაბში“, ტექნოლოგები კუბს რომ ვეძახით, რას მოვათავსებთ. ვახტანგ VI-ისა და ძველი არაბი ქიმიკოს-ტექნოლოგების მიხედვით, ჭაჭაც, ნავთიცა და ბენზინიც არაყია...

ქართულში კიდევ ერთი კარგი სიტყვა გვაქვს – წინწანაქარი, რომელიც ზუსტად აღწერს პროცესსაც და მის პროდუქტსაც. თუ ვინმეს ერთხელ მაინც გამოუხდია რამე კოლბასა თუ საარყე ქვაბში, ადვილად მიხვდება ამას.



ელიზბარ ელიზბარაშვილი

# წინნანაქარი

არავინ იცის, რომ თვით ქვეყანას უკვე სასიკვდილო სენი აქვს შეყრილი. ძალიან ახლობლებმა იქნებ იციან, მაგრამ ჩვენ არ გვეუბნებიან. ამიტომ მთელი ქვეყნის ჭირ-ვარამი ისევ ისე თუხთუხებს ჟანგიან და გამურულ ქვაბში, როგორც ხუთი და ათი წლის წინ.

ჰოდა, აი, ასეთ დროს ჩვენს სკოლას სტუმრად ეწვია ლატვიის ერთი დაძმობილებული სკოლა სუვენირებითა და საჩუქრებით ხელში. გაცილებებისას ჩვენც დავიწყეთ ჩურჩხელებისა და ღია ბარათების შეგროვება. მერე შემთხვევით ერთ-ერთ სტუმარს ვკითხვით: რა მოგეწონათ ყველაზე მეტად? იმას გაჩუქებთ-მეთქი. მამაჩემი ჯარში

სასმელია და მაღაზიებში არ იყიდება. ამის გამგონემ, ჯერ დაიმორცხვა, ეს რა ვთხოვეთ ამ გაგანია მშრალ კანონშიო, მერე გაუკვირდა – ღვინის სამშობლოში ჭაჭა როგორ არ იყიდებო...

ღიან, ასე იყო დიად საბჭოეთში. ღვინისა და დავით სარაჯიშვილის სამშობლოში ქარხნები რუსულ ვოდკას (სტალიჩინაია) ასხამდნენ, ქართული მაწვნის ნაცლად ჩვენი რძის კომბინატები რუსულ პრასტაკვასას ადვებდნენ. ასე ითხოვდა და გეგმური ეკონომიკა და საბჭოთა იდეოლოგია – ეროვნულობას სახლის ზღურბლისთვის არ უნდა გადაეხვედნინა, გარეთ კი უკვე საბჭოეთი იყო და ყველაფერი – საბჭოური.

მენახირე ბიჭივით იყვნენ – დამორცხვებულები, თავჩაქინდრულები, კუთხეში მიყუყულები.

თუ ჩვენი ხაჭაპური პიცის ტოლ-სწორია, ჭაჭა რატომ უნდა იყოს ტეკილაზე ნაკლები?! ან რაში სჭირდება სიტყვა „არყის“ დამატება, მით უფრო – ისეთი ფორმით, როგორითაც ჩვენში გაიდგა ფეხი: „ჭაჭის არაყი“?! ტეკილას ვინ მოიხსენიებს კაქტუსის არყად?!

საბედნიეროდ, ბოლო დროს ყინული გალღვა და ჩვენი მაღაზიების თაროებზე უკვე გამოჩნდა ჭაჭა, მაგრამ დასანანი იქნება, თუ ამ სახელს სიტყვა „არაყს“ დავურთავთ ხოლმე.

თან, თუ დიდ მეფეს ვახტანგ VI-ს დავუწვე-

## 133. ნარინჯისა, თურინჯისა და ლიმონის არაყი და ზეთი

მოიტანე, ან გამხმარი, ან ნედლი, ნარინჯისა გინდა, თუ თურინჯისა, თუ ლიმონს ყვითელი ქერქი. ერთს ქვის ქვაბი იყოს, თუ მინისა ბადია იყოს, ან ქაშანურისა ბადია იყოს, რა ერთიც გინდოდეს, ჩაყარე. ზედ, რა ერთი წყალიც გინდოდეს, დაასხი. თავს დაახურე. 7-8 დღე დადგი. მერმე საარაყეს ქვაბში ჩაასხი, არაყსავით გამოხადე. რა დენა გაათაოს, რაც გამოვიდეს, ნახე. ერთ რამიმე ჩაასხი ზეთი, მაგრამ ქერქი ისე უნდა გასთალო, სითეთრე არა ჰქონდეს, ქაღალდსავით იყოს.



„ბავშვებს ვეუბნები ხოლმე: აი, ამ ადგილას კაი ფოტოს გადაიღებთ გასასთორად“, - მიყვება ნუცა, ჩემი მეგობარი და ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო გიდი, ვისაც ცხოვრებაში შეეხვედრევარ. ნუცას, ჩემსავით, ორი შვილი ჰყავს და ცოტა ხნის წინ საბავშვო ტურების ორგანიზება დაიწყო:

ბევრ პარკს იპოვი ისეთს, ბალახი ისე ბიზინებდეს, რომ ერთი სული გქონდეს, როდის წამოკოტრიადედი. მთავარია, ბავშვმა იცოდეს, რომ მისი ესმით და შეუძლია იმის თქმა, რასაც ფიქრობს - მერე ყველაფერი ადვილდება. ალბათ ეს არის მთავარი წესი, რომელიც უნდა დავიცვათ ჩვენ, ვისაც ბავშ-


ბის დროს და რა შეიძლება იყოს უფრო მარტივი, თან ბავშვები გაასეირნო და თან მნიშვნელოვან ამბებს მოუყვე, მათთან ერთად არქიტექტურაზე, კულტურაზე, რელიგიებზე, მრავალფეროვნებაზე იმსჯელო.

წინა კვირას ჩემი მეორეკლასელი შვილი თავის კლასთან ერთად

ერთხელ ბავშვებთან ერთად ძველ სასაფლაოზე შევიარე. ყველაფერზე ვისაუბრეთ. პანდემია იყო, სიკვდილისა და ავადმყოფობის შიში გვტანჯავდა და აი, ვნახეთ პატარა ბავშვების საფლავები ლამაზი ფოტოებით; მოხუცი კაცების საფლავები გვერდზე მიხატული ცოლების

**ნახტასია**  
**არაბული**

## ბავშვები, ქალაქები და ბავშვებისთვის გასაგები ამბები



თბილისის ქუჩებში დაატარებს ბავშვებს და ათას საინტერესო ამბავს უყვება, რაც მთავარია, მათთვის გასაგები ენით. ზოგ ადგილს ახალ სახელს არქმევენ (მაგალითად, ძველ თბილისში ქუჩას, სადაც ბევრი კატა ცხოვრობს, კატლანდია ჰქვია), ზოგან რაინდი ხვდებათ, ზოგან - ბითბოქსერი და რომელიმე პარკში შეიძლება ქალაქზე ლექსიც კი დაწერონ, რომელიც არცერთ იმ ლექსს არ ემსგავსება, რომლებიც მანამდე დაწერილა თბილისზე. ბავშვები პირდაპირ, ყველანაირი მიკობმოკიბვის გარეშე წერენ იმაზე, რომ ამ ქალაქში ბევრი მახინჯი კორპუსი და ასევე ბევრი ძველი, თითქმის დანგრეული სახლია; ჰაერი არც ისე სუფთაა და ვერც

ვეტთან გვაქვს ურთიერთობა. ქალაქებისა და ბავშვების ურთიერთობაზე ფიქრი მას შემდეგ ამეკვიცა, რაც მივხვდი, რომ ეტლით ბავშვს ძალიან ცოტა ქუჩაზე გავასეირნებდი მშვიდად, რომ ტროტუარები ჩვენ არ გვეკუთვნოდა. „ცუდი სიტყვებიც“ პირველად ჩემგან გავიგონა ჩემმა უფროსმა შვილმა - ზებრაზე მანქანები არ აჩერებდნენ და მე, გაცეცხლებულს, არანორმატიული ლექსიკის გარდა, არაფერი მადგებოდა ენაზე. ბავშვები იზრდებიან და მათ საინტერესო ამბები, უსაფრთხო ადგილები და მათთვის გასაგები ენით მოყოლილი ისტორიები სჭირდებათ. ჯერ კიდევ არისტოტელე ასწავლიდა მოსწავლეებს სიბრძნეს სეირნო-

ექსკურსიაზე იყო ძველ თბილისში. შეთანხმდნენ, რომ საფეხმავლო ტურზე გიდეები ბავშვები იქნებოდნენ და ერთმანეთს მოუყვებოდნენ წინასწარ მომზადებულ ამბავს კონკრეტულ ადგილზე. ჩემს შვილს ლელვათხევის გიდეობა ერგო, სხვების მოყოლილი ამბებიდან კი ყველაზე საინტერესო ის მიიჩნია, რომ წინათ ქალები აბანოებში დაჰყავდათ იმის შესამოწმებლად, „გონჯები“ ხომ არ იყვნენ.

ქალაქის გაცნობის ეს პრინციპი ძალიან მომეწონა - ქალაქიც ხომ უამრავი ფრაგმენტისგან შედგება და ამ ფრაგმენტული ამბებიდან ხომ ყველაზე მეტს ვიგებთ აქ მცხოვრებთა შიშებზე, სიყვარულზე, ახირებებზე, ცხოვრების მოსწავლეებს სიბრძნეს სეირნო-

ფოტოსურათებით, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, მაგრამ პრაგმატული მოსაზრებით წინასწარ მოუზომეს ადგილები სასაფლაოზე და გარდაცვალების თარიღის მიწერა სჭირდებოდათ ამ სამყაროსთან გამოსათხოვებლად; იმ ახალგაზრდების ოთახებივით მოწყობილი საფლავები, რომლებმაც ვერ მოასწრეს სიცოცხლით დატკბობა.

რთულ თემებზე სალაპარაკოდ ქუჩებში სეირნობა მარტივი ვაა - ყველაფერი თვითონ მოდის შენთან, ყველაფერი ილუსტრირებულია. მთავარია, ქალაქის ხმა გესმოდეს, მისი ამბების წაკითხვა და მერე შესაბამისი ინტერპრეტაცია შეგეძლოს.

თებერვალში, როცა უკრაინაში რუსეთის შეჭრაზე საუბარი უფრო და უფრო გახშირდა, პატარებსაც მეტად დაეტყუოთ ომის განცდა და გავლენა. მანამდე თუ მთელი დასვენება დაჭერობანას თამაშობდნენ, ახლა ქალაქისგან თოფების გამოჭრა დაიწყეს, გუნდებდა ნაწილდებოდნენ, გვეგებს აწყობდნენ, უსაფრდებოდნენ და „ესროდნენ“ ერთმანეთს. ზშირად მესმოდა: „მე უკრაინა ვარ“, „მე საქართველო ვარ“, „მე ნატო ვარ“, „ეე, მე რუსეთობა არ მინდა“.

ზოგჯერ მათი თითქოსდა უწყინარი თამაში შიშსაც კი მგვრიდა, მაგრამ არ მინდოდა, ჩავრეულიყავი და რამე ამეკრძალა. ბავშვების პირად სივრცეში შეჭრა არ მიყვარს. იმასაც ვაცნობიერებდი, რომ აკრძალვის შემთხვევაში შეეძლოთ ისე ეთამაშათ, მე სულ ვერ შეემჩნია. ყოველდღე მესმოდა იარაღებისა და საბრძოლო მანქანების ისეთი დასახელებები, აქამდე რომ არ გამეგონა.

მიუხედავად ასეთი მუხტისა, ნამდვილი ომის დაწყების დღეს სულ სხვანაირები დამხდნენ მერხებთან. თითქოს ჩვეულებრივებზე ხმადაბლად საუბრობდნენ.

24 თებერვლის დილა ალბათ არცერთი ჩვენგანისთვის არ იყო ადვილი. ოცი წუთი მივთარევედი დამძიმებულ ფეხებს სკოლამდე და ვფიქრობდი, რა მეთქვა ბავშვებისთვის. როგორ ამეხსნა, რომ ის, რაც დაიწყო და ის, რაც ამ დასაწყისს მოჰყვება, არ იქნება თამაში, სადაც „ტყვიის მოხვედრა“ მხოლოდ დროებით წაქცევას ნიშნავს. სრულიად დავიბენი და არ ვიცოდი, როგორ მიმეტანა სწორი სიტყვებით 9-10 წლის ბავშვებამდე ომის არსი; ის, რასაც ომი ადამიანებს მართებს; ის, რაც დღევანდელ მსოფლიოში ხდება. დაბნეულობა და დაძაბულობა სევდამ შეცვალა, როცა ცნობის-მოყვარეობისა და არასასიამოვნო გაურკვევლობისგან გაფართოებულმა ცამეტმა წყვილმა თვალმა შემომანათა. „მას, ომი დაიწყო, გაიგეთ?“ – წამოიწყო ერთ-ერთმა. „კი, გავიგე, – მიუვუგე მე, – და უნდა გავიზაროთ, რომ უკრაინაში დღეს თქვენი ასაკის უამრავი მოსწავლე სკოლაში ვერ

წავიდა, რადგან ბომბებს ემალებოდა და მიწისქვეშა სამალავში ზის“. მე თვითონ შევცვი ამის თქმისას, იქნებ ზედმეტად პირდაპირი ვიყავი?! სიტუაციამ მალე დამანახა, რომ ასე არ იყო. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ბავშვებს ეს უკვე გააზრებული ჰქონდათ და, ბევრი ზრდასრულისგან განსხვავებით, ისიც კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი ერთადერთი და უპირობო აგრესორია ამ ომში, რომ არანაირი „მაგრამ“ აქ არ არსებობს. ბავშვებმა, რომლებსაც, მეგონა, უკვე ზუთი თითვით ვიცნობდი, კიდევ ერთხელ გამაოცეს თავიანთი გამჭრიახობით. გულწრფელადაც ვუთხარი, რა მაგარია, დიდ ადამიანებზე გაცილებით მეტი გესმით-მეთქი. ეგ ყოველთვის ვერა, მასწავლებლო, – მომიგო ერთ-ერთმა ამაყად. ამაზე ბევრი ვიცინეთ და მალე ჩვენი კლასის ფანჯრებზე ფერადი ფურცლებისგან აწყობილმა უკრაინის დროშამაც გამოანათა.

მომდევნო დღეებში ახალი და ხშირად შემზარავი ამბების განხილვა სწვდებოდა ჩემს ყურთასმენას. ომობანას თამაში და რუსეთის დამარცხებით გამოწვეული ყოფინაც ჩვეულებრივ გაგრძელდა. ბავშვებმა ქალაქისგან ხმლების გამოჭრაც დაიწყეს. მე ნელ-ნელა ყველა წიგნისა თუ ფილმის გახსენებას შევუდექი, რაც კი ომს უკავშირდება. ერთ დღეს იდეა დამებადა, რომელიმე მათგანი ბავშვებთან ერთად წამეკითხა ან მენახა. რაკი ჩემს მოსწავლეებს ანიმე განსაკუთრებით უყვართ, არჩევანი „ციცინათელების სასაფლაოზე“ შევჩერე, თუმცა ვიდრე საბოლოოდ გადავწყვეტიდი, საკმაოდ დიდხანს ვიყოყმანე. საქმე ის არის, რომ „ციცინათელების სასაფლაო“, თუმცაღა ანიმაციური ფილმია, ემოციურად საკმაოდ მძიმეა. ის არ არის საბავშვო. თუმცა ამბავი ნამდვილად ბავშვებზეა.

„ციცინათელების სასაფლაო“ სტუდია „გიბლის“ ერთ-ერთი შედეგია, რომელიც 1988 წელს იაპონელმა რეჟისორმა ისაო ტაკაჰატამ ასევე იაპონელი მწერლის აკიუკი ნოსაკას ნახევრად ბიოგრაფიული მოთხრობის მი-

ხედვით გადაიღო. ანიმე და-ძმებ - სეიტასა და სეცუკოზეა. მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი ჯერ დედას დაკარგავენ დაბომბვისას, მოგვიანებით კი მამის დაღუპვის ცნობაც მოვა ფლოტიდან. ამის შემდეგ და-ძმის ცხოვრება უკიდურესად რთულდება. თავდაპირველად ისინი ნათესავთან ცხოვრობენ, რომელიც მათ არც ისე კეთილად ეპყრობა, მოგვიანებით კი შინიდან გარბიან და ტბის პირას, პატარა გამოქვაბულში მოიწყობენ თავშესაფარს. ნამდვილი შიმშილობა და გაჭირვება

უმნიშვნელოვანესი რამაა და რომ მხოლოდ პირადი ისტორიების მოსმენითა და გაგებით შეგვიძლია ომის სახის დანახვა. იმაშიც გამოვუტყდი, რომ ამ ანიმეს ყურებისას მუდამ ცრემლებად ვიღვრები და ალბათ ახლაც ელოდათ მსგავსი სანახაობა. თუმცა აღმოჩნდა, რომ მთელი ჩვენების განმავლობაში ეკრანს კი არა, ბავშვების სახეებს ვაკვირდებოდი და ესწავლობდი: სიხარულს სევდა ენაცვლებოდა, სევდას – ტკივილი, ტკივილს – ბრაზი, ბრაზს – ზიზღი, ზიზღს – სითბო და ასე უსასრულოდ.



აქედან იწყება. მიუხედავად ცხოვრების უძიმესი პირობებისა, ხალხისა და ომის სისასტიკისა და უგულობისა, და-ძმის ურთიერთობა საოცრად გულისამაჩუყებელია. საბოლოოდ კი, რა რთულიც უნდა იყოს ერთ წინადადებაში ჩასატყვევად, სეიტა და სეცუკო შიმშილისგან იღუპებიან.

ანიმეს ჩვენების დღეს კლასში პარალელური მეორე კლასიც მოვიწვიეთ. მერხები აქეთ-იქით გაწვიეთ და სკამები ისე ჩავამწვრივეთ, როგორც კინოთეატრებშია. ბავშვებს ავუსხენი, რატომ გადავწყვიტე ამ ფილმის ჩვენება. ავუსხენი, რომ მინდა იცოდნენ, რას უშვრება ომი ადამიანებს. მინდა ისიც იცოდნენ, რომ ომი მხოლოდ ფრონტის ხაზზე მყოფ ადამიანებს არ აზარალებს. მინდა იცოდნენ, რას გადიან ბავშვები ომის დროს. იცოდნენ და თანაუგრძნობნი მათ, რადგან თანაგანცდა

ფილმის მიმდინარეობის დროსაც და მერც ბავშვებმა უამრავი კითხვა დამისვეს. შევაძინე, რომ ზოგიერთი მათგანი ანიმეს დასასრულს უმნიშვნელო დეტალებზე ხუმრობდა და იცინოდა, რომ ემოციები დაემალა და არ ატირებულყო.

ბევრი წელი უნდა გავიდეს, ვიდრე ისინი გაიზრდებიან. დანამდვილებით არ ვიცი, როგორები იქნებიან მომავალში და არც ის ვიცი, ბოლომდე გაჰყვებათ თუ არა ის ემპათიურობა, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ, დღითი დღე ვუნერგავდი, მაგრამ მწამს, რომ პატარაობაში მხატვრული თუ ნამდვილი ისტორიების სწორად გააზრებით ისინი ისწავლიან მთავარს – სხვის მოსმენას და გაგებას; შეიძენენ თანადგომის უნარს და არასდროს გახდებიან მიზნები ადამიანების უბედურებისა.

**ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში შესამჩნევია, რომ მხოლოდ რამდენიმე მოსწავლე ერთვება საკლასო აქტივობებში, პასუხობს მასწავლებლის კითხვებს ან მონაწილეობს საკლასო დისკუსიებში. უმეტესობა პასიური და ხშირად ადეკვატურად ვერ რეაგირებს მასწავლებლის კითხვებზე.**

ალური მუშაობის პროცესში. ურთიერთგაზიარების ფაზის შემდეგ კი მათ თავდაჯერება და გამბედაობა ემატებათ.

**ნამუშევრების ხარისხი**

მოსწავლეთა უმეტესობა თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით უკეთეს შედეგს აღწევს, ვინაიდან ისინი ერთმანეთს მხარს უჭერენ და ეხმარებიან შედეგის გაუმჯობესებაში, აქვთ საკმარისი დრო მოსაფიქრებლად, მოსაზრებების ერთმანეთისთვის გასაზიარებლად და განსავითარებლად.

- ახლა კი წარმოგიდგინთ თანამშრომლობითი სწავლის რამდენიმე მეთოდს:
- სამსაფეხურიანი ინტერვიუ
- შეკითხვების ბლოკები
- ერთობლივი კითხვა
- მეთოდი-სახელები
- ფაზლი

**სამსაფეხურიანი ინტერვიუ**

მიმდინარეობა მუშაობა მიმდინარეობს 4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფში

● **ინდივიდუალური მუშაობის ფაზა**  
ინდივიდუალური მუშაობის ფაზაში ყოველი მოსწავლე ინდივიდუალურად ამუშავებს დავალებას.

● **გაზიარების ფაზა**  
მხოლოდ აქ იწყება თავად ინტერვიუ, რომელიც სამი ნაბიჯისგან შედგება.

**ნაბიჯი 1**

მოსწავლეები მუშაობენ წყვილში. ერთი მოსწავლე მოირგებს

ინტერვიუერის როლს (A). ის კითხვებს უსვამს სხვა მოსწავლეს (B) დამუშავებული მასალის შესახებ (კითხვები შეიძლება იყოს პედაგოგის მიერ წინასწარ მიწოდებული ან ზოგადი ხასიათის და ორივე დავალებისთვის ერთი და იგივე)

**ნაბიჯი 2**

მოსწავლეები ცვლიან როლებს. ამჯერად მოსწავლე B სვამს კითხვებს და მოსწავლე A უპასუხებს.

**ნაბიჯი 3**

აქ კი ოთხივე მოსწავლე მორიგეობით უზიარებს ერთმანეთს, რა შეიტყვეს ინტერვიუს დროს.

**შენიშვნა:** თუ ჯგუფი მხოლოდ სამი მოსწავლისგან შედგება, ორი მოსწავლე საათის ისრის მიმართულებით გამოკითხავს ერთს.

**შეკითხვების ბლოკები  
ნაკითხული ნიშნის/ნაწარმოების ან ფილმის განხილვა**

● **ინდივიდუალური მუშაობის ფაზა**

1. ჩამოწერე მნიშვნელოვანი საკითხები ფილმიდან, სხვა ნაწარმოებიდან.
2. გაიაზრე/მოიფიქრე, რა იცი ამ საკითხის შესახებ.
3. რა გამოცდილება გაქვს ამასთან დაკავშირებით?
4. რა შეგრძნებებსა და ემოციებთან აკავშირებს წაკითხულს/ნანახს?
5. ჩამოაყალიბე შენი პირადი პოზიცია, შეხედულება.

● **გაზიარების ფაზა**  
გაუზიარეთ ერთმანეთს ჯგუფში ინდივიდუალური ფაზის დროს მიღებული შედეგები.

● **წარდგენის ფაზა**  
წარადგინეთ მნიშვნელოვანი საკითხები კლასში. ყველას უნდა შეეძლოს თავისი აზრებისა და შთაბეჭდილებების შესახებ საუბარი.

**ერთობლივი კითხვა**

ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია რთული და/ან გრძელი ტექსტების გასააზრებლად.

● **ინდივიდუალური მუშაობის ფაზა 1**  
ორივე მოსწავლე კითხულობს ტექსტის პირველ მონაკვეთს, მაგრამ მათ განსხვავებული დავალებები აქვთ შესასრულებელი .

● **წყვილში მუშაობის ფაზა**  
მოსწავლე A მოსწავლე B-ს უყვება წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსს. მოსწავლე B ყურადღებით უსმენს, სურვილისამებრ, ჩაინიშნავს და აფასებს, რამდენად შეესაბამება მოკლე შინაარსი წაკითხულს, ასწორებს შეცდომებს ან უზუსტობებს, ავსებს მონათხრობს. შემდეგ მოსწავლე B-ს ჯერი დგება. ის უზიარებს მეწყვილეს წაკითხულთან დაკავშირებულ წინარე ცოდნას, თავის ასოციაციებს, მოსაზრებებსა და დასკვნებს, გამოთქვამს ვარაუდს ტექსტში მოთხრობილი სიუჟეტის (მხატვრული



ნაწარმოების შემთხვევაში) განვითარების შესახებ.

**შენიშვნა:** შესაძლო დავალებები: კითხვები, უცხო სიტყვების ან გაუგებარი ადგილების ხაზგასმა, სხვადასხვა პერსონაჟის დახასიათება, აღწერილი მოვლენის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და ა.შ.

**ინდივიდუალური მუშაობის ფაზა 2**  
ორივე მოსწავლე ინდივიდუალურად ეცნობა ტექსტის მეორე ნაწილს და ცვლის დავალებებს.

**წყვილებში მუშაობა**  
მოსწავლეები კვლავ გამოკითხავენ ერთმანეთს და ასე გრძელდება, ვიდრე არ დაასრულებენ ტექსტის კითხვას.

**მეთოდი – სახელები**

ჩემი საყვარელი საგანი	ჩემი საყვარელი მუსიკალური ჯგუფი
სახელი	გვარი
სად წავიდოდი სამოგზაუროდ	რა შემიძლია ყველაზე უკეთ

მიმდინარეობა:

**ინდივიდუალური მუშაობის ფაზა**  
თაბახის ფურცლის/რვეულის შუაგულში ყველა მოსწავლე წერს თავის სახელსა და გვარს და პასუხობს კითხვებს, რომლებიც ფურცლის ოთხივე კუთხეში

წერია. შესაძლოა, კითხვები დაფაზეც იყოს ჩამოწერილი. მოსწავლეები გახალისდებიან, თუ სთხოვთ, თავიანთი სახელები და გვარები გააფორმონ.

**წყვილებში მუშაობის ფაზა**  
პირველი დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები ან თავად ეძებენ მეწყვილეს, ან პედაგოგი ანაწილებს მათ რაიმე პრინციპით წყვილებად და თავიანთ პასუხებს ერთმანეთს უზიარებენ.

**ჯგუფური მუშაობის ფაზა**  
ყოველი წყვილი ეძებს სხვა წყვილს, მოსწავლე A წარადგენს B-ს და C წარადგენს D-ს. საბოლოოდ ჯგუფი წარადგენს შედეგებს, რომლებიც ყველასთვის მისაღებია ან საერთოა.

**შესაძლო კითხვები:**

- რა დამამახსოვრდა გუშინდელი გაკვეთილიდან?
- რა იყო გაუგებარი გუშინდელ გაკვეთილში?
- რა მომწონს ამა თუ იმ ლიტერატურულ გმირში?
- რა არ მომწონს?
- ჩემი დადებითი თვისებები (მაგ., უცხო ენის გაკვეთილებზე)

**ფაზლი**

**მზადების პროცესი**  
კლასი ორ ნაწილად იყოფა. თითოეული ნაწილისთვის მზადდება სხვადასხვა დავალება – A და B. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად (თითო ჯგუფში 4 მოს-

წავლეა). ორი მოსწავლე ამუშავებს დავალებას A-ს, ორი კი – B-ს.

**ინდივიდუალური მუშაობის ფაზა (კონსტრუქცია)**  
ამ ფაზისთვის მიზანშეწონილია შემდეგი სახის დავალებები: ტექსტის წაკითხვა/გააზრება/მოსმენა, გრამატიკული დავალება/სავარჯიშო, მათემატიკური დავალება, ექსპერიმენტი, ფილმი და ა.შ.

**თანამშრომლობითი ფაზა (კო-კონსტრუქცია)**  
ის ორი მოსწავლე, რომელიც ერთსა და იმავე დავალებას ასრულებდა, შედეგებს ერთმანეთს უზიარებს, მსჯელობს განსხვავებებზე. ისინი ერთად ასწორებენ შეცდომებს და/ან პასუხობენ პასუხგაუცემელ კითხვებს და, ამგვარად, საბოლოოდ „თავიანთი“ საკითხის „ექსპერტებად“ გვევლინებიან.

მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე გარკვეული იყოს:

- რა სახის ინფორმაცია უნდა გაუზიარონ წყვილებმა ერთმანეთს?
- როგორ უნდა გაუზიარონ?
- როგორ უნდა მოხდეს შედეგების გაზიარება?
- როგორ უნდა დავიცვათ თავი მცდარი ინფორმაციის ტირაჟირებისგან?

**გაზიარების ფაზა (ინსტრუქცია)**  
წყვილები ირევიან ერთმანეთში იმგვარად, რომ A და B ქმნიან ახალ წყვილს. წყვილები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას/



შედეგებს, ამასთანავე, ჩაინიშნავენ მიღებულ ინფორმაციას და ამგვარად სწავლობენ ერთმანეთისგან.

**ორმაგი საფუძველი (კო-კონსტრუქცია)**  
ჯგუფები უბრუნდებიან თავდაპირველ მდგომარეობას, ერთმანეთს უზიარებენ გაგებულს, აზუსტებენ და არკვევენ გაუგებარ ადგილებს.

**პრეზენტაცია და შეფასება**  
შესაძლოა, აზრს მოკლებული არ იყოს შედეგების რაიმე სახით კლასში გაზიარება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებმა ეს წინასწარ იცინან, შეიძლება ცალკეული ნამუშევრების აგროვება და შეფასება.

### შეფასება თანამშრომლობითი სწავლებისას

შეფასება თანამშრომლობითი სწავლებისას შეიძლება შემდეგნაირად წარიმართოს:

**შეფასება ინდივიდუალურ მუშაობის ფაზაში**  
გროვდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული ყველა ჩანაწერი ინდივიდუალური ფაზიდან და ხდება მათი შეფასება, გარდა ამისა, შეიძლება, ინდივიდუალურად შესრულებული ნამუშევრები შევადაროთ საბოლოო პროდუქტს, რათა ცხადი გახდეს თითოეული მოსწავლის წვლილი საბოლოო შედეგის მიღებაში.

**თანამშრომლობის (კოოპერირების ფაზა)**  
რამდენადმე პრობლემურია შეფასება თანამშრომლობით ფაზაში. აქ უმჯობესია, მასწავლებელი დააკვირდეს თითოეულ ჯგუფს ინტერაქციის კუთხით. ამ შემთხვევაში უპირანი იქნებოდა დაკვირვების კითხვარების შედგენა და გამოყენება. პარალელურად შეიძლება გაკეთდეს თვითშეფასების კითხვარები მოსწავლეთათვის.

**პრეზენტაციის ფაზა**  
რაც შეეხება პრეზენტაციის (გაზიარების) ფაზას, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯგუფური მუშაობის შედეგს წარმოადგენს, მაინც ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს (წინასწარი შედგენილი კრიტერიუმების საფუძველზე).

ერთდროულად ყველა ფაზის შეფასება, რასაკვირველია, შეუძლებელია – პედაგოგმა წინასწარ უნდა გაიზროს, რომელ ფაზაში უფრო გონივრული იქნება შეფასების წარმოება და მუშაობის დაწყების წინ მოსწავლეებიც გააფრთხილოს. ასევე შეიძლება, თანამშრომლობითი სამუშაოს დასასრულს მოსწავლეებს დაევალოთ წერილობითი ან ზეპირი სამუშაოს შესრულება.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ თანამშრომლობითი სწავლება შესაძლებლობას იძლევა, გაგზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა და, შესაბამისად, სწავლების პროცესიც უფრო წარმატებული და სახალისო გახდოდეს. გარდა ამისა სტატიაში მოყვანილი ყველა მეთოდი აპრობირებულია პედაგოგების და პირადად ჩემ მიერ.





ლელა კორკორაშვილი

# „კბილები მიკანკალებდა, მასწავლებელო!“ – თხრობის სირთულეები

**როგორ ფიქრობთ, რა უფრო რთულია ბავშვისთვის – თხრობა თუ წერა? ჩემი დაკვირვებით, თხრობა აუდიტორიის წინაშე სწორედ გადაულახავ სირთულედ იქცევა ხოლმე, თუნდაც მხოლოდ კლასელების წინაშე ჰყვებოდნენ და მასწავლებელიც გულისხმიერებას იჩენდეს.**

როგორ ფიქრობთ, რა უფრო რთულია ბავშვისთვის – თხრობა თუ წერა? ჩემი დაკვირვებით, თხრობა აუდიტორიის წინაშე სწორედ გადაულახავ სირთულედ იქცევა ხოლმე, თუნდაც მხოლოდ კლასელების წინაშე ჰყვებოდნენ და მასწავლებელიც გულისხმიერებას იჩენდეს.

ორი თვის წინ მესამე კლასთან ლიტერატურული კაფე მქონდა. ერთი შეხედვით, ნატა თამამი და ლალია. გაკვირვებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, როგორ ლელავდა კლასელების წინაშე თხრობისას. ღონისძიების დასაწყისშივე გამიხილა, რომ ნერვიულობდა. შევთანხმდით, რომ საყვარელი ეპიზოდის შესახებ ყველაზე ბოლოს ილაპარაკებდა. ნატას პრეზენტაციის დრო რომ მოვიდა, მთელმა კლასმა გაამხნევა, ისიც გამოცუნცულდა დაფასთან და შესანიშნავად ილაპარაკა „ჯადოქრის ქუდზე“. თავის მერხთან რომ დაბრუნდა, ვკითხე: აბა, როგორ გრძნობდი თავს-მეთქი? ყურებადმი გამიღიმა და მითხრა: ისე ვნერვიულობდი, კბილები მიკანკალებდაო.

მესამეკლასელ გაბრიელს არც თავდაჯერება აკლია და არც თხრობა უჭირს, თუმცა დაფასთან გამოსვლისას რაღაც ემართება – მის სიტყვებს ძალა ეკარგება, რადგან ხმა სულ სხვანაირი უხდება. ერთხელ შემომჩივლა, თხრობისას ვლელავ ხოლმეო.

აი, დათუნა სულ სხვანაირია. მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით მთხოვს ინსტრუქციის გამოვრებას და მისი საფეხურების დაზუსტებას, თხრობისას თამამი და გაბედულია. ერთხელ მთელმა კლასმა ტაშიც კი დაუკრა.

სათითაოდ შემიძლია გიაშობო, თუ როგორ ჰყვება ამბავს ჩემი ასამდე მოსწავლე. შეიძლება ითქვას, ეს წელი მიზანმიმართულად ვმუშაობდი

თხრობისთვის საჭირო უნარების განსავითარებლად. თხრობის სწავლებას ბევრი დრო სჭირდება და თუ გყავთ მოსწავლე, რომელიც თხრობას თავს არიდებს, გჯეროდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს (ჩემს პრაქტიკაში ამას მთელი სამი წელი დასჭირდა) ის აუცილებლად დაიწყებს თხრობას.

ისევ და ისევ ჩემი მოსწავლეობის პერიოდზე დაკვირვებამ და იმის გახსენებამ, საუკეთესო შემთხვევაში როგორი მომბეზრებელი იყო თხრობა და უარესი ვითარებისას – როგორი დამთრგუნველი, თხრობის სხვადასხვა ფორმის მოძებნა გადამაწყვეტინა. მასწავლებლისთვისაც გაუსაძლისია ერთი და იმავე ამბის მონოტონურ რეჟიმში მოსმენა. ამ დროს კლასის მართვაც რთულდება, რადგან ბავშვებისთვისაც მოსაწყენი ხდება სასწავლო პროცესი. გიზიარებთ ჩემს მიგნებებს იმის შესახებ, როგორ შევაცვაროთ თხრობა ბავშვებს.

### პირადი მაგალითი

ბავშვებს ძალიან უყვართ მოსმენა. პირადი ამბების გაზიარება თუ ნივთების აღაპარაკება (მხატვრული ხერხის, გაპიროვნების გამოყენება) მათ აქტიურ მოსმენას ახალისებს. სწორედ თავად ვუამბობ რომელიმე მოთხრობის ეპიზოდს ან საინფორმაციო ტექსტის მოკლე შინაარსს. ზოგჯერ ვცვლი მთხრობელს – ტექსტზე დაყრდნობითა და მწერლის ლექსის გამოყენებით პერსონაჟს სხვა პერსპექტივით ვალაპარაკებ. რამდენიმე გაკვეთილი ჩემს გამოკითხვას დაფუთმეთ - ზუსტად ისე ვსწავლობდი, როგორც ბავშვობისას, ცვებოდი სხვადასხვა მეთოდით და მოსწავლეები მაფასებდნენ. ამ ინიციატივამ ბავშვების მოტივაცია აამაღლა და ისინი კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ტექსტის თხრობით დასწავლას. დღიურში მათი კომენტარებიც ჩავიწერე:



- დროში ვერ ჩაეტიეთ, მას!
- შეეშალათ, ბიბლას ნაცვლად დევგარეული თქვით!
- „იხტიბარი არ გაიტეხა“ გამოვრჩათ!

### თხრობა მთხრობელის შეცვლით

პირადი მაგალითის შემდეგ ბავშვები თავისუფლები ხდებიან და თავადაც უჩნდებათ თხრობის სურვილი. თხრობა მთხრობელის შეცვლით მათი საყვარელი მეთოდია. თავად ირჩევენ პერსონაჟს და მისი თვალთახედვით ჰყვებიან ამბავს. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო რევამ ინანიშვილის „მუხა“ – ბავშვებმა აალაპარაკეს თავად მუხა, მოხუცი მონადირე, სხვა მონადირეები, კოდალა, შვილიშვილი, იები, ასანთის კოლოფი და თოფიც კი. გოდერძი ჩოხელის „გალმელებიდან“ კი – ბიბლა, დევგარეული, მათი ცოლები, დეკანოზი, მდინარე, დევგარეულის ჩრდილი, ლოდი და ყველაზე შთამბეჭდავი იყო, როცა ერთ-ერთმა მოსწავლემ მთხოვა, მე გზას ავალაპარაკებო.

### მოკლე შინაარსის თხრობის ქარკა

თავიდან... შემდეგ... ბოლოს... – ამ სიტყვების გამოყენებით მოსწავლეები მოკლედ ჰყვებიან მოთხრობის შინაარსს. ამ მეთოდით მკითხველი თითქოს გარედან უყურებს მოვლენების განვითარებას და მთავარ დეტალებზე ყურადღების გამახვილებას სწავლობს.

### თხრობა ტექსტთან მიახლოებით

ზოგჯერ ვთავაზობ, დაწვრილებით მოჰყვნენ – ისე, როგორც ავტორი წერს, რადგან შინაარსის ზუსტად დამახსოვრება მეტ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს და ამასაც უნდა მიეჩვიონ.

### თხრობა – შეცვალე დრო

გრამატიკული კატეგორიების აღქმა ამგვარად კიდევ უფრო უადვილებათ, მაგალითად, იმაზე დაკვირვება, რომ შვლის ნუკრი პირველ პირში გვიყვება ამბავს და საკუთარ თავზე საუბრისას ხშირად იყენებს პირველი სუბიექტური პირის ნიშნებს, ხოლო როდესაც დროსა და პირს ვცვლით, პირის ნიშნებიც იცვლება. ამასთანავე, თხრობისას აწყო, მომავალი თუ წარსული დროის მიზანმიმართული ცვლა გონების გავარჯიშების არაჩვეულებრივი საშუალებაა.

### „სტორითელისგის“ კამათლები

ბრიუსელში ყოფნისას მეგობარმა მასწავლებელმა საკანცელარო მალაზია Flying Tiger Copenhagen-ში წამიყვანა. გული დამწყდა, რადიდი განსხვავება ბელგიასა და ჩვენს ქვეყანას შორის სათამაშოების ხარისხისა და ფასის კუთხით. მალაზიაში ბევრი განმავითარებელი სათამაშო იყო საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასად. სწორედ იქ შევიძინე კამათლები სახელად Story Telling („ამბის თხრობა“). ექვსი კამათლის თითოეულ გვერდზე დატანილი იყო პიქტოგრამები – ყვავილი, ქუდი, საათი, ავტობუსი, ღიმილი, ტირილი და ა.შ. თამაშის წესები მარტივია და შეგიძლია, ინსტრუქცია თავად გამოიგონო, მაგალითად, გაავრცე კამათლები და ერთი წუთის განმავლობაში პიქტოგრამების მიხედვით მოჰყვი ამბავს. თავიდან რთული ჰგონიათ ხოლმე, მაგრამ ჩემი მოსმენის შემდეგ ყველა დიდი ხალხით იწყებს თხრობას.

კამათლებს სკოლაში დავატარებ და ხშირად ამბის თხრობას ვთამაშობთ. საკვირველია შემოქმედებით პროცესზე დაკვირვება, გაგორდება კამათლები და ჯერ არ იცი, რას შეთხზავ, რით დაიწყებ და რით დაამთავრებ. ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებში მეყსეულად რწმუნდებიან ბავშვებიც და ვფიქრობ, ამ კამათლების დამსახურებით თავდაჯერებაც ემატებათ.



**ბავშვებს ძალიან უყვართ მოსმენა. პირადი ამბების გაზიარება თუ ნივთების ალაპარაკება (მხატვრული ხერხის, გაპიროვნების გამოყენება) მათ აქტიურ მოსმენას ახალისებს. ხშირად თავად ვუამბობ რომელიმე მოთხრობის ეპიზოდს ან საინფორმაციო ტექსტის მოკლე შინაარსს. ზოგჯერ ცვვლი მოთხრობელს – ტექსტზე დაყრდნობითა და მწერლის ლექსიკის გამოყენებით პერსონაჟს სხვა პერსპექტივით ვალაპარაკებ.**

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ შემეთავაზებინა კოლეგებისთვის ეს აქტივობა. შესაძლებელია დიდი კამათლის გამოყენება და ზედ სტიკერების დაკვრა ან ქვეზე პიქტოგრამების დახატვა და მათი დახმარებით თხრობის სამყაროში მოგზაურობა.

**ფაზლებად დაყოფილი ეპიზოდები – ამბის აწყობა**

მტუტგარტის ხელოვნების მუზეუმის მალაზიაში ჩემი პატარა გოგონასთვის ძალიან საინტერესო ფაზლს მივაგენი. მუყაოს ოთხკუთხედ ბარათებზე დახატულია პატარ-პატარა ამბები, რომლებიც ფაზლივით იწყობა. თითოეულ ბარათს ორი მხარე აქვს და ორივეზე სხვადასხვა შინაარსის თემატური ამბავი ხატია. ერთი მოგვითხრობს ხელმწიფის ასულის თავგადასავალს ტყეში, ჯადოქართან შეხვედრასა და შინ დაბრუნებას, მეორე კი ერთ ოჯახზეა – დედ-მამასა და მათ ვაჟზე, რომელიც ასევე თავგადასავლის საძიებლად მიემზურება და შვიდ ჯუჯას გადაეყრება. ეს ამბები მე და ჩემმა შვილებმა ამოვიკითხეთ, თუმცა ათასნაირად შეიძლება გავრცობა. ჩემი გოგო ჯერ სამი წლისაც არ იყო, უფროს დაიკოს რომ უსმინა და თავადაც სცადა ამბების გამოგონება. ახლა ეს ჩვენი ოჯახის საყვარელი თამაშია – გავშლით იატაკზე ილუსტრირებულ მუყაოს ფირფიტებს და რიგრიგობით გვცვებით ამბებს.

სწორედ ამ სათამაშოს გავლენით შევთავაზე ჩემს მოსწავლეებს „შელის ნუკრის ნაამბობისა“ და „გალმეველების“ მთავარი დეტალების პატარა ბარათებზე დახატვა. თითოეულ მოსწავლეს ვურიგებ ექვს ბარათს, მაგნიტით გამაგრებთ დაფაზე, ერთავთ წამშობს, გამომსვლელი ამბის მოყოლას იწყებს, ჩვენ კი ვუსმენთ.

მოსწავლეს შეუძლია, მოთხრობის სიუჟეტურ ხაზს მიჰყვეს ან შეცვალოს ამბავი და საკუთარი ინტერპრეტაციით მოგონოს მოთხრობის ახალი ეპიზოდი. ერთხელ მეშვიდეკლასელების მიერ დახატული დეტალები და პერსონაჟები მეხუთეკლასელებთან გამოვიყენე, რამაც ჩემ მიერ აღწერილი აქტივობისადმი მათი დადებითი დამოკიდებულება კიდევ უფრო განამტკიცა.

წარმოიდგინეთ, რომ შეგხვდათ ექვსი ბარათი, რომლებზეც ხატია ბედისკვერი, ბიბლა, დევგარეულის სახლი, მდინარე, ლოდი, სანთელი – საიდან დაიწყებდით თხრობას? ან რას მოჰყვებოდით?

ჩემი მოსწავლეების მიერ შექმნილი თხრობის ბარათები იხილეთ სკოლის ბლოგზე.

**თხრობის სწავლება წერილის დახმარებით**

ხშირად წერით დავალებად ზუსტად იმას ვაძლევ, რასაც თხრობისას ირჩევენ. მოსაწყენი რომ არ

იყოს, მოთხრობელის შეცვლას ვთავაზობ. ზეპირ-მეტყველებზე მუშაობისას წერითი აქტივობის მიზმისკენ მათი ამაღლებული მოტივაცია და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის სურვილი მიზიდვებს, თან, ალბათ, თქვენთვისაც რთულია სახალისო დავალებების შეთავაზება მოკლე დროსა და არქარებულ რიტმში. ჩემი დაკვირვებით, ასეთ დროს დავალების ინსტრუქციასაც ადვილად იმახსოვრებენ.

**თხრობის დღეები**

თხრობისთვის განსაზღვრული დღეები გვაქვს ხოლმე და, როგორც წესი, ორი-სამი დღე გვჭირდება, მთელმა კლასმა რომ შეძლოს მოყოლა. თავდაპირველად მოთხრობას ლექსიკურად გამუშავებთ, პერსონაჟებს ვაკვირდებით, ამბავს მივყვებით. მერე თხრობის დღეები დგება. შეფასების კრიტერიუმებზეც ვთანხმდებით: ტექსტის შინაარსის ცოდნა, სიტყვების გამოყენება, თვალის კონტაქტი აუდიტორიასთან, ინტონაცია და დროის ლიმიტი.

**სახალისო ვიქტორინა – „დაიჭირე ფრაზა“**

ვირჩევთ, თხრობის დაწყებამდე მოსწავლეებს უთხრათ, რომ გაკვეთილის ბოლოს სახალისო ვიქტორინას ითამაშებთ. ამ აქტივობაზე ერთ-ერთ სტატიამ ვიწერდი და ჩემმა კოლეგამ მიჩრია, „დაიჭირე ფრაზა“ დაარქვიეთო. ერთი მხრივ, მოსწავლე გრძნობს, რომ მას გულისყურით უსმენთ, მეორე მხრივ, თქვენთვისაც სახალისო ხდება მოსმენის პროცესი, რადგან მთელი არსებით ხართ ჩართული. ამასთანავე, ვიქტორინის მოლოდინი განწყობას ამაღლებს და გაკვეთილის ბოლო ნაწილს ხიბლს მატებს.

ჩემ მიერ აღწერილი აქტივობების მონაცვლეობამ დამარწმუნა, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში შესანიშნავი მოთხრობელები ხდებიან და ხშირად საქებარი სიტყვები არ მყოფნის ხოლმე. მუდმივად შეაქეთ, წაახალისეთ, გაუქარწყლეთ შიში და შფოთვა, ურჩიეთ, რა და როგორ გააუმჯობესონ. ქართულის გაკვეთილზე ვასწავლით იმ მნიშვნელოვან უნარს, რომლითაც ცხოვრებაში თავი უნდა დაიმკვიდრონ და ძალიან მინდა, თხრობას სხვა საგნების სწავლის დროსაც ადვილად გაართვან თავი.

იმედი მაქვს, მალე ჩემს მესამეკლასელ ნატას თხრობისას კბილები აღარ აუკანვალდება. მის გასამხნეებლად აუცილებლად გამოვიყენებ ფრაზას, რომელიც ერთმა მეხუთეკლასელმა ბიჭმა თანაკლასელ გოგონას უთხრა: „წარმოიდგინე, რომ ჩვენ სარკე ვართ და შენს თავს უყურებ!“





თარგმნა ლევან ალფაიძემ

# კენ რობინსონის ინტერვიუ სკოლების, შემოქმედებისა და ახალი საუკუნისთვის საჭირო განათლების სისტემის შესახებ

განათლების პოლიტიკის ბრიტანელი ექსპერტის სერ კენეტ (კენ) რობინსონის და TED-ის გლობალური პლატფორმის დირექტორის კრის ანდერსონის საუბარი (პოდკასტ-ინტერვიუ) განათლების პოლიტიკასა და მისი ცვლილების აუცილებლობაზე თანამედროვე სამყაროში\*.

„ხომ არ კლავენ სკოლები ბავშვებში შემოქმედებითობას?“ – ეს კითხვა კენ რობინსონმა 2006 წელს TED-ის აუდიტორიას დაუსვა. შედეგი მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მისმა გამოსვლამ უამრავ ადამიანზე იმოქმედა და ვიდეოს ნახვების რიცხვმა 73 მილიონს გადააჭარბა. აქ წარმოდგენილ ინტერვიუში, რომელიც 2021 წელს გამოქვეყნდა YouTube-ზე (ექსპერტი 2020 წელს გარდაიცვალა), რობინსონი იმ ცვლილებებსა და პროგრესზე საუბრობს, რაც 2006 წლის შემდეგ მოხდა განათლებაში და პასუხს სცემს საკუთარ კითხვას.

**კრის ანდერსონი:** ყველას მოგესალმებით. ეს TED-ინტერვიუა, პოდკასტების სერია, რომელშიც TED-ის სპიკერებს ვხვდებით და უფრო საფუძვლიანად განვიხილავთ მათ მიერ წამოჭრილ საკითხებს. დღეს განსაკუთრებული სტუმარი გვყავს – სერ კენ რობინსონი, რომლის ინტერვიუ 50 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა (ყველაზე მეტი მნახველი TED-ის პლატფორმაზე მისი დაარსების დღიდან). მან ეს პლატფორმა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოაქცია!

**კენ რობინსონი:** ცოტა ხნის წინ დიდებული ამბავი მოვისმინე პატარა გოგონაზე, რომელიც ხატვის ვაკვეთილს ესწრებოდა. ბავშვი 7 წლის იყო და, როგორც მასწავლებელმა თქვა, დიდად არ აინტერესებდა ხატვა. აი, ამ პატარა გოგონამ საოცარი

მაგალითი მოგვცა. როდესაც მასწავლებელი მასთან მივიდა და ჰკითხა, რას ხატავდა, გოგონამ უპასუხა: „ღმერთის პორტრეტს“. „კი მაგრამ, არავინ იცის, როგორ გამოიყურება ღმერთი“. გოგონამ მიუგო: „რამდენიმე წუთში გეცოდინებათ“.

**კრის ანდერსონი:** იღებმა, რომლებიც კენ რობინსონმა გააუღერა, გამოძახილი პოვა მილიონობით ადამიანში მთელი მსოფლიოდან – მათში, ვისაც არ მიეცა საშუალება, გამოეხატა და სხვებისთვის გაეზიარებინა თავისი შემოქმედებითი უნარები.

**კენ რობინსონი:** მწამს, რომ ჩვენ შემოქმედებითად კი არა, შემოქმედების საწინააღმდეგო მიმართულებით გვზრდიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვანათლებენ შემოქმედების საწინააღმდეგო მიმართულებით.

**კრის ანდერსონი:** ბატონო რობინსონი თითქმის მთელი ცნობიერება განათლების საკითხების მკვლევარი იყო და დღეს მისი სტუმრობა დიდი პატივია, ამასთან, კარგი შესაძლებლობაც განათლების საკითხებზე სასაუბროდ. ბატონო რობინსონ, კეთილი იყოს ჩვენთან თქვენი სტუმრობა.

კენ რობინსონი: ეს დიდი პატივია, კრის, დიდი მადლობა!

**კრის ანდერსონი:** მოდი, თქვენი განათლების ისტორიით დავიწყოთ.


**კენ რობინსონი:** კი ბატონო, ასე იყოს. მე ლივერპულში დავიბადე 1950 წელს და შვიდი და–ძმიდან ერთ-ერთი ვიყავი. ღარიბ ოჯახში ვიზრდებოდით, თუმცა ამის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით.

განათლება  
ადამიანისთვის  
არსებობს. იგი  
ადამიანის ზრდასა  
და განვითარებას  
გულისხმობს  
და უაღრესად  
პერსონალური  
პროცესია.

\* ინტერვიუ შემოკლებულია. სრული ვერსიისთვის იხ. აუდიოფაილი: [https://www.ted.com/talks/the\\_ted\\_interview\\_sir\\_ken\\_robinson\\_still\\_wants\\_an\\_education\\_revolution?language=en](https://www.ted.com/talks/the_ted_interview_sir_ken_robinson_still_wants_an_education_revolution?language=en)



განათლებას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული და სოციალური განზომილება, მაგრამ ყოველი ჩვენგანი უნიკალურია. ჩვენ სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ, განსხვავებული შესაძლებლობები, ტალანტები და მისწრაფებები გვაქვს და ყველაზე დიდი კრიტიკა, რომელიც მე მაქვს განათლების მასობრივი სისტემებისადმი, გახლავთ ის, რომ ეს სისტემები ამ განსხვავებებს შლიან.



**კრის ანდერსონი:** შვიდიდან მაინც რომელი?

**კენ რობინსონი:** მეხუთე გახლდით.

**კრის ანდერსონი:** ნომერი ხუთი. გამოდის, მართლაც რამე უნდა მოგემოქმედათ, რომ მშობლების ყურადღება მიგეპყროთ.

**კენ რობინსონი:** დიახ, ასე იყო. ვიზრდებოდი და წარმოდგენა არ მქონდა, საით წავსულიყავი ან რა მეკეთებინა, ან საერთოდ მეკეთებინათუ არა რამე. ეს ყოველთვის მნიშვნელოვანი თემა იყო ჩემს ცხოვრებაში. ადამიანები ხომ თვითონ ვეძნით საკუთარ ცხოვრებას და დიდი მნიშვნელობაც არ აქვს, სად დავიწყებთ ამ პროცესს.

**კრის ანდერსონი:** ბავშვობაში მძიმე დაავადება დაგემართათ. გასურთ ამაზე საუბარი?

**კენ რობინსონი:** დიახ. ოთხ წლამდე მამაჩემი დარწმუნებული იყო, რომ ფეხბურთელი გახდებოდი. როგორც ჩანს, ჩემში საამისო ნიჭი დაინახა, რადგან ძლიერი და სწრაფი ვიყავი, ხელებისა და თვალების კარგი კოორდინაცია მქონდა, ხოლო მამაჩემი ახალგაზრდობაში ნახევრად პროფესიონალურად თამაშობდა ფეხბურთს. 50-იან წლებში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში პოლიომიელიტის ეპიდემია დაიწყო და მეც ეს დაავადება დამემართა. შედეგად ოთხი წლისა საავადმყოფოში მოხვდი და იქ თითქმის რვა თვე გავატარე, თუმცა პარალიზებული დავრჩი. მერე სპეციალური განათლების

სამყაროში აღმოვჩნდი და იქიდან ბევრი არაფერი მიმიღია. შემდეგ მარგარეტ ბევანის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სკოლაში გადამიყვანეს, სადაც სხვადასხვა ფიზიკური დაავადების მქონე ბავშვები ყავარჯნებით და ეტლებით გადაადგილდებოდნენ. ამან მთელი ჩემი ოჯახი ამ უცხო სამყაროში მოისროლა.

**კრის ანდერსონი:** მიუხედავად ამისა – ან იქნებ სწორედ ამიტომ – თქვენ კარგად სწავლობდით და ბოლოს, როგორც ვიცი, სწავლა გრამატიკის სკოლაში დაასრულეთ, რომელიც ბრიტანეთში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**კენ რობინსონი:** დიახ, ასე იყო. საინტერესოა, როგორ მოხდა ეს. ადამიანთა ფიზიკურ უნარ-შეზღუდულობას დიდ ყურად-

ლებას არ ვაქცევდი. ვგულისხმობ იმას, რომ შეზღუდულ უნარებს არ განუსაზღვრავს ჩემი შემდგომი სწავლა-განათლება – მე არ ვფიქრობდი ჩემს თავზე როგორც პოლიომიელიტით დაავადებულზე და არც სხვა ბავშვებს ვუყურებდი როგორც ცერებრალური დამბლის მქონეებს. ჩვენ უბრალოდ ბავშვები ვიყავით, რომლებიც სხვებივით ცელქობდნენ და ფლანგავდნენ დროს. ჩემთვის ნათელი იყო, რომ სისტემა ბევრს არაფერს ელოდა ამ მოსწავლეებისგან და ვერც მე გავაკეთებდი იმას, რაც გავაკეთებ, ცხოვრების გზაზე ორ-სამ ადამიანს რომ არ გადაეყროდი.

ერთი მათგანი გახლდათ სასკოლო ინსპექტორი ჩარლზ სტრატფორდი, რომელიც ერთ დღეს ჩვენთან, საკლასო ოთახში შემოვიდა. მაშინ ათი წლის ვიყავი, უკან ვიჯექი და როგორც სხვები, ბევრს არაფერს ვაკეთებდი. მახსოვს, ჩემს მეგობარს, რობერტს ვესაუბრებოდი (მას ჰიდროცეფალია და გადიდებული თავის ქალა ჰქონდა). იმ დღეს ვესაუბრე ამ მამაკაცსაც, რომელზეც შემდგომ გავიგე, რომ ჩარლზ სტრატფორდი ერქვა.

რამდენიმე დღეში დამიძახეს და მითხრეს, უფროს მასწავლებელთან მივსულიყავი. მის კაბინეტში ბატონი სტრატფორდი დამხვდა. აღმოჩნდა, რომ იგი სპეციალური განათლების ინსპექტორი იყო და ჩემით დაინტერესდა. მან სკოლის ადმინისტრაციას შესთავაზა, ჩემთვის რამე ახალი გავკეთებინათ. ამ შეხვედრის შედეგად აღმოვჩინდი სხვა კლასებში, სადაც შევხვდი შესანიშნავ მასწავლებელსა და ადამიანს, ქალბატონ იორკს. იგი წარმოუდგენლად კარგი,

მაგრამ ასევე წარმოუდგენლად მომთხოვნი აღმოჩნდა.

იმ დროს დიდ ბრიტანეთში იმართებოდა სპეციალური გამოცდა (რომელიც ყველა ბრიტანელმა იცის) – „11 პლუსი“. ეს გახლდათ საჯარო გამოცდა 11 წლის ასაკში, რომლის მიხედვითაც ხდებოდა მოსწავლეთა განაწილება (მათ შორის – გრამატიკის სკოლაში). მის იორკი, უფროსი მასწავლებელი და ჩარლზ სტრატფორდი რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მე შევძლებდი „11 პლუსის“ ჩაბარებას. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გამოცდა ჩავაბარე და გავხდი პირველი მოსწავლე სკოლის ისტორიაში, ვინც ეს შეძლო. ინგლისში. განსაკუთრებით კი ლივერპულში, „11 პლუსის“ ჩაბარება უდრიდა პასპორტის მიღებას ახალ სოციალურ სამყაროში, ახალ პლანეტაზე გადასახლებას. როგორც მოგახსენეთ, გამოცდა ჩავაბარე და გამგზავნეს კოლეჯში, რომელმაც სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

**კრის ანდერსონი:** ნებისმიერი ამ ადამიანთაგანი, რომლებიც თქვენ ინდივიდუალურად მოგიდგნენ, იამაყებდა შედეგით, რომელსაც მიაღწიეთ და ჩათვლიდა, რომ თქვენთვის დანარჯული დრო და მიღებული გადაწყვეტილებები სწორი იყო. თქვენ ხშირად ამბობთ, რომ ბავშვებისადმი პერსონალიზებული მიდგომა და განათლება ძალიან მნიშვნელოვანია და განათლება არ არის სამოსი, რომელიც ყველას ზომას მოერგება.

**კენ რობინსონი:** ვფიქრობ, ეს აქსიომაა. განათლება ადამიანისთვის არსებობს. იგი ადამიანის ზრდასა და განვითარებას გულისხმობს და უაღრესად პერსონალური პროცესია.

განათლებას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული და სოციალური განზომილება, მაგრამ ყოველი ჩვენგანი უნიკალურია. ჩვენ სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ, განსხვავებული შესაძლებლობები, ტალანტები და მისწრაფებები გვაქვს და ყველაზე დიდი კრიტიკა, რომელიც მე მაქვს განათლების მასობრივი სისტემებისადმი, გახლავთ ის, რომ ეს სისტემები ამ განსხვავებებს შლიან. მაგალითად, ჩემი მოხვედრა გრამატიკის სკოლაში სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. მე იქ მომეწონა, თუმცა ეს სკოლა ყველასთვის არ გამოდგებოდა.

ბევრი მოხვდა გრამატიკის სკოლაში, მაგრამ არ მოსწონდათ იგი. ასევე ბევრი, ვისაც ამ სკოლაში სურდა მოხვედრა, ვერ მოხვდა იქ, რადგან გამოცდის ჩაბარება ვერ შეძლეს. შეიძლება მათ იქ მოსწონებოდათ, მაგრამ არ მიეცათ ამის შესაძლებლობა; მე კი ეს შესაძლებლობა მომცეს. ამ სისტემის ერთ-ერთი თავისებურება ის გახლავთ, რომ იგი ემყარება გონებრივი შესაძლებლობების გარკვეულ ხედვას, თუმცა ინტელექტი ბევრად უფრო ფართო მასშტაბის რამაა, ვიდრე ის უნარები, რომლებიც კულტივირებულია ამ სისტემაში. მე არ ვაკრიტიკებ საკუთრივ აკადემიური განათლების სისტემას. მე იგი მომწონს კიდევ. ვგულისხმობ იმას, რომ მიუშავია პროფესორად უნივერსიტეტში, ვწერ წიგნებს, დავიცავი სადოქტორო დისერტაცია და, როგორც ხედავთ, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ ეს არ გახლავთ ცხოვრების ერთადერთი ფორმა და მით უმეტეს, არ არის ცხოვრების უმაღლესი ფორმა. ეს ცხოვრების მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა.





მარიამ გოგოლაძე

# დისლექსიის პარადოქსი და მასთან გამკლავების საშუალებები

**დისლექსიის დროს სასარგებლოა ნაადრევი ჩარევა, შესაბამისი გადამისამართება, რათა აღქმის/ კითხვის სირთულემ ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესში ბავშვის ჩართულობას და არ გამოიწვიოს გრძელვადიანი უარყოფითი შედეგები.**

„დისლექსიის პარადოქსი“ შემთხვევაში კითხვის სირთულის განსაზღვრის ოპტიმალურ ვადად ბავშვების დიაგნოსტიკებამდე პერიოდი სახელდება. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემებში უკვე შემუშავებულია ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც უფრო მარტივად გამოავლენს ამ რისკგუფის ბავშვებს სწორედ მაშინ, როცა ჩარევა, შესაძლოა, ყველაზე ეფექტური აღმოჩნდეს.

დაწყებითი სკოლის ერთ-ერთ ძირითად მიზნად კითხვის ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება მოიხრება, თუმცა მრავალი მოსწავლე ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. 2019 წლის მონაცემების თანახმად, მეოთხეკლასელების 64%-ის კითხვის უნარი კლასის დონეზე დაბალია. ამ მაჩვენებელს კი „შოკისმომგვრელად“ აფასებენ. ამერიკაში დასწავლის უნარის დარღვევის ისეთი ფორმა, როგორცაა დისლექსია, ქვეყნის მასშტაბით ბავშვების 10-12%-ს აღმოაჩნდა. თუმცა ეს მაჩვენებელი არ ნიშნავს იმას, რომ მათ რაიმე მკაფიო ნიშა აქვთ. ისინი ისევე მოტივირებული არიან სწავლისთვის, როგორც დანარჩენები. მათ არ ექმნებათ სენსორული ან მოტორული დეფიციტი, არც საგანმანათლებლო შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდიან. მიუხედავად ამისა, რაც უნდა ეცადონ, უჭირთ კითხვა და მართლწერა.

დისლექსიის მიზეზები ბოლომდე არ არის დადგენილი. ზოგ კვლევაში გენეტიკურ კომპონენტზე მიუთითებენ. ასევე აღნიშნავენ, რომ დისლექსია იდენტური ტყულების 68%-თან აღირიცხება. ის ყველა ეთნიკურ და ეკონომიკურ ჯგუფში გვხვდება და მთელი სიცოცხლე გრძელდება. უცხოელი მკვლევრები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ დისლექსიის მქონე ბავშვები ვერ ახერხებენ ფონოლო-

გიურ აზროვნებას სპეციალური ინსტრუქციების გარეშე და შესაბამის დონეზე კითხვას.

## დისლექსიის ეფექტები

დისლექსიის დროს სასარგებლოა ნაადრევი ჩარევა, შესაბამისი გადამისამართება, რათა აღქმის/ კითხვის სირთულემ ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესში ბავშვის ჩართულობას და არ გამოიწვიოს გრძელვადიანი უარყოფითი შედეგები, რაც ლექსიკური მარაგის შეცვლა-სრულყოფაზე, კითხვით აღქმაზე, აკადემიურ ქცევებზე აისახება. ყველაფერ ამას შესაძლოა თან ახლდეს დაბალი თვითშეფასება, დეპრესია, გაღიზიანება, სირცხვილის გრძნობა, არაადეკვატურობა და უმწეობა.

სათანადო ჩარევის გარეშე ადრეული წერა-კითხვის დეფიციტი მძიმდება, რაც ხანგრძლივ ნეგატიურ გავლენას ახდენს ლექსიკის განვითარებაზე, კითხვის გააზრებასა და აკადემიურ მოსწრებაზე, ამასთან, უარყოფითად მოქმედებს თვითშეფასებაზე, ზრდის დეპრესიას, შფოთვის, სირცხვილს, არაადეკვატურობისა და უმწეობის განცდას.

ადრეულ ასაკში კითხვის სირთულის დროს ხშირად იმატებს გაუბედაობა, ბავშვებს აღარ მოსწონთ კითხვა და თანატოლებზე ნაკლებს კითხულობენ. კვლევები მოწმობს, რომ დისლექსიის მქონე ბავშვების 10% წლის განმავლობაში სკოლის გარეთ იმაზე გაცილებით ნაკლებს კითხულობს, ვიდრე დანარჩენი 90% – სამ დღეში.

ბავშვების 70%, რომელსაც პირველ კლასში კითხვის საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, სირთულეს





**სათანადო ჩარევის გარეშე ადრეული წერა-კითხვის დეფიციტი მიძიმდება, რაც ხანგრძლივ ნეგატიურ გავლენას ახდენს ლექსიკის განვითარებაზე, კითხვის გააზრებასა და აკადემიურ მოსწრებაზე, ამასთან, უარყოფითად მოქმედებს თვითშეფასებაზე, ზრდის დეპრესიას, შფოთვას, სირცხვილს, არაადეკვატურობისა და უმწეობის განცდას.**

საშუალო დიაპაზონის კითხვის მარცხენებელი 92%-მდე გაიზარდება.

ლოქტორ გააბის თქმით, დისლექსიის ადრეული ამოცნობა შესაძლებელია პედიატრიული ნე-იროგრაფიით ტვინის სტრუქტურისა და ფუნქციონირების კვლევის გზით მანამდე, სანამ ბავშვები კითხვას დაიწყებენ.

დისლექსიის დროს წარმატებულ ჩარევად მიჩნეულია სწავლის მულტიმოდალური მიდგომა<sup>1</sup>, რომელიც სწავლის გასაძლიერებლად ადამიანის რვავე გრძნობას იყენებს<sup>2</sup>. კვლევამ აჩვენა, რომ მრავალსენსორული მიდგომა კარგად მუშაობს შეზღუდვების მქონე ბავშვებთან.

- გარდა ამისა:
  - დისლექსიის პრევენცია უნდა ხორციელდებოდეს პროფესიონალის უშუალო ჩარევით;
  - კითხვის უნარის დაქვეითების პრევენცია ასევე მოიზრებს ბავშვის ძლიერ და სუსტ მხარეებზე მორგებული სპეციალური პროგრამის შეთავაზებას;
  - პრევენცია შეიძლება ხორციელდებოდეს რესურსოთაში ან ლინგვისტურ ცენტრებში;
  - პროგრამა მიეწოდება სტრუქტურული და სისტემური მიდგომის გამოყენებით;
  - მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა ისწავლება ერთად, ყველა გრძნობის გამოყენებით, მოსწავლის მეხსიერებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად.

- აღნიშნული პროგრამები მოიცავს:
  - ფონემატური შეგნების ამალვებას (სიტყვების დანაწევრებას ასო-ბგერებად და შემდეგ მათ გამთლიანებას);
  - ენის ბგერითი სისტემის დაუფლებას (სიმბოლურ-ბგერით ასოციაციებს);
  - მარცვლოვან ინსტრუქციებს (ექვსი ან შვიდი მარცვლის ტიპი განსაკუთრებული ბგერითი შეფერილობით);
  - მნიშვნელობის მქონე სიტყვის ნაწილების სწავლებას (სიტყვის ფუძე, თავსართ-ბოლოსართები);
  - გრამატიკას და სინტაქსს;
  - სიტყვის მნიშვნელობას.

დისლექსიის მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის შექმნილი ელექტრონული პროგრამებიდან<sup>3</sup>

(MSL Programs) ზოგი – ინდივიდუალური, ზოგი კი ჯგუფში მუშაობისთვის<sup>4</sup> არის განკუთვნილი. მაგალითად, Orton-Gillingham (O-G) – ყველა MSL-პროგრამის პროტოტიპი – შექმნილია ინდივიდუალური რეპეტიციისთვის; ანბანური ფონიკა: O-G-ის ორგანიზებული გაფართოება; Slingerland: O-G-ადაპტაცია, შექმნილია რისკის შემსწავლელი მკითხველების მთელ კლასებში გამოსაყენებლად; პროექტის წაკითხვა: შექმნილია პირველი-მეექვსე კლასების მასწავლებლებისთვის და მოიცავს კომპონენტებს კითხვისა და წერითი გამოხატვის წაკითხვისთვის; ვილსონის კითხვის სისტემა თინეიჯერებისა და ზრდასრულებისთვის, კითხვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის – ის აგარჯიმებს მათ როგორც კითხვაში, ასევე წერაშიც; Lindamood Phonemic – თანმიმდევრობის პროგრამა – კითხვა, მართლწერა და მეტყველება (LiPS) წინ წამოსწევს ხმის სისტემის მგრძობიარე სწავლებას; ჭკვიანი საბავშვო თემები და სხვ.

იმედს ვიტოვებთ, მსგავსი პროგრამების ადაპტირება ქართულ ენაზეც მალე გახდება შესაძლებელი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დისლექსიის მქონე ბავშვების მდგომარეობას.



**შენიშვნები:**

<sup>1</sup> მარიამ გოდუაძე, 2017, <http://mastsavlebeli.ge/?p=14818>  
<sup>2</sup> მარიამ გოდუაძე, 2017, <http://mastsavlebeli.ge/?p=14891>  
<sup>3</sup> Orton-Gillingham (O-G); Wilson Reading System; Lindamood Phonemic Sequencing Program for Reading, Spelling and Speech (LiPS); Alphabetic Phonics  
<sup>4</sup> Slingerland;



თარგმნა ქეთევან კობალაძემ

# ციფრული ეპოქა – რეკომენდაციები მშობლებისთვის

ციფრულ ეპოქაში მცხოვრები მშობლების უმრავლესობას ემინია, რომ ტექნოლოგიების გამოყენება მათ შვილებს მომავალში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ამის შესახებ წერს შიმი კენგი თავის წიგნში „როგორ აღვზარდოთ ჯანსაღი უნარ-ჩვევები გაჯეტებისა და სოციალური ქსელების სამყაროში“. ავტორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქიატრი და მკვლევარია, ასევე – ექსპერტი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სფეროში და ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, მიღებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ჯილდო.

ნაწყვეტი წიგნიდან: „კვლევებმა აჩვენა, რომ ამა თუ იმ ტიპის დამოკიდებულებისკენ მიდრეკილებას ავლენს შემდეგი რისკფაქტორები: ბავშვს უჭირს თანატოლების გაცნობა და მათთან ურთიერთობის დამყარება; ხშირად უჩნდება სოციალური იზოლაციისა და მარტოობის განცდა; შფოთვა; ყურადღების დეფიციტის სინდრომი და ჰიპერაქტიურობა; იმპულსურობა; ბრზის მართვის სირთულეები. მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ თუ მოზარდს შეატყვევს რომელიმე ერთი ჩამოთვლილი სიმპტომებიდან, ეს არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, მომავალში მართლაც გადაიზარდოს დამოკიდებულების განვითარების რისკში, ამიტომ აუცილებელია, ყურადღებით დააკვირდეთ მოზარდის ქცევას, როდესაც ის გაჯეტებთან ურთიერთობს“.

„თვალყური ადევნეთ ნიშნებსა და სიმპტომებს, – განაგრძობს შიმი კენგი, – მშობლებო/აღმზრდებლო-

დებლო, თუ ბავშვი ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული, სავარაუდოა, რომ მრავლად აღმოაჩინთ ფიზიკურ და ქცევით სიმპტომებს, თუ კარგად დააკვირდებით მას. აქ მნიშვნელოვანია, არ გამოგეპაროთ ის მომენტი, როდესაც გაჯეტების მოხმარების ჩვევა უკვე საშიშ ფაზაში გადადის. დააკვირდით: საგანგაშოა, თუ ბავშვის მზერა, ასე ვთქვათ, მიწებებულია ეკრანს, თუ ის საკმაოდ დიდხანს ზის კომპიუტერთან პრაქტიკულად გაუნძრევლად და შეხებზე არ რეაგირებს, თუ წინააღმდეგობას უწევს უფროსებს, როდესაც ისინი ცდილობენ, ეკრანს მოაცილონ, თუ გამოხატავს გაბრაზებას, ანუ თავდაცვით რეაქციას, როდესაც ვინმე არასწორ საქციელზე მიუთითებს.

საშიში ტენდენციაა ბავშვის მიერ ჭამაზე, გასეირნებაზე, სპორტულ აქტივობაზე უარის თქმა, დაძინების დროის სისტემატურად გადაწევა, სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საქრობების (კბილების გამონეხვა, ყოველდღიურად შხაპის მიღება...) მიმართ ავადებული დამოკიდებულება“.

ამავე კონტექსტში განიხილება ოჯახური კონფლიქტები გაჯეტების გამო; ისეთ საქმიანობებზე უარის თქმა, რომლებიც ადრე სიამოვნებას ანიჭებდა ბავშვს; სოციალური იზოლაცია. მოზარდი შფოთავს, როდესაც მოშორებულია გაჯეტს და გამუდმებით იმაზე ფიქრობს, როგორ დაუბრუნდეს მას; ცრუობს, რათა არ გამოაშკარავდეს მის მიერ ინტერნეტისა თუ ვიდეოთამაშების გამოყენების მასშტაბი.

„ძვირფასო მშობლებო/აღმზრდებლო, – მოგვმართავს წიგნის ავტორი, – იმისთვის, რომ გაიგოთ, რას გრძნობს თქვენი შვილი გაჯეტების

**მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანს საშუალოდ 90 დღე სჭირდება ჩვევის შესაცვლელად. თანაც ეს დრო სერიოზულ, თანამიმდევრულ, დაძაბულ მუშაობას უნდა მოხმარდეს. ამ ხნის შემდეგაც დასჭირდება ბავშვს უფროსების თანადგომა მაპროვოცირებელი სიტუაციების კონტროლისთვის, რათა არ მოხდეს რეგრესი და მავნე ჩვევების განმეორება.**





**მშობლებისგან ხშირად მომისმენია, რომ შვილების დახმარებისას ყველაზე სერიოზული ნაბიჯი იმ გადანყვეტილების მიღება იყო, რომელმაც შეაძლებინათ, სიყვარულით, მოთმინებით, სიმტკიცით შეემცირებინათ გაჯეტების მოხმარების დრო. ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა, მაგრამ მშობლის ნებისყოფამ მათ ეს სირთულე გადააღალახვინა.**

გამოყენებისას, ესაუბრეთ მშვიდად, ეცადეთ, საერთო ენა გამონახოთ მასთან, მოუსმინეთ დიდი ყურადღებით და გაოცდებით იმით, რასაც მოისმენთ. მაგალითად, თუ ბავშვს თვითონტროლის პრობლემა აქვს და თქვენ გინდათ, უფრო მეტი შეიტყოთ ამის შესახებ, ჰკითხეთ: „ქალიან ბევრს ფიქრობ ინტერნეტთამაშებზე? / სოციალურ ქსელებზე? და ეს ფიქრები იმდენად ყოვლისმომცველია, რომ უკვე შეწუხდი? არის შემთხვევები, რომ გინდა, საშინაო დავალებები შეასრულო, მაგრამ მაინც სულ ვიდეთამაშზე ფიქრობ? ან იქნებ მეცადინეობის დაწყებამდე სოციალური ქსელის შემოწმებას იწყებ, მაშინაც კი, როდესაც იცი, რომ ცოტა დრო გაქვს და არცერთი წუთი არ უნდა გააცდინო? როდესაც ინტერნეტში თამაშობ ან სოციალურ ქსელებს ამოწმებ, მოულოდნელად განწყობა ხომ არ გიფუჭდება? იქნებ შფოთვა გეწყება? ადვილად და სწრაფად ხომ არ ღიბიანდები? როდესაც ცუდ



გუნებაზე ხარ, მაშინ ხომ არ გინდება ინტერნეტის გამოყენება პრობლემებისგან გასაქცევად? როდესაც ინტერნეტის მოხმარებას იწყებ, დრო ისე გარბის, რომ ვერც კი ამჩნევ? ცდილობ, ბევრი დრო არ დაახარჯო გაჯეტებს, მაგრამ არაფერი გამოგდის? ზურგის ტკივილი, თვალების დაძაბულობა

ხომ არ გაწუხებს, როდესაც კომპიუტერს უზიხარ?“ ამ კითხვების უმრავლესობაზე დადებითი პასუხის მიღებისას, ვფიქრობ, აუცილებელია, შესაბამის პროფესიონალებს მიმართოთ“.

თუ საქმე შედარებით მსუბუქადაა, შიში კენგი გვირჩევს, ვისწავლოთ, როგორ მოვიქცეთ, როგორ დავხმაროთ შვილს, რათა მან შეამციროს გაჯეტების გამოყენების დრო.

„მშობლებისგან ხშირად მომისმენია, რომ შვილების დახმარებისას ყველაზე სერიოზული ნაბიჯი იმ გადაწყვეტილების მიღება იყო, რომელმაც

შეაძლებინათ, სიყვარულით, მოთმინებით, სიმტკიცით შეემცივებინათ გაჯეტების მოხმარების დრო, – წერს ავტორი. – ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა, მაგრამ მშობლის ნებისყოფამ მათ ეს სირთულე გადააღებინა. როგორც ნარკოლოგი, რომელსაც ბევრი უმუშავია ბავშვებთან, მოზარდებსა და ახალგაზრდებთან, გარწმუნებთ: დამოკიდებულება იკურნება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ძალიან სტიგმატიზებული მოვლენაა, რომელიც საზოგადოების მიერ უმართებულოდ აღიქმება, რაც გამოჯანმრთელებას ართულებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადრეული ჩარევისას ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად უფრო ნაკლები ძალისხმევაა საკმარისი, ამიტომ არ მოგერიდოთ, პროფესიონალებს სთხოვოთ დახმარება. ძალიან ძნელია შორს წასული დამოკიდებულებისგან განკურნება პროფესიონალების დახმარების გარეშე. ამ პროცესში ასევე დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ თანატოლებს, ოჯახის ექიმს, ფსიქიატრს, თუ საფრთხე ემუქრება მოზარდის სიცოცხლეს (სუიციდური აზრები, თვითდაზიანებისადმი მიდრეკილება, სახლიდან გაქცევა, ძალადობა) და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, რაც შესაძლოა რეაბილიტაციის პროცესის თანმშლებიც იყოს.

მზად უნდა იყოთ სხვა ვარიანტების განსახილველადაც, თუ დამოკიდებულება შორს წასული და გართულებულია“.

მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანს საშუალოდ 90 დღე სჭირდება ჩვევის შესაცვლელად. თანაც ეს დრო სერიოზულ, თანამიმდევრულ, დაძაბულ მუშაობას უნდა მოხმარდეს. ამ ხნის შემდეგაც დასჭირდება ბავშვს უფროსების თანადგომა მაპროვოცირებელი სიტუაციების კონტროლისთვის, რათა არ მოხდეს რეგრესი და მანვრე ჩვევების განმეორება.

ზრდასრულები მზად უნდა იყვნენ, რომ მედიკამენტის შეწყვეტისგან გამომდინარე მდგომარეობასთან გამკლავებაშიც დაეხმარონ ბავშვს/მოზარდს. უფროსებმა, სპეციალისტებმა მოზარდს უნდა აუხსნან, რომ დამოკიდებულებასთან ბრძოლის საწყის ეტაპზე შესაძლოა უფოთვამ, დაძაბულობამ, ადგენებამ იმატოს. სავარაუდოდ, მას გაუჩნდება ჩვეული სამყაროსგან მოწყვეტის განცდა. მკურნალობის პროცესში ეს ყველაფერი თანმიმდევრულად ალაგდება.

განკურნების არცთუ მარტივ პროცესში წიგნის ავტორი დამხმარებლად განიხილავს მოზარდის თანატოლებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებსაც თავად აქვთ მსგავსი დამოკიდებულებასთან ბრძოლის გამოცდილება. იდენტური პრობლემების მქონე ადამიანებთან ურთიერთობა მოზარდებს ეხმარება, დაძლიონ სირცხვილი, დანაშაულის განცდა, ბრმა, მრისხანება. ერთმანეთისთვის საკუთარი ისტორიების გაზიარება, წარმატებისა თუ მარცხის, ტრიუმფისა თუ რეციდივის შესახებ საუბრები ეფექტური დამხმარე ინსტრუმენტია დამოკიდებულების დაძლევის გზაზე მყოფი მოზარდებისთვის.

ნაწყვეტი წიგნიდან: „კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება: ნაცნობ გარემოში თქვენს შვილს შესაძლოა გაუჭირდეს დამოკიდებულებასთან გამკლავება, რადგან იქ უამრავ მაპროვოცირებელ ფაქტორს გადაეყრება. ამდენად, შესაძლოა ჯობდეს გარემოს შეცვლა, გამაღიზიანებელი ნივთების, გაჯეტების გატანა ოთახიდან ან საერთოდ სახლიდან. ისიც შეიძლება, შვილი დროებით ნათესავებთან ან ახლო მეგობრებთან გადაიყვანოთ საცხოვრებლად. ძალიან სასარგებლოა ბებია-ბაბუასთან შაბათ-კვირის გატარება. თუ საზაფხულო არდადეგებია, ბავშვი ქალაქგარეთ გაგზავნეთ დასასვენებლად. ეცადეთ, გაიხსნოს საყვარელი გასართობები, ჰობი, სპორტული აქტივობები. არც ახალი საქმიანობით დაკავება იქნება ურიგო. ჩემს პრაქტიკაში იყო ერთი ახალგაზრდა, რომლისთვისაც მაპროვოცირებელი ფაქტორების როლს ასრულებდა პიცის სურნელი, საყვარელი მუსიკა და განსაზღვრული ტანსაცმელი, ამიტომ მშობლებმა შეუცვალეს საწოლი ოთახი და ყველაფერი, რაც დამოკიდებულებას უახლებდა. შემდეგ ნელ-ნელა, აუჩქარებლად, სამი თვის განმავლობაში მას ვასწავლიდით ციფრული მოწყობილობების ჯანსაღ, ზომიერ და ნაყოფიერ გამოყენებას“.

ციფრულ მოწყობილობებთან დასაბრუნებლად თქვენს შვილს დახმარება დასჭირდება, რათა ახალი უნარ-ჩვევების განმტკიცება მოახერხოს. მას აღარ უნდა დასჭირდეს გაჯეტები სტრესთან გასამკლავებლად, მოწყენილობასთან საბრძოლველად, სოციალური ურთიერთობების დასამყარებლად. ადვილი მისახვედრია, რომ უფროსებმა არ უნდა შეწყვიტონ დამოკიდებულებადაძლეული ბავშვების ფაქიზი, ტაქტიანი კონტროლი.





ლელა მანგოშვილი

# 21-ე საუკუნის საკვანძო (ევროსაბჭოს) კომპეტენციები და ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებები

**ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებებები არასდროს მუშავდება დამოუკიდებელი ცნებების სახით, არ უკავშირდება ერთ საგანს ან სამიზნე ცნებას. შედეგი არ მიიღწევა ერთი კომპლექსური დავალების ან ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. მათზე მასწავლებელი და მოსწავლე მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში მუშაობენ.**

ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო განსაზღვრავს 21-ე საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას:

- 🍎 წიგნიერების (კითხვისა და წერის) კომპეტენცია;
- 🍎 მულტილინგვურობის კომპეტენცია;
- 🍎 მათემატიკის კომპეტენცია და კომპეტენცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიაში;
- 🍎 ციფრული კომპეტენცია;
- 🍎 პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენცია;
- 🍎 მოქალაქეობის კომპეტენცია;
- 🍎 სამეწარმეო კომპეტენცია;
- 🍎 კულტურული გაცნობიერებულობისა და გამონატვის კომპეტენცია.

„ყველა საკვანძო კომპეტენცია თანაბრად მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ხელს უწყობს საზოგადოებაში წარმატებულ ცხოვრებას. კომპეტენციების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა კომბინაციით. ისინი ერთმანეთს ფარავს და ურთიერთდაკავშირებულია: ერთი დომენისთვის მნიშვნელოვანი

ასპექტი ხელს უწყობს მეორე დომენის კომპეტენციას. ისეთი უნარები, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და მოლაპარაკების უნარები, ანალიტიკური უნარები, კრეატიულობა და ინტერკულტურული უნარები, ჩადებულია ყველა საკვანძო კომპეტენციაში“.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აღწერს, როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, **გრძელვადიან საგნობრივ სამიზნე და ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებებზე** მუშაობა ხელს უწყობს იმ პრიორიტეტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და საერთაშორისო დოკუმენტებით არის განსაზღვრული.

**რას გულისხმობს გრძელვადიან სამიზნე ცნებაზე მუშაობა, ანუ საფუძვრის შედეგის მიღწევა?**

ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებსა (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კოლაბო-

რაცია, კომუნიკაცია და სხვა) და მეტაკოგნიციზე ყურადღების გამახვილებას, მეორე მხრივ კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული კონკრეტული სასწავლო საგნობრივი საკითხების დამუშავებას.

## რას ნიშნავს ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებები?

ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებები არასდროს მუშავდება დამოუკიდებელი ცნებების სახით, არ უკავშირდება ერთ საგანს ან სამიზნე ცნებას. შედეგი არ მიიღწევა ერთი კომპლექსური დავალების ან ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. მათზე მასწავლებელი და მოსწავლე მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში მუშაობენ.

- ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებებია:
- 🍎 კონსტრუქტი (მნიშვნელობის მინიჭება);
  - 🍎 ნარატივი (ინფორმაციის კონსტრუირება);
  - 🍎 კულტურული მრავალფეროვნება;
  - 🍎 მოდელი;
  - 🍎 კვლევა;
  - 🍎 სტრატეგია;



- მოქალაქე;
- ინოვაციური პროექტი.

- წიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებული მკროცნებებია: კონსტრუქტი და ნარატივი (ინფორმაციის კონსტრუირება). როდესაც საგნობრივ საკითხსა და მასთან დაკავშირებულ სამიზნე ცნებებზე ვმუშაობთ და მოსწავლე ქმნის ნარატივს (კომპეტენცია – წიგნიერება), იმავდროულად ის:
  - აღმოაჩენს კანონზომიერებებს, ახდენს მოდელირებას და უკავშირებს ახალ მასალას სხვა სამეცნიერო კონსტრუქციებს (რაოდენობრივი წიგნიერება);
  - ეძებს შექნილი ცოდნის გამოყენებით ასპექტებს საკუთარი ან საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის (მეწარმეობა);
  - არჩევს სტრატეგიებს საკითხის შესასწავლად თუ დავალების შესასრულებლად (პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია);
  - ფიქრობს, რა გავლენას ახდენს შექნილი ცოდნა მისი როგორც მოქალაქის საფიქრალსა და საკეთებელზე (მოქალაქეობა);
  - ფიქრობს, როგორ შეიძლება გაიაზრონ განსხვავებულად იგივე ინფორმაცია სხვა კულტურის ადამიანებმა (მულტილინგვური კომპეტენცია, კულტურული ცნობიერება და თვითგამოხატვა).

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ გზამკვლევებში ზესაგნობრივი (მკრო)ცნებები დაკავშირე-



ბულია ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ 21-ე საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციასთან და გაწერილია, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, კრიტერიუმების შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგ-

ბის მიღწევის აბსტრაქტულ (მეზოთე) დონეზე.

**შენიშვნა:** საგნობრივ გზამკვლევებში დეტალურად არის აღწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (ხუთი დონე).

წიგნიერებისა და ციფრული წიგნიერების კომპეტენცია

დაკავშირებულია ზესაგნობრივ (მკრო) ცნებებთან – კონსტრუქტი (მნიშვნელობის მინიჭება), ნარატივი (ინფორმაციის კონსტრუირება).

- კრიტერიუმი – ე.ს.გ. შედეგების მე-5 დონე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:
  - ინფორმაციის გააზრება, საკუთარი გამოცდილებით გადააზრება/გაღრმავება, ინფორმაციის
  - კონსტრუირება/ნარატივად გარდაქმნა, საკუთარი ნარატივის ჩამოყალიბება, რომელშიც ასახული იქნება საკითხთან დაკავშირებუ-

**ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აღწერს, როგორც მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გრძელვადიან საგნობრივ სამიზნე და ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებებზე მუშაობა ხელს უწყობს იმ პრიორიტეტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და საერთაშორისო დოკუმენტებით არის განსაზღვრული.**

ლი ფაქტობრივი მასალა საკუთარი მიზნებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

მულტილინგვური წიგნიერების, კულტურული ცნობიერებისა და თვითგამოხატვის კომპეტენცია დაკავშირებულია ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებასთან – კულტურული მრავალფეროვნება.

კრიტერიუმი – ე.ს.გ. შედეგების მე-5 დონე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გაიზროს, როგორ აღიქვამენ ერთსა და იმავე ინფორმაციას სხვადასხვა კულტურის ადამიანები.

რაოდენობრივი წიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებებთან – მოდელი, კვლევა.

კრიტერიუმი – ე.ს.გ. შედეგების მე-5 დონე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

კანონზომიერებების აღმოჩენა და მოდელირება ახალ სიტუაციასთან მიმართებით; სასწავლო მასალის დაკავშირება სხვა სამეცნიერო ცოდნასთან.

პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია დაკავშირებულია ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებასთან – სტრატეგია.

კრიტერიუმი – ე.ს.გ. შედეგების მე-5 დონე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრატეგიების შერჩევა საკითხის შესასწავლად ან დავალების შესასრულებლად.

სამოქალაქო კომპეტენცია დაკავშირებულია ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებასთან – მოქალაქე.

კრიტერიუმი – ე.ს.გ. შედეგების მე-5 დონე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

გააანალიზოს, რა გავლენა მოახდინა მის მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობაზე შექმნილმა ცოდნამ.

მეწარმეობის კომპეტენცია დაკავშირებულია ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებასთან – ინოვაციური პროექტი.

კრიტერიუმი – ე.ს.გ. შედეგების მე-5 დონე – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

შექმნილი ცოდნის გამოყენებითი ასპექტების მოძიება საკუთარი ან საზოგადოებრივი საჭიროებისთვის.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია <https://bit.ly/3y1lr5U>
2. ქართული ენა და ლიტერატურა – დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) გზამკვლევი – მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი) <https://bit.ly/3yWZ1bR>



თემურ სუყაშვილი

# მცირე სასკოლო პროექტები

სასწავლო წლის დასაწყისში, როდესაც პირველად ჩავატარე გაკვეთილები VII<sup>ა</sup> კლასში, თვალში მომხვდა ორი რამ: 1. მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია სწავლისა და, საზოგადოდ, სიახლეებისადმი; 2. არაჯანსაღი კონკურენცია თანაკლასელებს შორის.

მთელი სასწავლო წელი ფარულად თუ აშკარად ვცდილობდი თანამშრომლობითი გარემოს შექმ-

ნას და მათი ენერჯისთვის სწორი გეზის მიცემას. სტატიაში ვისაუბრებ მოსწავლეების მიერ განხორციელებულ მცირე სასკოლო პროექტებზე, ასევე იმაზე, როგორ შეუწყო ხელი ორთვიანმა აქტივობებმა საკლასო კლიმატის გაუმჯობესებას.

აქტიური მოქალაქეობა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიწოდებით არ ისწავლება. ის საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს სკოლის მოსწავლემ.





**აქტივობა**  
**„პრობლემების ხე“ შესანიშნავი საშუალებაა, მოსწავლეები დააფიქროთ პრობლემებზე, მათ მიზეზებსა და უარყოფით შედეგებზე. პრობლემების ხე სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ფესვები – მიზეზები (უხილავი ნაწილი), ღერო – უშუალოდ პრობლემა და ფოთლები (ან ნაყოფი) – ხილული უარყოფითი შედეგები.**

სწორედ ამ ფრაზით დავიწყე მე-7 კლასში პროექტის ეტაპების გავლა.

პროცესი რამდენიმე ეტაპად დავყავით. პირველ ეტაპზე ვისწავლეთ პროექტის წერა, რასაც რამდენიმე გაკვეთილი დაეთმო. ერთად გავიზრეთ, რა არის მიზანი, ამოცანები, აქტივობები და ა.შ. შემდეგ, ერთმანეთისგან განესხვავებინათ მცირე ინიციატივები და პროექტები.

მომდევნო გაკვეთილებზე ვისწავლეთ, როგორ უნდა მოხდეს პრობლემის/ინტერესების იდენტიფიცირება. ქალაქის დიდ ფურცელზე ჩამოვწერეთ ყველაზე აქტუალური საკითხები, რომლებიც სკოლაში და, საზოგადოდ, სასკოლო თემში აწუხებთ ან აინტერესებთ მოსწავლეებს. ჩამონათვალი საკმაოდ გრძელი გამოვიდა.

**პრობლემების ხე**


აქტივობა „პრობლემების ხე“ შესანიშნავი საშუალებაა, მოსწავლეები დააფიქროთ პრობლემებზე, მათ მიზეზებსა და უარყოფით

შედეგებზე. პრობლემების ხე სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ფესვები – მიზეზები (უხილავი ნაწილი), ღერო – უშუალოდ პრობლემა და ფოთლები (ან ნაყოფი) – ხილული უარყოფითი შედეგები.

მომდევნო ეტაპზე დაფიქრდით, როგორ შეიძლება პრობლემის ტრანსფორმირება/ცვლილება. აქტივობის მიხედვით:

- გამოკვეთილი პრობლემა გარდაისახა პროექტის/ინიციატივის მიზნად;
- პრობლემის მიზეზები იქცა პროექტის/ინიციატივის ამოცანებად;
- პრობლემის უარყოფითი შედეგები იქცა პროექტის/ინიციატივის მოსალოდნელ შედეგებად.

მომდევნო ეტაპი უკვე V-VI კლასების მოსწავლეთა ინტერესების სფეროს გამოკვეთას დაეთმო. მეშვიდეკლასელებმა ჩაატარეს მინიკვლევა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა საჭირო მიმართულებები. გაგვიზარებთ ოთხი მინიპროექტის სათაურებს:



- ზღვარი ბავშვურ ცელქობასა და ბუღინგს შორის;
- არაფორმალური განათლების მნიშვნელობა;
- სწავლა აუცილებელია – არა ნაადრევ ქორწინებას;
- ნუ განასხვავებ ფერების მიხედვით.

მაისის ბოლოს სკოლაში დაიწყო მცირე ინიციატივების/პროექტების განხორციელება. ჩემი, როგორც ფასილიტატორის როლი მინიმალური იყო და მხოლოდ ლოჯისტიკურ საკითხებში დახმარებით შემოიფარგლებოდა. ასევე დავეხმარე წამახალისებელი სერტიფიკატების ბეჭდვაში.

განხორციელების ეტაპზე 10-15-წევრიან შერეულ ჯგუფებთან მუშაობდნენ. უმეტესობისთვის ეს პირველი გამოცდილება იყო, ამიტომ თანაკლასელების მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ცხედავდი, როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს აქტივობების განხორციელებაში, აუდიტორიის მომზადებაში, ნაკადების მართვაში და ა.შ.

მოსწავლეებმა ისწავლეს პროექტის ანგარიშის მომზადებაც.

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები პირდაპირ კავშირშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მოქალაქეობის სტანდარტ-

**მარნეულის N2 საჯარო სკოლის მე-7ა კლასის მოსწავლის - ნუივარ ზეინალოვას პროექტის ანგარიში**



**მე ნუივარ ზეინალოვამ, განვახორციელე არაფორმალური შესახებ. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებში და მოზარდებში ცნობიერებისა და ინტერესის ამაღლება არაფორმალური განათლების მხრივ და არაფორმალური განათლების მნიშვნელობის ახსნა. ამ მიზანს მივადნე 01.06.2022 ტრენინგზე ავეხსენი ფორმალურ განათლებასა და არაფორმალურ განათლებას შორის განსხვავება. ნარვადგინე არაფორმალური განათლებით წარმატებული ადამიანების ისტორიები, მათ შორის ჩემი გამოცდილებაც. იე ჩემს მიერ დაორგანიზებული სხვადასხვა აქტივობების ჩატარებით. ეს აქტივობები იყო:**

**1. ტრენინგი 01.06.2022**

ტრენინგზე ავეხსენი ფორმალურ განათლებასა და არაფორმალურ განათლებას შორის განსხვავება. ნარვადგინე არაფორმალური განათლებით წარმატებული ადამიანების ისტორიები, მათ შორის ჩემი გამოცდილებაც.

ისტორიები, მათ შორის ჩემი გამოცდილებაც.

**2. შეჯიბრი 09.06.2022**

მონაწილეებმა რომლებიც დაესწრნენ პირველ ტრენინგს, მათ მივცეი დავალება რომ დაეწერათ ესე : რა არის არაფორმალური განათლება. საუკეთესო ესე ავტორი გახდა: **ნბ-კლასის მოსწავლე ლეილა ალიევა.**



მასწავლებელი - თემურ სუყაშვილი

მეშვიდეკლასელების საქმიანი ფუსფუსი ორი თვე გაგრძელდება. სამიზნე აუდიტორიისა და განსახორციელებელი ინიციატივის გამოკვეთის შემდეგ დაიწყეს საპრეზენტაციო მასალის მომზადება, დამატებითი რესურსების თავმოყრა, როლების გადანაწილება. შედეგად მოსწავლეებმა შექმნეს ორ-სამ დღეზე გაწერილი სატრენინგო მოდულუ-

ბი. თან. დავალებზე მუშაობის დროს დამუშავდა ისეთი ცნებები, როგორიცაა:

**სამოქალაქო მონაწილეობა**

საკუთარი ჩართულობით მოსწავლეს შეუძლია თემში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (დაწერილი და

ბოლოს ვითამაშეთ სკამის თამაში



-ჩვენ მონაწილეებს დავაწერებინეთ გენდერული უთანასწორობის მაგალითები, რომლებიც შევაგროვეთ ამ ყუთში და ერთად გავარკვეით.

## «უარი გენდერულ უთანასწორობას!»

### ვისთან ჩაატარეთ?

-მე-5, მე-6, მე-7 კლასის მოსწავლეებთან

**-რა გააკეთეთ?**

-Power Point-ის მეშვეობით პრეზენტაცია გააკეთეთ თემაზე გენდერული თანასწორობა ( პროექტორი, კომპიუტერი-თემო სუყაშვილი; დაგვენმარეს-ნუივარ ზეინალოვა და ზაზა სუყაშვილი;)

**ტრენინგი ჩატარდა 12:00-დან 13:00 საათამდე.**

მონაწილეებს ავარჩებინეთ ქალისა და მამაკაცის პროფესიები (სტ. შეხედულება)



-ვაჩვენეთ ეს სათამაშოები და შევკვიტოთხეთ თუ რომელი იყო ბიჭის და რომელი გოგოსი. (სტერეოტიპული შეხედულება)

**-ვაჩვენეთ ვიდეოები: გენდერული თანასწორობა; მეცნიერი ქალები; ადამიანების პროფესიების ამოცნობაზე ვიდეო (თამაში);**

ვაჩვენეთ ცისფერი და ვარდისფერი ფანქრები და შევკვიტოთხეთ გაგიგიათ თუ არა ასეთი რაღაც, რომ ცსფ ბიჭის და ვერ გოგოს ფერი(სტერეოტიპული შეხედულება)

**აქტიური მოქალაქეობა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიწოდებით არ იხნავლება. ის საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს სკოლის მოსწავლემ.**

დაუწერელი წესების თანაარსებობა, არასრულწლოვანთა დანაშაული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ბუნებრივი საფრთხეები) გადაჭრაზე ზრუნვა.

**სოციალიზაცია**

მოსწავლეს შეუძლია სათემო აქტივობების დაგეგმვისას განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან თანამშრომლობა; თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესებისა და უფლებების (ძალადობისგან დაცვა, გამობატვის თავისუფლება) გათვალისწინება.

**დემოკრატია**

მოსწავლეს შეუძლია პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით მოქმედება.

**მდგრადი განვითარება**

მოსწავლეს შეუძლია პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას

მდგრადი განვითარების პრინციპებით მოქმედება.

2021-2022 სასწავლო წელი დასრულდა. ახლა შედეგების გაანალიზების დროა. ვუყურებ თიმისი ჯგუფში თავმოყრილ ელექტრონულ მასალებს და გული სიამაყით მეცხება. ჩვენი ერთობლივი შრომის შედეგი სახეზეა. კლასი უფრო მეტად შეკრულია, ვიდრე სასწავლო წლის დასაწყისში იყო. აპრილ-მაისში მცირე სასკოლო პროექტებზე მუშაობისას განუვითარდათ ემპათიის, ერთმანეთზე ზრუნვის, თანამშრომლობის, მედიაწინერების უნარები და ერთი ნაბიჯი გადადგეს აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისაკენ.

ფესვები – მიზეზები (უნილავი ნაწილი), ღერო – უშუალოდ პრობლემა და ფოთლები (ან ნაყოფი) – ხილული უარყოფითი შედეგები – ამ სამი კომპონენტის გააზრება/გაანალიზება ადამიანებს, განსაკუთრებით მოზარდებს, გაუადვილებს პრობლემისადმი პასუხისმგებლობიან მიდგომას, მიაჩვევს უარყოფითი შედეგების გამომწვევ მიზეზებზე ფიქრს. ამიტომ გირჩევთ გამოიყენოთ და მიღწეული შედეგით დატკბეთ.







ირმა კახურაშვილი

# მამო

## მამაჩემზე, რომელიც 19 ივნისს დაიბადა

მამო, ჩქარა, ჭერს ხელი აკარი! – შემომძახა მამაჩემმა და მართლა ჭერამდე ამისროლა. მე 4 წლის ვიქნებოდი, ის – 35-ის.

მართალია, ჭერამდე ასროლა ილიებს მტკენდა, მაგრამ ფრენა უფრო საინტერესო იყო. ზემოდან ჩვენი ღარიბული ავეჯიც სხვანაირი ჩანდა, ქერა დედაჩემიც, ტაშს რომ შემოჰკრავენ. ფრენისგან, ცოტა შიშისგან და ცოტა აღფრთოვანებისგან გულიც შემეტიკვებოდა ხოლმე. არსებობდა კაცი, რომელიც, თუ საჭირო გახდებოდა, ცამდე ამაფრენდა. ამ კაცს ღონიერი ხელები და კარგად შეკრული სხეული ჰქონდა. ყოველ დილით რძეში არეულ ხაჭოს მიირთმევდა, სხვა მამებზე სიგარეტს არ ეწეოდა, სამსახურიდან მოსვლას არასდროს აგვიანებდა, ფეხბურთს ხმამაღალი შეძახილებით უცქერდა და ფოტოგრაფიით იყო გატაცებული.

თუ მამო კარგ ხასიათზე იყო, მე და დედაჩემს სამხედრო ზურგჩანთებს აგვიკიდებდა და ხან მთა-ბარში სასეირნოდ, ხანაც სოკოზე წაგვიყვანდა. ზოგჯერ მის ნათესავებსაც ვსტუმრობდით, მეზობელ ქუჩაზე.

ჩვენ სამნი – მამო, მე და დედა ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით, მე ზამთრების – ახალი წლის, თოვლისა და ჩემი დაბადების დღის ნატვრით, მშობლები – ზაფხულის შეგებულების მოლოდინში. შეგებულებების დროს არავინ არაფერზე ჩხუბობდა და ოჯახში იდილია იყო.

თავიდან ჭერამდე ასროლების გამო მამო მიყვარდა, მაგრამ მამაშვილური გაგება მაშინ დასრულდა, როდესაც ამ ღონიერი და თითქოს საიმედო ხელების, უფრო სწორად მუშტად შეკრული ხელების სიმძიმე საკუთარ თავზე ვიწვნიე. მიუხედავად იმისა, რომ გალეული და ხში-

რად მოავადე ბავშვი ვიყავი, მამოს ეს არ აჩერებდა. თუ სკოლის ფორმა კარადის გარეთ დამრჩებოდა, მის რისხვას ველარაფერი გადამარჩენდა. მამოს სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა. უფრო სწორად, ისე გამირჩევდა საქმეს, როგორც თანატოლ კაცს. ვოცნებობდი, სხვა ურჩი ბავშვებზე მეც კუთხეში დავეყენებინე ან იმით დავესაჯე, რომ ეზოში სათამაშოდ არ გავეშვი. მაგრამ არა. ყურს თუ მიწევდა, ლამის ახევამდე ამიწევდა და თუ სილა მომხვდებოდა, ისეთი იყო, რამდენიმე წამით სამყაროს ვეთიშებოდი.

ფანქარს ცუდად თუ გავთლიდი, ჭურჭელს უნაკლოდ თუ არ გავრეცხავდი ან მაგიდაზე გადაშლილი სახელმძღვანელოები დამრჩებოდა, იქ ამბავი დატრიალდებოდა – მტრისას და ავისას. ტირილიც კი ხმადაბლა ვისწავლე, რომ არავის გაეგო.

**ამ სამყაროში უამრავი ფირფიტა და წიგნი მქონდა. ეზოშიც, მგონი, ყველაზე მარდი ბავშვი ვიყავი, თან ყველა დაჩაგრულს გულში ვიხუტებდი. სულ ვფიქრობდი, რომ სხვა ბავშვებსაც მემუშტიკრივე მამოები ჰყავდათ და თქმას ვერ ბედავდნენ...**



თუმცა, როგორც კი ბრაზის ქარიშხალი ჩადგებოდა, საბანს თავზე წავიფარებდი, რომ რაც შეიძლება მალე დამვიწყებოდა დღევანდელი დღე. მამო ლოგინთან ჩამომიჯდებოდა და მშვიდად განმიმარტავდა, „რატომაც მომხვდა“. ეს განმარტებები აღარ მაინტერესებდა. უსამართლობად მიმაჩნდა, რომ ჩემზე ღონიერი კაცი მერეოდა, მერე რა, რომ მამო იყო. შურისძიების წყურვილი მკლავდა.

სათამაშოების უჯრაში ყოველთვის ვინახავდი ჩანთას, სადაც სახლიდან გასაქცევი ნივთები მედო. წესით, დედაჩემთან ერთად უნდა გავექცეულიყავი, შესაძლოა ძალიან შორს, დედას სამშობლოში – უკრაინაში, სადაც ჩემი კეთილი ბებია-ბაბუა დამხვდებოდა. მაგრამ დედა გაქცევას არსად აპირებდა. თუ ჩემსა და მამოს სკანდალს შეესწრებოდა, თავგანწირვით მიცავდა. ეგ იყო და ეგ.

ვიზრდებოდი და სახლიდან გასაქცევ საგზაუს ვაახლებდი, მაგრამ მოზარდობაში მივხვდი, რომ მეც ვერსად გავიქცეოდი და ბედს დავნებდი. მამოც უფრო ღმობიერი გახდა. თუმცა კვლავ მიაჩნდა, რომ მოზარდის სწორად აღზრდის მეთოდები უმკაცრესი უნდა ყოფილიყო. ურჩი მოზარდი ცხოველივითაა, ორჯერ რომ ეტყვი და ვერ გაიგებს, უნდა დააშინოო, იტყოდა ხოლმე და ფეხიფეხგადადებული გაზეთის კითხვას გააგრ-



ძელებდა. ქვეყნის გაზეთებს და ჟურნალებს იწერდა. ისიც მოსწონდა, მე რომ ბევრს ვკითხულობდი. მე კი სულ ვკითხულობდი და ვკითხულობდი. წიგნით, როგორც ფართით, მამოს მძიმე ხელიც მომიგერიებია.

ცოტა შორს დაიჭირე წიგნი კითხვის დროსო, მეტყოდა, მხედველობა ყველაზე მთავარიო. მხედველობის დაკარგვის შიში მამომ ისე ჩამისახლა, ახლაც სიმსივნეზე

მეტად მეშინია. ეზოში ჩასვლის წინ მამო საჩვენებელი თითით მომიხმობდა ხოლმე და მურაბიდან ერთ კაკალს ამოიღებდა, შემაჭმევდა და იტყოდა, კაკლის მურაბა თვალებისთვის კარგიაო.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ორი მამო მყავდა: ერთი – დაუნდობელი და სულელური წვრილმანებს გამოკიდებული, მეორე კი – დემოკრატიული და მხიარული. მამო არასდროს

მიმოწმებდა დღიურს, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჭკვიანი მოსწავლე ვიყავი და ჩემი გაკონტროლება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. თუ დახმარება დამჭირდებოდა, განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში, სიამოვნებით მიზიარებდა თავის მრავალმხრივ ცოდნას. მერე საუბარიც გაგვიგრძელებოდა და ჩემს ამბებს ვუყვებოდი. ყურადღებით მისმენდა და ბოლოს მეტყოდა, კი იცი შენ ადამიანის დაინტრიგებო.



**მამოს სადამსჯელო პოლიტიკამ მაიძულა, ჩემი სამყარო შემექმნა, სადაც მონყენილობის ჟამს გავიხიზნებოდი, ყველა უფროსს უჩინარ კარს მივუკეტავდი და საკუთარი თავის რეანიმირებას სწრაფად შევძლებდი.**

მამო არც ლობებდა და ხეებზე ძრომიას მიშლიდა, არც ქუჩის ცხოველების მოშინაურებას. ოღონდაც რამის მიმართ ინტერესი გამოემჩინა და გიჟივით მქომაგობდა. ორკვირიან საზაფხულო ბანაკში გადახიზნულს კი დიდი ხნის უნახავი ძმაკაცივით მხვდებოდა და მეკითხებოდა – ჰა, ხომ არავინ გჩაგრავეს? მე არც არავინ მჩაგრავედა, მამოს გარდა. სულ მინდოდა, ეს მისთვის მეთქვა და ვერ ვეუბნებოდი.

მამოს სადამსჯელო პოლიტიკამ მაიძულა, ჩემი სამყარო შემექმნა, სადაც მოწყენილობის ჟამს გავიხიზნებოდი, ყველა უფროსს უჩინარ კარს მივუკეტავდი და საკუთარი თავის რეანიმირებას სწრაფად შევძლებდი. ამ სამყაროში უამრავი ფირფიტა და წიგნი მქონდა. ებოშიც, მგონი, ყველაზე მარდი ბავშვი ვიყავი, თან ყველა დაჩაგრულს გულში ვიხუტებდი. სულ ვფიქრობდი, რომ სხვა ბავშვებსაც მემუშტიკრივით მამოები ჰყავდათ და თქმას ვერ ბედავდნენ...

მასსოვს, რომ ყველაზე კარგ ხასიათზე მამო ფოტოების გამჟღავნების დროს იყო. წითელი განათებით ლაბორატორია სააბაზანოში მოიწყო, უქმეებზე იქსაათობით იჯდა და თავის ფირებს უკირკიტებდა. მე და დედაჩემსაც გვიხაროდა – ჩვენთან სკანდალისთვის აღარ ეცალა.

მამოს ბალეტის ყურებაც უყვარდა, ტელევიზორშიც და ისეც. მაშინ ტელეპროგრამები გაზეთებში იხეჭდებოდა. ერთი კვირით ადრე მამო კალმით მონიშნავდა სანახავ სპექტაკლებს და ზოგჯერ ყურებისას ცრემლიც კი სდიოდა. მამოს ასეთი გარდასახვა ძალიან მეუცნაურებოდა და მეც ვცდილობდი,

ჩავლრმავებოდი ბალეტს, იქნებ იქ მენახა მისი გულის მოღობის უცნობი გასაღები.

რა თქმა უნდა, მამო ბალეტს მე და დედასაც გვაზიარებდა. 80-იანი წლების აბსოლუტურად ყველა სპექტაკლი გვეკონდა ნანახი. ოპერისა და ბალეტის თეატრი ჩემთვის სახლივით იყო. მამოს თეატრში ერთგულ მაყურებლად იცნობდნენ. ზოგჯერ ჩემთან ერთად კულისებში შესვლასაც ახერხებდა, რომ იქიდან მეყურებინა სპექტაკლისთვის, სხვა რაკურსით. მეც ფარდის ნაოჭებში გავეხვეოდი, არავისთვის ხელი რომ არ შემეშალა და სუნთქვაშეკრული ვაკვირდებოდი მოცეკვავეებს. ზოგი თავის პუანტებსაც მჩუქნიდა.

მაგრამ ყველაზე მეტად საორკესტრო ორმო მომწონდა, ხავერდის რბილი მოაჯირებით. მამოც მიყვებოდა, როგორ იწერება მუსიკა, რომ ყველა ინსტრუმენტს თავისი უღერადობა აქვს და რომ არა დირიჟორი, მუსიკა თავის კალაპოტს ვერ მონახავდა.

ბოლოს, ბალეტზეც შემეყვანეს. მამო ჩემ მიმართ კიდევ უფრო მეტად ლობიერი გახდა. ბალეტზეც თვითონ დაგყავდი. მოსაცდელშიც მელიოდა. სახლში რომ ვბრუნდებოდი, გზად თონის ცხელ პურს იყიდდა და ხრამუნა მხარეს მომიტებდა, რომ არ გავსუქებულიყავი. გავსუქდი კი არა, ბალეტმა ისე გამახდუნა, ფეხზე ძლივს ვიდექი. მამოსაც ეგ უთხრეს, ძალიან სუსტია, მეტი ვარჯიში დასჭირდებოდა. მე კი მეტი აღარ შემეძლო.

მამოს იმედი გავუცრუე და ეს ძალიან მაშინებდა. მაგრამ, საბედნიეროდ, აქ მეორე, ლობიერი მამომ „გაიღვიძა“

და თქვა, ბავშვს რაც მოსწონს და გამოსდის, ის უნდა აკეთოს. ასე აღმოვჩნდი პიონერთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიაში, სადაც სკოლის დამთავრებამდე დიდი ენთუზიზმით ვიარე. ესეც მამოს დამსახურება იყო, რომელმაც ბაკურიანში ჩემი ჩანაწერების რვეული იპოვა, სადაც ტექსტები ნახატებით გამეფორმებინა.

მამოზე ისტორიებს შორს რომ არ შევყვებო, ხმამაღლა არასდროს გამიმხელია და ახლა მინდა ვთქვა – ის ჩვეულებრივი სახლის ტირანი იყო, შესაძლოა, ბიპოლარული აშლილობითაც და ბავშვური ტრავმებით, რასაც ახლახან ნაპოვნი მისი დღიური მოწმობს. მამოს დედა – ბებიაჩემი, რომელიც არასდროს მენახა, ბალის მასწავლებელი იყო. ერთადერთ შვილს სიმკაცრეში ზრდიდა. სამსახურში წასული, ხშირად სახლში ჩაკეტილსაც ტოვებდა, რომ ბავშვი არ გაქცეულიყო და ტრამვის არ ემსხვერპლა. ბაბუა – ბებიაჩემის ქმარი მეორე სამამულო ომიდან არ დაბრუნებულა. მამოს ის არასდროს ენახა. ამბობენ, ფიზიკა კარგად ესმოდა და გიტარაზე უკრავდაო.

ამ ყველაფრის გასაფაროება ალბათ მამოს გულს დაწყვეტდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მაგრამ ოთხი წლის წინ თბილისის ზღვის სასაფლაოს მივებარე.

თუმცა, არ ვიცი... იქნებ ამ დროს მეორე – დემოკრატიულ მამოს „გაღვიძებოდა“, რომელიც იტყოდა: „რას იზამ, სიმართლე, როგორიც არ უნდა იყოს ის, უნდა ითქვას. ბოდიში, შვილო“.

